პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ.,
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებები მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

დღიური

— ამხ. რაკოვსკი გაფრინდა პარიზში.
— მოსკოვში ჩავიდა ამერიკელი მწერალი შერვუდ ანდ
— დობრუჯაში საალყო წესები გამოცხადდა.
— მექსიკაში სერიოზული არეულობა დაიწყო.
— ჩან-ძო-ლინის ცხენოსან ჯარში ამბოხება მოხდა.
— აბისინიამ პროტესტი განაცხადა ინგლის-იტალიის შეთანხმების წინააღმდეგ.
— ნაგასაკში გაიხსნა პან-აზიური კონგრესი.
— უნგრეთში ძლიერდება მოძრაობა საბჭ. კავშირთან დაახლოებას.
— სირიაში დიდი ბრძოლა [illegible] სასარგებლოთ.

ოთხშაბათი, 4 აგვისტო 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 175 (1720)

დღეს, 4 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, შესდგება
საქართ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
ცაკის მდივანი ს. თოდრია

კომინტერნის სექციები და „ახალი ოპოზიცია“

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებებმა საზოგადოთ, და კერძოთ „ახალი ოპოზიციის“ შესახებ ფართო გამოხმაურება ჰპოვეს მთელს საბჭოთა კავშირში. ადგილობრივი პარტორგანიზაციები გასაოცარი ერთსულოვანებით შემოკრბენ ლენინის პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ირგვლივ და მასთან ერთად გადაჭრით დაჰგმეს გაერთიანებული ოპოზიციის (ტროცკი—ზინოვიევი) დამარღვეველი მუშაობა, პარტიის გამთიშავი პოლიტიკა. და ზერელე შეხედულობით თითქოს გასაკვირალ ფაქტს აქვს დღეს ადგილი ჩვენი პარტიის ცხოვრებაში: ოპოზიციონური მიმდინარეობანი არასოდეს არ ყოფილა ძლიერი პარტიაში, მაგრამ რაც უფრო ერთიანდებიან ისინი და „საერთო ძალით“ გამოდიან პარტიის მთლიანობისა და მისი დამცველი ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, მით უფრო ერთსულოვან წინააღმდეგობას, პარტიის მთლიანობის გადაულახავ მტკიცე კედელს ჰპოულობენ აღმართულს თავიანთ წინაშე. ამ შემთხვევაშიც სწორეთ ასეთ მოვლენას აქვს ადგილი. პარტიის მეთოთხმეტე ყრილობაზე ახალი ოპოზიცია გამოვიდა ერთი მიმდინარეობის წარმომადგენლების (ზინოვიევი, კამენევი და კომპ.) სახით. ტროცკი სდუმდა. ამ ყრილობის „წინა დღეებში“ ეს მიმდინარეობა მოითხოვდა კატეგორიულად ტროცკის „სისხლს“, რაც უარჰყო პოლიტბიურომ. ივლისის პლენუმზე ტროცკი უკვე აღარ „სდუმს“. ძველმა მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს თავაზიანად სალამი მისცეს, ჩამოაყალიბეს გაერთიანებული ოპოზიცია გაერთიანებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მით მთელი პარტიის წინააღმდეგ. ზინოვიევმა და კომპანიამ ხელაღებით გააბათილეს ძველი კრიტიკა ტროცკიზმის წინააღმდეგ, გამოუცხადეს თვით ტროცკის „ამნისტია“ (ისევ როგორც ეს მათ ჩაიდინეს სხვა ძველ ოპოზიციონურ მიმართულებათა, მათი ფრაქციული „ლეგალიზაციის“ შესახებ) და ამნაირათ შეჰკრეს ბლოკი, რომლის ორგანიზაციული პლატფორმა არის დანგრევა პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობის, პარტიის დღევანდელი ცენტრალური კომიტეტის და მით ფაქტიურად დანგრევა პარტიის მთლიანობის. ამ პლატფორმაზე გაერთიანებული ოპოზიცია წარსდგა პარტიის წინაშე და მთელმა პარტიამაც ერთსულოვნათ დაჰგმო ის, დაადასტურა პლენუმის გადაწყვეტილება მის შესახებ. და ამნაირათ გაერთიანებული ოპოზიციის არა მარტო რასკოლნიკულმა მუშაობამ, მისმა აშკარა შეთქმულებამ (არალეგალური კრებები და სხვ.) პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ, არამედ ოპოზიციონერების ბლოკის უპრინციპობამ, ურთიერთ ამნისტიამ, ურთიერთ წარმოებული ძველი კრიტიკის უარყოფამ—გამოამზეურა პარტიული მასების დასანახად გაშიშვლებული სახე ფრაქციონერების და გამთიშველების. ოპოზიციონერები გაერთიანდენ და სწორეთ ასეთ გაერთიანებაში გამოაშკარავდა მათი სისუსტე. ამით მათ კიდევ უფრო დარაზმეს პარტიული მასები თავის წინააღმდეგ და იგემეს ერთსულოვანი დაგმობა მთელი პარტიის მხრივ.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა.

როგორც პლენუმის გამოქვეყნებულ მასალებიდან ვიცით, ამხ. ზინოვიევის ცდა არ ყოფილა შემოფარგლული საკავშირო კომპარტიით. მან აამუშავა კომინტერნის აპარატიც, მან „დაუმიზნა“ უფრო შორს. ობიექტურად ის ითრევდა თავის ფრაქციული მუშაობის ფერხულში კომინტერნის უცხოეთის სექციებსაც. მდგომარეობა ორგანიზაციულად თითქოს ხელის შემწყობი იყო მისი, როგორც კომინტერნის ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელის. მაგრამ აქაც დაიმსხვრა მისი ცდა. არა ნაკლები ერთსულოვანებით (ვინემ საკავშირო კომპარტია) გამოვიდნენ გაერთიანებული ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის წინააღმდეგ ჩვენი ძმური პარტიები უცხოეთში. ჩვენ დღეს უკვე გვაქვს კომინტერნის უმთავრესი სექციების დამოკიდებულება ოპოზიციისადმი: გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ჩეხო-სლოვაკიის პარტიები გადაჭრით გამოვიდნენ ზინოვიევ-ტროცკის ოპოზიციის წინააღმდეგ, მხარში ამოუდგნენ საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მიიღეს მისი გადაწყვეტილებანი და პრაქტიკული ზომები ახალი ოპოზიციის წინააღმდეგ, დაჰგმეს ეს ოპოზიცია.

ასეთია სურათი პლენუმიდან ერთი თვენახევრის შემდეგ საკავშირო კომპარტიაში და კომინტერნის სექციებში. ცხადია პარტიულმა მასებმა ჩვენს კავშირში და უცხოეთის ძმურ პარტიებში აშკარად დაინახეს საფრთხე, რომელსაც უმზადებს კომინტერნის ხელმძღვანელ სექციას და მით მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ფრაქციული შეთქმულება ახალი გაერთიანებული ოპოზიციისა. მათ დაინახეს უპრინციპოთ შეკოწიწებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარკვეული ორგანიზაციული მიზნების (პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ) მატარებელი ბლოკის სახე და სთქვეს თავიანთი გადამჭრელი სიტყვა. ჩვენი პარტია და მასთან ერთად უცხოეთის ძმური პარტიები არავის დაანებებენ დაუსჯელად შეეხონ ტლანქი ხელით იმ ძლიერ ორგანიზაციას, რომელიც შექმნა და განამტკიცა ლენინმა, რომელიც საერთო კუთვნილებაა და დიდ ბრძოლებში მონაპოვარი საერთაშორისო რევოლიუციონური მუშათა კლასის, სიამაყე და იმედი მისი. ბრძოლა ამ ოპოზიციის, მისი ფრაქციული, პარტიის დამარღვეველი, მუშაობის წინააღმდეგ არ არის ამიტომ საქმე მარტო საკავშირო კომპარტიის, არამედ მთელი კომუნისტური ინტერნაციონალის. და ამ გარემოებამ ჰპოვა აშკარა გამოხატულება ამ ერთსულოვნებაში, რომელიც ახასიათებს საკავშირო და უცხოეთის პარტიული ორგანიზაციების გამოსვლებს ამხ. ზინოვიევ-ტროცკის გაერთიანებული ოპოზიციის წინააღმდეგ და ლენინურ ცენტრალური კომიტეტის სასარგებლოდ.

ამ გზით ივლიან მომავალშიც საკავშირო კომპარტია და კომინტერნი და არავითარ საშუალებას არ დაზოგავენ შეინარჩუნონ და კიდევ უფრო განამტკიცონ მთლიანობა ჩვენი პარტიის და მიუჩინონ საკადრისი ადგილი მათ, ვინც ფაქტიურად ღალატობს ამ მთლიანობას და მით რევოლიუციისა და კომუნიზმის საქმეს.

* * *

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობა

(„პრავდა“-ს მოწინავე)

მოსკოვი, 3 აგვისტო. 1925 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი აერთიანებდა 5½ მილიონ წევრს. ერთი წლის განმავლობაში წევრთა რიცხვი გაიზარდა 100%-ით. უკანასკნელ დროისათვის ჩვენ ხელთ არა გვაქვს ციფრები მთელი კოოპერატიული სისტემის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ზოგიერთ რაიონებიდან მიღებულ ცნობების განხილვით ვრწმუნდებით, რომ ზრდა ისევ გრძელდება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მთელი სისტემის ბრუნვამ გასულ წელს მიაღწია თითქმის მილიარდ მანეთამდე. მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო დარგებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია არის საგლეხო პროდუქციის ძირითადი გამტარებელი ორგანიზაცია.

რძის პროდუქტების გადამუშავება-გასაღება 90 პროცენტით სწარმოებს ძირითად კოოპერატიულ ქსელის საშუალებით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ძირითადი ორგანიზაციების ხელშია თამბაქოს დამზადება - გასაღების საქმის 80%. კოოპერაციის მიერ დამზადებულია პურის დამმზადებელი ძირითად ორგანიზაციების მიერ დამზადებულ მთელი მასის 25 პროცენტი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ორგანიზაციისა და სამეურნეო საქმიანობის ზრდასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ მისი ფინანსიური მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. სას.-სამეურ. კოოპერაციის თანხები 1926 წლის 1-ლ იანვრისათვის წინასწარი გამოანგარიშებით უდრიდა 110 მილ. მანეთს. ამ საშუალებათა უმნიშვნელო ნაწილი იყო დაბანდებული საქონლის ტრიალში, რადგან ამ საშუალებებს შეადგენენ მხოლოდ საწევრო გადასახადი და ქარხნების მოწყობილობა. სას.-სამეურ. კოოპერატივთა საერთო დავალიანება 1926 წლის 1-ლი იანვრისათვის უდრიდა 570 მილ. მანეთს.

კოოპერატიული აღმშენებლობის ერთი მთავარი საკითხთაგანი დღევანდელ პირობებში არის მისი ფინანსიური მდგომარეობის გაჯანსაღება და სას.-სამ. კოოპერაციის სისტემაში ისეთი პირობების შექმნა, როცა შესაძლებელი იქნება კაპიტალის ნორმალური დაგროვება. კაპიტალის დაგროვების რაოდენობა ს.-სამ. კოოპერაციაში უმნიშვნელოა საერთო ბრუნვის ზრდასთან შედარებით. ეს ეხება არა მარტო მის საწევრო კაპიტალს და კოოპერაციაში დაბანდებულ თანხებს, არამედ უმთავრესად ოპერაციების შედეგებს. სას.-სამ. კოოპერატივი ზოგჯერ საქონლის დიდ ბრუნვას აწარმოებს ყოველგვარი მოგების გარეშე და ზოგიერთ შემთხვევებში კი წაგებითაც. სას.-სამეურ. კოოპერაციის უარყოფითი ფინანსიური შედეგები გამოწვეულია უმთავრესად მისი შინაგანი უარყოფითი მხარეებით და აგრეთვე არა საკმაო ენერგიულობით მომჭირნეობის გატარებაში, მით უმეტეს, რომ ჯერჯერობით სას.-სამ. კოოპერაციამ თავის არსებობის მოკლე დროის განმავლობაში ვერ მოასწრო თანამშრომელთა საკმაო კადრის აღზრდა-მომზადება.

შინაგან უარყოფით მხარეებთან ერთად სას. სამეურ. კოოპერაციის უარყოფით ფინანსიურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს კოოპერაციის არასაკმაო დაკავშირება სახელმწიფოს მეურნეობის სისტემასთან. მისი ურთიერთობის მოუწესრიგებლობა სახელმწიფო მრეწველობა-ვაჭრობასთან, სესხის აღების მძიმე პირობები, განსაკუთრებით მისი მოკლე ვადიანობის მხრით და, ბოლოს, კოოპერაციის ბრუნვის არა საკმაო მოქნილობა.

ამას უნდა დავუმატოთ სას. სამ. კოოპერაციის აღმშენებლობის ის ობიექტიური სიძნელენი, რომლებიც დაკავშირებული არიან მის რთულ ამოცანებთან და მისი მოქმედების სიძნელესთან საორგანიზაციო, საწარმოვო, აგრიკულტურის ამოცანებში და უდეფიციტო საქმის წარმოების მოთხოვნილებაში. ამ საერთო მიზეზებთან დაკავშირებით უშუალო და გადამწყვეტ გავლენას ახდენს კოოპერატიულ ორგანიზაციების ფინანსიურ მდგომარეობაზე თითეული რაიონის სასოფლო-მეურნეობის განვითარება და მისი დონე. მიუხედავათ იმისა, რომ კოოპერატიულ ორგანიზაციების მდგომარეობა სხვადასხვაგვარია, მაში მაინც შეგვიძლია აღვნიშნოთ ერთგვარი კანონშეზომილება: რამდენად მეტია რაიონში სასოფლო-სამეურნეო საქონელი, მით უფრო ძლიერია სას. სამ. კოოპერაცია. კარგად მოწყობილი ძლიერი კოოპერატიული ორგანიზაციების დიდი რაოდენობა გვხვდება იმ რაიონებში, სადაც მოჰყავთ კანაფი, აშენებენ საქონელს, თესენ ბალახს და აქვთ რძის მეურნეობა. ამითვე აიხსნება სპეციალურ სას. სამ. კოოპერატივების სიძლიერე, რომლებსაც ხელში აქვთ ყველაზე უფრო განვითარებული სასოფლო-სამეურნეო დარგები. ამას გარდა მთავარ ფაქტორად ჩაითვლება სას. სამეურ. კოოპერაციის მდგომარეობის გამოსარკვევად ამა თუ იმ რაიონის კულტურულ ეკონომიური განვითარების დონე და კოოპერაციის აღმშენებლობის ისტორია.

ძლიერ ნელა ვითარდება თანხების შეტანის ოპერაციები. შეტანილი თანხების რაოდენობა ამჟამად უდრის 3,9 მილ. მანეთს, რაც შეადგენს 2½% იმის დრომდე შეტანილ თანხებისას. მაგრამ აქაც ემჩნევა ნაწილობრივი წინსვლა. ერთი წლის განმავლობაში შეტანილი თანხები 2 ნახ. გაიზარდა. შესატანი თანხების სუსტი განვითარება აიხსნება საშუალო გლეხობის ფულის შენახვის უმნიშვნელო განვითარებით. ეს რომ ასეა იმითაც მტკიცდება, რომ შეტანილი თანხების პროცენტები იზრდება როგორც სახელმწიფოს მიერ მოცემულ თანხებზე, ისე ამხანაგობის თვითეული წევრის შეტანილ თანხაზე, განსაკუთრებით იმ რაიონში, სადაც სასოფლო-მეურნეობა შედარებით მეტად არის განვითარებული.

ზემო აღნიშნული გარემოება მიგვითითებს სას. სამ. კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობის გაჯანსაღების მორიგ ამოცანებზე.

პირველ რიგში უნდა სწარმოებდეს სას. სამ. კოოპერაციის შინაური მდგომარეობის გაჯანსაღება.

უმთავრესი პრაქტიკული ამოცანებია: მომუშავეთა კადრის გაუმჯობესება, მომჭირნეობის რეჟიმის უფრო ღრმათ გატარება, საკრედიტო ფუნქციების განვითარება და სას. სამ. კოოპერაციის შემდეგი სპეციალიზაცია. ამავე დროს განხორციელებული უნდა იქნეს სასოფლო-სამ. კოოპერაციის მოწყობის საქმე სახელმწიფოს მიერ. დაახლოვება სახელმწიფო მრეწველობასთან და სახ. ვაჭრობასთან.

სას. სამ. კოოპ. დღევანდელი მდგომარეობა აუცილებელს ხდის სესხის და განსაკუთრებით კი გრძელვადიანი სესხის მოწესრიგებას.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 3 აგვისტო.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გარშემო

(გადასახადი მჭამელის კვალობაზე და დაბეგვრის პროგრესია)

საბჭოთა ხელისუფლების ძირითად ამოცანების მიხედვით სოფლად ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემაში დაბეგვრის პროგრესია აშენებულია იმგვარათ, რომ ღარიბი გლეხობა სავსებით უნდა იქნას განთავისუფლებული გადასახადისაგან, საშუალო შეძლების გლეხობა იხდის შედარებით ცოტას, შეძლებულმა გლეხებმა კი უნდა გადაიხადონ უფრო მეტი იმაზე, რასაც ამდენ ხანს იხდიდენ. ყოველ შემთხვევაში გადასახადმა სრულიადაც არ უნდა შეაჩეროს გლეხური მეურნეობის განვითარება, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ უნდა გაადვილოს ღარიბ და საშუალო გლეხობის ბრძოლა და მეტოქეობა ეგრედწოდებულ კულაკურ ელემენტებთან. აქ მნიშვნელობა შეიძლება ექნეს სულ მცირე თანხას. ზედმეტათ აღებულ 5—10 მანეთს. ამიტომ ცხადია, რომ დაბეგვრის სისტემა სავსებით უნდა შეეფერებოდეს იმ მრავალფეროვანებას, რომელიც ჩვენი სოფლის ეკონომიკას ახასიათებს. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ აღნიშნულ პროგრესიულობის პრინციპს პრაქტიკაში, ცხოვრებაში შესაძლოა მოჰყვეს სულ საწინააღმდეგო შედეგი.

მთელი უბედურება იმაშია, რომ პროგრესია გამოანგარიშებულია არა მთლიანად **მთელ მეურნეობაზე**, არამედ **შემოსავლიანობაზე**, რომელიც აღებულია **თვითეულ მჭამელზე**.

გვაქვს ორგვარი მეურნეობა: პირველი, რომლის შემოსავლიანობა უდრის 400 მანეთს, ხოლო მჭამელთა რიცხვი—8-ს, იხდიან გადასახადს 17 მანეთს და 60 კაპ., რაც შეადგენს შემოსავლიანობის 4,4%-ს. მეორე—იგივე შემოსავლიანობით, ხოლო 2 მჭამელით, იხდის 75 მან. და 40 კაპ., რაც შეადგენს დაახლოვებით შემოსავლის 20%-ს. ამავე დროს პირველ მეურნეობაში შეიძლება იყოს 4—5 შრომის უნარიანი მამაკაცი, მაშინ, როდესაც მეორე მეურნეობაში შესაძლოა ასეთი სულ არ იყოს.

მჭამელთა რიცხვის ასეთი გამოანგარიშება იწვევს და გამოიწვევს მრავალ გაუგებრობას და სავსებით გააქარწყლებს დაბეგვრის კლასიურ პრინციპს.

აღნიშნული შემოსავლიანობის (400 მ.) მქონე მეურნეობა, რომლის მჭამელთა საშუალო რიცხვი უდრის 5-ს—იხდის დაახლოვებით 50 მანეთს, რაც შეადგენს შემოსავლის 12%-ს.

შეძლებული მეურნეობა № 411 სოფ. ებერში (აფხაზეთი), რომლის შემოსავალი უდრის 670 მანეთს, ხოლო მჭამელთა რიცხვი—11-ს, იხდის 43 მ. და 79 კაპ., რაც შეადგენს მთელი შემოსავლის 6,5%-ს, იმ დროს, როდესაც მეურნეობა № 41 სოფ. ბაკლანოვკაში 157 მან. შემოსავლით (და 2 მჭამელით) იხდის დაახლოვებით 16 მანეთს, რაც იძლევა უკვე მთელი შემოსავლის 10%-ს. მეურნეობა № 33 სოფ. ებერში 225 მან. შემოსავლით და (2 მჭამელით) იხდის 31 მან. და 78 კაპ., რაც შეადგენს დაახლოვებით 15%-ს. ასეთი შემთხვევები მრავალია.

მჭამელთა დიდი რიცხვი არ შეიძლება ჩაითვალოს მეურნეობის სისუსტის სტიმულათ, პირიქით, ბევრი გლეხები დარწმუნებიან, რომ მრავალ ოჯახიანი მეურნეობანი სოფლად არიან ყველაზე შეძლებული (ძლიერი).

ახალი კანონის თანახმად სასოფლო სამეურნეო გადასახადისაგან თავისუფლდება ყოველი მეურნეობა, რომელშიაც თვითეულ მჭამელზე მოდის 25 მანეთი შემოსავალი. ასეთი მინიმუმის მიხედვით საქართველოში განზრახულია 100.000 ღარიბ მეურნეობის გადასახადისაგან განთავისუფლება.

სამწუხაროდ, არც ეს ზომა აღწევს მიზანს პრაქტიკაში სწორედ იმიტომ, რომ ანგარიში სწარმოებს არა მთელი მეურნეობის, არამედ თვითეული მჭამელის მიხედვით.

და მართლაც, როდესაც შემოსავლიანობის გამოანგარიშება რესპუბლიკის თვითეულ რაიონში ეს არის უნდა გათავდეს, აშკარავდება, რომ უხერხულია ამ მინიმუმის გამოანგარიშება მჭამელთა რიცხვის მიხედვით. მართალია კანონში რამდენიმეთ გათვალისწინებულია ეს უხერხულობა და დამატებულია კორექტივი (იმ შემთხვევაში, როცა მჭამელთა რიცხვი უდრის 1—3-ს) იმ სახით, რომ გადასახადისაგან თავისუფლდება ის მეურნეობა, რომლის შემოსავალი უდრის 75 მანეთს, სულ ერთია რამდენი მჭამელიც არ უნდა იყოს.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. იმ მინიმუმის მიხედვით, რომელიც არ იბეგრება (25 მანეთი მჭამელზე) რესპუბლიკის მთელი რაიონები, როგორც გურია, დუშეთის მაზრა, სამხრეთ-ოსეთი, აჭარა—თითქმის სავსებით თავისუფლდებიან გადასახადისაგან,— მაშინ, როდესაც ზოგიერთ მაზრებს, როგორც ბორჩალოს, სიღნაღის და სხვ. აწევთ გადასახადის მთელი სიმძიმე.

შეიძლება ამაზე გვიპასუხონ,—„ძალიან კარგი, ეს შეეფერება სისტემის პრინციპს—შეძლებულმა მაზრებმა უნდა გადაიხადონ მეტი (მთელი გადასახადიც კი), ხოლო ღარიბმა მაზრებმა—ნაკლები და უბედურება არ იქნება, თუ მთელი ოლქები სავსებით განთავისუფლდებიან გადასახადისაგანო“.

ასეთი შეხედულება ძალიან ზერელედ უნდა ჩაითვალოს. თუ ინდივიდუალურად განვიხილავთ გადასახადის განაკვეთს აღმოჩნდება, რომ სულობრივი (მჭამელის კვალობაზე) პრინციპი აქაც გვღალატობს: ხშირათ აღნიშნულ სუსტ რაიონებში სხვადასხვა შედარებით შეძლებული მეურნეობანი თავისუფლდებიან გადასახადისაგან, მხოლოთ იმიტომ, რომ მიუხედავად მჭამელთა დიდი რიცხვისა იძლევიან შემოსავალს მჭამელზე—25 მანეთზე ნაკლებს—მაშასადამე, იბადება კითხვა ამ მინიმუმის 20-დან 15 მანეთამდე დაკლების საჭიროების შესახებ. პირიქით, შეძლებულ მაზრებში ბევრი ღარიბი მეურნეობანი იხდიან გადასახადს იმის გამო, რომ მჭამელთა რიცხვი ცოტაა. აქ საჭიროა მინიმუმი აყვანილი იქნას 30 მანეთამდე. თუ არ შევიტანეთ კორექტივი ამ დეფექტების გამოსასწორებლად, კვლავ ადგილი ექნება გლეხურ მეურნეობათა უთანასწორო და უსამართლო დაბეგვრას. ბევრი შეძლებული მეურნეობანი განთავისუფლებული იქნებიან, სხვები კი ზედმეტად იქნებიან დაბეგრილი. ბევრი საშუალო შეძლების და ღარიბი გლეხობის მეურნეობანი შეიძლება აგრეთვე ზედმეტათ იქნან დაბეგრილი. უფრო მისაღები იქნებოდა დაბეგვრის უკრაინული სისტემა.

ამ სისტემის მიხედვით, აღებულია განსაზღვრული თანხა მჭამელზე, ვთქვათ, 20 მანეთი და იგი თავისუფლდება დაბეგვრისაგან,—ხოლო ნაშთი იბეგრება არა მჭამელთა რიცხვის, არამედ მეურნეობის მიხედვით—მაგალითად, პირველი 50 მან.—4 კაპიკით, შემდეგი 100 მანეთი—8 კაპიკით, შემდეგი 100 მან.—12 კაპიკით, შემდეგი 200 მანეთი—15 კაპიკით და დანარჩენი—20 კაპიკით. მაშინ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში (400 მან და 5 მჭამელი) მეურნეობა გადაიხდის დაახლოვებით 35 მანეთს, რაც შეადგენს უკვე შემოსავლის 8½%-ს. თუ ჩვენ შევადარებთ გადასახადის განაკვეთს ზოგიერთ მეურნეობაში მჭამელთა დიდ რიცხვთან ან მჭამელთა მცირე რიცხვთან, დავინახავთ, რომ ასეთი სისტემის გატარების დროს რამდენიმედ ბოლო ეღება, ზემოაღნიშნულ სულობრივ (მჭამელთა კვალობაზე) პრინციპთან დაკავშირებულ დეფექტებს.

ავიღოთ რამოდენიმე მაგალითი უკანასკნელი სიიდან და განვსაზღვროთ გადასახადი ამა თუ იმ სისტემის მიხედვით.

იხდის გადასახადს

№№	მეურნეობის შემოსავალი	მჭამელთა რიცხვი	არსებული სისტემის მიხედვით	%	ახალი სისტემის მიხედ.	%
1.	278 მ.	9	6 მ. 75 კ.	2½%	16 მ. 56 კ.	6%
2.	232 „	2	33 „ 40 „	15%	19 „ 80 „	8%
3.	287 „	10	6 „ 60 „	3%	16 „ 40 „	6%
4.	107 „	1	14 „ 45 „	14%	5 „ 76 „	5,5%

და შემდეგ.

ჩვენი სოფლის უფრო თანასწორი და სამართლიანი დაბეგვრის მიღწევა ჩვენი პოლიტიკის მიხედვით შეიძლება მხოლოთ არსებულ სისტემაში არსებითი კორექტივების შეტანით, ან ამგვარი განაწილების შემოღებით ადგილობრივი ორგანოების კონტროლის ქვეშ.

ბ. მ.

---

*) საკითხის გარჩევის წესით. რედ.

უცხოეთის პრესა

მუშათა მთლიანი ფრონტი და სოციალ-დემოკრატია

ცნობილია, როგორი გაათთრებით იბრძოდა და იბრძვის სოციალ-დემოკრატია (და საერთოდ რეფორმიზმი) პროლეტარიატის მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ. ის აცხადებდა, რომ ერთიანი ფრონტის ტაქტიკა მოჩმახულია კომუნისტების მიერ მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ დასცენ რეფორმისტების, ხოლო გააძლიერონ თავიანთი გავლენა მუშათა კლასზეო. არავითარ დადებითი მიზნებს მუშათა კლასის ინტერესებისათვის ისინი არ ისახავენ და თუ ამ ინტერესზე ლაპარაკობენ—ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ასეთი „სიტყვიერების“ ბურუსში გაახვიონ და დამალონ თავიანთი ნამდვილი ზრახვები, ე. ი. საკუთარი პარტიული კაპიტალის გადიდებაო. ამ აგიტაციას, უნდა ითქვას, გასავალი ჰქონდა და აქვს დღესაც, მაგრამ უფრო გავლენას ახდენდენ ამით წინეთ. დღეს ამ მხრით მდგომარეობა რამოდენიმედ შეიცვალა და ამას აღნიშნავს კომუნისტური „როტე ფანე“ (ბერლინი). ის სწერს: (16 ივლისის №-ში):

„ფაქტია, რომ დამოკიდებულება კომუნისტ და სოციალ - დემოკრატ მუშებს შორის უკანასკნელ თვეებში ის აღარ არის რაც იყო 1924 და 1925 წლებში. მაშინ პირისპირ იდგა ორი გადაჭრით მოწინააღმდეგე ბანაკი. ამხანაგური დისკუსია შეუძლებელი იყო და რამდენადაც ერთად შეხვედრასა და ამ დისკუსიას ადგილი ჰქონდა, ის მიმდინარეობდა ისეთ ფორმებში, რომლებიც უფრო აღრმავებდენ ორ ბანაკთა შორის არსებულ გათიშვას, ვინემ არბილებდენ მას. **სულ სხვანაირია მდგომარეობა დღეს.** ძნელად დაესწრებით ამჟამად მუშათა ისეთ კრებებს წარმოებებში, სადაც მუშა სოციალ - დემოკრატები, **მეგობრულად კეთილგანწყობილნი**, არ უსმენდნენ კომუნისტ - ორატორებს. ყოველდღიური ცხოვრების გაკვეთილებმა, საშინელმა უმუშევრობამ, კომუნისტ - მუშების შეუდრეკელმა ნებისყოფამ ერთიანი ფრონტის შესაქმნელად — ყოველივე ამან შექმნა ისეთი ატმოსფერა წარმოებებში, როდესაც იქმნება ბრძოლის ერთიანი ფრონტი ბურჟუაზიის წინააღმდეგ“.

ფაქტი, რომელსაც აღნიშნავს „როტე ფანე“ არ არის უმნიშვნელო, პირიქით ის ბევრის მეტყველია. თქვენ უნდა წარმოიდგინოთ ის დემაგოგიის, ცილისწამების, დაბეზღების და ძალმომრეობის ტალღა, რომელიც აჰკორა დიდი ისტორიული ტრადიციის, მდიდარი პრესის და ორგანიზაციული აპარატის მქონე გერმანიის სოციალ - დემოკრატიამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, რომ შეაფასოთ ამ დიდი მიღწევის მნიშვნელობა. დღეს კი, როდესაც მუშებმა (სოციალ - დემოკრატიის მიმდევარმა მუშებმა) დაინახეს, როგორ მედგრად იბრძვიან კომუნისტები ბურჟუაზიისა და მისი სახელმწიფოს წინააღმდეგ და არა მარტო საბოლოო მიზნებისათვის, არამედ პროლეტარიატის მიმდინარე ინტერესებისათვისაც, რომლებსაც ისინი უკავშირებენ ამ საბოლოო მიზნებს — ისინი სხვანაირად მიუდგენ საქმეს და სოციალ - დემოკრატიის დემაგოგიაც აღარ სჭრის მათში ძველებურად. კიდევ მეტი, რაც დრო მიდის და რაც უფრო რწმუნდებიან სოც.-დემოკრატიის ბელადები მათ ორგანიზაციაში მოქცეულ მუშების ახალ სულისკვეთებაში, მით უფრო აძლიერებენ ისინი უსინდისო აგიტაციას კომუნისტების (და „მოსკოვის“) წინააღმდეგ. და მიუხედავათ ამისა — და შეიძლება სწორეთ ამიტომაც — კომპარტია და მის მიერ დაწყებული პოლიტიკური კამპანიები ითრევენ თავის ფერხულში სოციალ - დემოკრატიულ მასებს. ამნაირად ჩვენ მივადექით უკვე იმ ხანას, როდესაც სოციალ-დემოკრატ ბელადების გაათთრება კომუნისტების წინააღმდეგ ახდენს სრულიად წინააღმდეგ ეფექტს მუშათა კლასში, ვინემ სურთ გამოიწვიონ ამ ბელადებმა. ეს დიდ მნიშვნელოვანი მოვლენაა და ის მოწმობს იმაზე, რომ შორს აღარ არის ის დრო, როდესაც სოციალ-დემოკრატიული მასები სრულიად იბრუნებენ პირს მათი ყვითელი ბელადებისაგან და კომუნისტ — მუშებთან ერთად, მთლიანი ფრონტით, გასწევენ რევოლიუციონური გზით კაპიტალისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

„მხოლოდ ყვითელი ბიუროკრატიის პოლიტიკურ მძორზე სძევს გზა მუშათა კლასის განთავისუფლებისაკენ“-ო,

ასე ათავებს მეთაურ წერილს „როტე ფანე“.

* * *

ამხ. ძერჟინსკის უკანასკნელი სიტყვა

მისი გარდაცვალების დღეს

ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმზე

„ამხანაგებო, უნდა ვსთქვა, რომ კამენევის მოხსენებაში და პიატაკოვის ამ მოხსენებისადმი დამარცხებაში მე უაღრესად მაოცებს ის გარემოება, რომ როგორც ვაჭრობის სახალხო კომისარმა (მე ვიყავი მომხსენებელი პოლიტბიუროს მხრით)... ისე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ სრული უცოდინარობა გამოიჩინეს იმ საკითხებისა, რომლის შესახებაც ისინი აქ ლაპარაკობდენ.

მართლადაც, აიღეთ ვაჭრობის სახალხო კომისარის გამოსვლა ამ ტრიბუნაზე იმისათვის, რომ ელაპარაკნა კერძო კაპიტალის საფრთხის—„ვინ ვის აჯობებს“ შესახებ. მან თქვენ წაგიკითხათ „ეკონომიჩესკაია ჟიზნიდან“ საკონიუნქტურო ინსტიტუტის სხდომის ანგარიში კუტლერის მოხსენების შესახებ. მე მგონია, რომ საშინაო და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ჩვენ მიერ შექმნილი ორგანოა, ეს ის აპარატია, რომელსაც თავის მუშაობაში ეს ანგარიშები უნდა შექონდა და გამოანგარიშებათა შემდეგ მიეცა ჩვენთვის სავსებით გარკვეული დინამიკა. მაგრამ კამენევმა ამის მაგივრად აქ მოიყვანა ამონაწერი „ეკონომიჩესკაია ჟიზნის“ წერილიდან და დაამტკიცა ამ საკითხის სრული უცოდინარობა.

მართლაც, რის შესახებაა აქ ლაპარაკი? აქ ლაპარაკია იმაზე, რომ კერძო პირთა საკუთარი კაპიტალი შეადგენს 26 მილიონ მანეთს, ხოლო მათი მოგება 400 მილიონ მანეთს. სახელდობრ, როგორი მოგება? საერთო მოგება, რომელიც წარმოადგენს სამუშაო ხელფასს, ე. ი. კაპიტალის მქონე კერძო პირთა შინაურ ხარჯებს. თუ ჩვენ ავიღებთ კერძო ვაჭართა რაოდენობას, რომლის შესახებაც არის ლაპარაკი, ეს რაოდენობა კი გამოიხატება ასი ათას დაწესებულებაში და თუ ამ ასი ათას დაწესებულების ოჯახის წევრთა რიცხვზე გადავანაწილებთ, მაშინ იმ დიდი მოგებიდან, რომელსაც თვითონ კამენევმა გამოაკლო ნახევარი (იგი თვითონ ამბობს, რომ ეს სტატისტიკა სრულიად უვარგისია), ჩვენ დაგვრჩება სრულიად უმნიშვნელო დაგროვება.

კამენევმა სრულიად ვერ გაიგო კუტლერის მოხსენებაში მოყვანილი ციფრები, პიატაკოვი კი, რომელსაც, როგორც სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, უნდა სცოდნოდა ეს, სარგებლობდა გამოანგარიშების სრულიად შემცდარი მეთოდით და ლაპარაკობდა წმინდა მოგების შესახებ. მე წავიკითხავ დოკუმენტს, რომელიც შედგენილ იქნა ჩემი მოთხოვნილებით, ვინაიდან უშუალოდ ვაწარმოებ სავაჭრო პოლიტიკას. მე ვიბრძოდი იმისთვის, რომ მოწესრიგებულიყო აღებ-მიცემობა კოოპერაციასთან. მე ვებრძოდი ვაჭრობის სახ. კომისარიატებს, მე ამას თვალყურს ვადევნებ. პიატაკოვი ვერ გაერკვა იმ წერილობით შეკითხვაში, რომელიც მან მიიღო და ამ ტრიბუნიდან გადაისროლა.

მე ვლაპარაკობ 46 პროცენტზე და თერთმეტ პროცენტზე. დაუფიქრდით, რომ ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელი ყოფილიყო 600 მილიონი მანეთის დაგროვება, რა დიდი კაპიტალი დაგროვდებოდა კერძო პირების ხელში! წმინდა დაგროვება რომ 600 მილიონ მანეთს შეადგენდეს, როგორც აქ ამბობდა პიატაკოვი, მაშინ განა შეიძლო კუტლერს იმის თქმა, რომ კერძო პირებს აქვთ 400 მილიონი მანეთის მოგება და განა შეიძლებოდა ლაპარაკი, რომ კერძო პირები საკუთარი კაპიტალისაგან იღებენ 429 მილიონი მანეთის მოგებას? საჭიროა გავერკვეთ ამ საკითხში! ჩვენ ღარიბი არა ვართ ცნობებით კერძო კაპიტალის დინამიკის ზრდის შესახებ.

პოლიტბიურომ მე დამნიშნა კომისიის თავმჯდომარედ და მე ამ თანამდებობის გამო საქმე მაქვს ამ ცნობებთან. როგორია ის ცხრილი, რომელსაც ეყრდნობა პიატაკოვი?

წარსულ წელში შიგა სამრეწველო დარგის საქონლიდან: საფეიქრო, ლითონის, ნავთის, შაქრის, მარილის, ქიმიურ და თამბაქოს სამრეწველო დარგიდან კერძო პირებს მიეყიდათ საშუალოდ 46 პროც. მთელი იმ რაოდენობისა, რომელიც გაიყიდა საცალო ვაჭრობაში. ამ 46 პროცენტმა, ამხ. პიატაკოვო, შეადგინა არა თქვენი ფანტასტიური ორი მილიარდი, არამედ მხოლოდ 540 მილიონი. საქონლის საერთო მასიდან, რომელიც საცალო ვაჭრობაში 2 მილიარდ მანეთს შეადგენდა, კერძო პირებმა გაყიდეს 940 მილიონი მანეთის საქონელი. აი უმთავრესი ცნობები!

პიატაკოვი: (ადგილიდან) „მე ამის შესახებ სრულიადაც არ ვლაპარაკობდი!“

ამხ. ძერჟინსკი: „თქვენ ლაპარაკობდით 46 პროცენტისა და გეგმის წესით განაწილებულ 11 პროცენტის შესახებ“.

პიატაკოვი: (ადგილიდან) „მე ვლაპარაკობდი სხვა ცნობებზე“.

ძერჟინსკი: „არა, სწორედ ამ ცნობების შესახებ. მაშინ მიჩვენეთ სხვა ცნობები, თუ თქვენ სხვა ცნობებზე ლაპარაკობდით! თქვენ ამბობდით, რომ გეგმის წესით საქონელი ეძლეოდა 11 პროცენტი, კერძო პირებს კი 46 პროცენტი. ეს იგივე დოკუმენტია. ეხლა საბითუმო ფასების შესახებ. აქაც იგივე უცოდინარობა და უმეცრება. საბითუმო ფასები ჩვენ შევამცირეთ არა 37 პროცენტით, როგორც ამტკიცებდა პიატაკოვი, არამედ 27 პროცენტით.

როგორი იყო ზედნართი საბითუმო ფასებზე? ზედნართი ამ შემთხვევაში სულ სხვა იყო, და არა ის, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა პიატაკოვი, ვინაიდან 62 პროცენტის ზედნართი ეკუთვნის არა წარსულ წელს, არამედ სულ უკანასკნელ დროს. იგი ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ჩვენ კერძო პირები საქონლის ნაკლებობის გამო მოვსწყვიტეთ, ვაიძულეთ, რომ საქონელში მეტი ეძლიათ, როცა მათ უნდა დაექირავებიათ უმუშევრები, ჩაეყენებიათ რიგში და ეძლიათ მათთვის ხელფასი და როცა მათ უნდა გამოესყიდათ ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების უყაირათობა სამეურნეო საქმიანობაში.

მე თქვენ დაგისახელებთ ყველა ინდექსებს რომლებიც იყო შარშან კერძო ვაჭრობაში პირველ მოთხოვნილების საგნებზე. 1923 წლის 1 ოქტომბრისათვის, როცა ჩვენი საბითუმო ფასები ძალიან მაღალი იყო, ზედნართი კერძო ვაჭრობაში მხოლოდ 8 პროცენტს უდრიდა. 1924 წლის 1 ოქტომბრისათვის იგი შეადგენდა უკვე 46 პროცენტს. 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის 51 პროცენტს. სად არის 62 პროცენტი? შემდეგ მიდის რიგ-რიგათ, თვეების მიხედვით: 54 პროცენტი, 58 პროცენტი, 56 პროცენტი“ 57 პროცენტი, 62 პროცენტი“.

პიატაკოვი: (ადგილიდან) „მე ვამბობ საშუალოდ 60 პროცენტი“.

ძერჟინსკი: „პიატაკოვმა გამოაშკარავა თავისი უმეცრება და ეხლა მას შეუძლია იყვიროს“.

ტროცკი: (ადგილიდან) „თქვენ კი ამხ. ძერჟინსკი, ყოველთვის სარგებლობდით დუმილით!“

ძერჟინსკი: „მე ვფიქრობ შემდეგ. უკვე რამდენიმე დღეა, თქვენ მოწმენი ხართ იმისა, რომ უმცირესობას სურს წონასწორობა დაარღვიოს უმრავლესობასა; მე არ მივაქცევ ყურადღებას ასეთ რეპლიკებს, ვინაიდან რაც უფრო ვაქცევთ ყურადღებას ასეთ გამოსვლებს, მით უფრო მეტ საშუალებას ვაძლევთ ოპოზიციას, რომ დეზორგანიზაცია შეიტანოს ჩვენს საქმიან მუშაობაში“.

ხმები: „მართალია!“

ძერჟინსკი: „აი, როგორი ზედნართები იყო თავისუფალ ბაზარზე. აპრილის განმავლობაში ჩვენ გვაქვს: ჩითზე—74 პროც., ლურსმანზე—33 პროც., ნავთზე—26 პროც., კალოშებზე—41 პროც., შაქარზე—7 პროც., ზეთზე—41 პროც., მახორკაზე—31 პროც. და წუმწუმაზე—22 პროც. ეს თავისუფალ ბაზარზე. როგორი ზედნართები გვქონდა საკოოპერაციო სისტემაში? „ცენტროსოიუზის“ ცნობებით, 1 მარტისათვის იყო: ჩითზე—36 პროც., ამასთანავე 36 პროც. არა საფაბრიკო ფასების, არამედ „ცენტროსოიუზის“ ფასების მიხედვით. მაშასადამე საფუძვლად ჩვენი საფაბრიკო ფასები რომ მიგვეღო, მაშინ პროცენტი უფრო მეტი იქნებოდა. ძაფზე—38 პროც., კალოშზე—82 პროც., რკინაზე—42 პროც. აი როგორც ხედავთ, განსხვავება კერძო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანიზაციებს შორის არაა ისეთი დიდი, ისეთი კოლოსალური, როგორც შეიძლება პირველად გვეჩვენა და განა შეიძლება ამის მიხედვით იმის თქმა, რომ უდიდესი და კოლოსალური დაგროვება ხდება კერძო კაპიტალისა!

უნდა ითქვას შემდეგი: ის დარგი, რომელშიაც სახალხო კომისარია კამენევი, ყველაზე უფრო მეტს ნთქავს ჩვენ ეროვნულ შემოსავალს. რა შუაშია აქ ჩვენი მრეწველობის განვითარება? პიატაკოვი ენერგიულად მოითხოვს, რომ ყველა საშუალებანი, საიდანაც არ უნდა მოდიოდენ, ძირითად კაპიტალს შეუერთოთ. მაგრამ განა საკითხის ასეთი დაყენება პოზიციების გადაცემა არ არის კერძო კაპიტალის ხელში?

თუ ჩვენ სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციებში საბრუნებელ თანხებს გადავაქცევთ ძირითად კაპიტალად, მაშინ, ცხადია, რომ კერძო ბაზარი შესძლებს დაეუფლოს კაპიტალის ბრუნვის პროცესს. თუ ჩვენ გვსურს ბრძოლა ვაწარმოოთ კაპიტალის კერძო დაგროვებასთან და კერძო ვაჭრობასთან, მაშინ რა ღონისძიებანი უნდა მიიღოს ჩვენმა პარტიამ და პოლიტბიურომ? უნდა მოწესრიგებულ იქნას კოოპერაციისა და მრეწველობის ურთიერთ დამოკიდებულება, მთელი ძალ-ღონით უნდა განმტკიცდეს კოოპერაცია, მაგრამ არა იმ მეთოდებით, რომ დაფარულ იქნას მისი ნაკლი. მე უდიდესი მტერი ვარ ასეთი მეთოდისა, რომელსაც გვთავაზობს პიატაკოვი მრეწველობის მიმართ და რომელსაც ისე აქვს საქმის ვითარება წარმოდგენილი, რომ მრეწველობაში ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ მეტი ფული მოგვეცითო. ასევე აუცილებელია ჩვენი კოოპერატიულ ვაჭრობის მოგვარება და განხორციელება მე-13 ყრილობის დადგენილებისა, რომელიც შეეხება კერძო კაპიტალს და კერძო ვაჭრობის ურთიერთობის მოგვარებას.

ეს ჩვენ მოგვცემს საშუალებას შევაჩეროთ კერძო დაგროვება და დავანახოთ, რომელ დარგში ძლიერდება და იზრდება კერძო კაპიტალი. თუ ლაპარაკობენ საერთოდ მისი ზრდის შესახებ, ეს არაა სწორი, მაგრამ არის რაიონები, სადაც იგი იზრდება და ვითარდება. ეს, სახელდობრ, ის რაიონებია, რომელსაც კამენევი განაგებს.

ხმა: „გვითხარით საბითუმო ვაჭრობაზე“.

ძერჟინსკი: „რაც შეეხება საბითუმო ვაჭრობას, სახ. მეურნ. უმაღლესმა საბჭომ თავისი სინდიკატების შემწეობით საბითუმო ვაჭრობიდან ისე განდევნა კერძო ვაჭარი, რომ ის იქ ეხლა სრულიად უმნიშვნელო როლს თამაშობს. მაგრამ სად არის ძლიერი კერძო მოვაჭრე? პურის დამზადებაში, ტყავის დამზადებაში, იმ დარგში, რომელიც კამენევის გამგებლობაშია. ის მოდის აქ და სტირის, რომ ყველაფერი ცუდათ მიდის, რომ გლეხი მდიდრდება და მისი კეთილდღეობა მატულობს. პიატაკოვი კი ამბობს—სოფელი მდიდრდება. აი ამაშია უბედურება. სახელმწიფო მოღვაწეები და ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლები ცრემლებს ღვრიან გლეხის კეთილდღეობის გამო. ხოლო როგორია ეს კეთილდღეობა: გლეხებმა დააგროვეს 400 მილიონი, ე. ი. 2 მანეთი სულზე! (სიცილი. ხმები: „კიდევ უფრო ნაკლები“). პიატაკოვი ამბობს: „სოფელი წინ გვესწრება“. თუ შევადარებთ ჩვენი განვითარების ციფრებს, დავინახავთ, რომ უკანასკნელ 2 წლის განმავლობაში მრეწველობა გაიზარდა 60 პროც. როგორია სასოფლო-მეურნეობის ზრდის პროცენტი?

როდესაც კამენევს მოჰყავს ცნობები: „შეხედეთ, შარშან 2 ნახ. მილიარდი მანეთის საქონელი მიიღო გლეხმა, ეხლა კი მას აძლევენ 3.600.000 მანეთის საქონელსო!“ მე გეკითხებით როგორ ფასებში? საწვრილმანო ფასებში. რას ნიშნავს საწვრილმანო ფასები გლეხისათვის? განა თქვენ, ამხ. კამენევო, არ იცით რა შეფარდება არსებობს გლეხის ნაწარმოების ფასებსა და იმ ფასებს შორის, რომლითაც გლეხი იღებს სამრეწველო ნაწარმოებს? განა ჩვენი ყურადღება არ უნდა იყოს მიქცეული ამ მხრივ? რაშია საქმე? აქ სცენაზე გამოდის პიატაკოვის პროგრამა—გასაღებ ფასების გადიდების შესახებ. ეს არის უაზრო, ანტისაბჭოთა, ანტიმუშური პროგრამა. ეს არის იმ ბრძოლის ლიკვიდაცია, რომელიც სწარმოებს საწვრილმანო ფასების დაკლებისათვის. ის სრულიად ივიწყებს იმას, რასაც წინაზე თვითონვე ლაპარაკობდა, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში ვართ მოწინავე სოციალისტური რაზმი და ჩვენი საქონლის ფასები და ხარისხი უნდა შეუფარდოთ საზღვარგარეთულ კოეფიციენტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ თავში ჩავცხებით. პიატაკოვს დაავიწყდა ეს და დაივიწყდა ის უბედურება, რომელიც თან ახლავს ჩვენს განვითარებას, ის უბედურება, რომ ჩვენში არ არის მოწესრიგებული ფასების დაკლების საქმე.

სამწუხაროა, რომ კამენევმა არ მოგვითხრო რატომ გვაქვს ჩვენ პური. ხოლო ექსპორტი არა. რატომ არის ეს ასე? სწორედ იმიტომ, რომ არავითარი აზრი არ აქვს მის გაგზავნას საზღვარგარეთ. რატომ არ მოგვითხრო კამენევმა იმის შესახებ, თუ რამდენად დიდია ზედნართი ხარჯები პურის დასამზადებელ აპარატებში? რატომ არ მოგვითხრო მან იმის შესახებ, რომ მაღალი ფასები, რომელიც ჩვენ გვაქვს, განისაზღვრება არა იმით, რომ... (დამახინჯებულია)... დაგროვება ვაჭრობა-მრეწველობაში, არამედ იმით, რომ ჩვენ მეტად უყაირათოთ ვეწევით მეურნეობას. მაგალითისათვის მიგითითებთ პიატაკოვის პრაქტიკაზე. ჩვენში 5 წლის გეგმა მუშავდება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის. სხვათა შორის ერთ-ერთ ასეთ გეგმას მე უფრო დაწვრილებით გავეცანი. ეს გეგმა შეეხება რკინის მრეწველობას. ამ გეგმის მიხედვით განზრახულია რკინის წარმოებაში მიგვეღწია განსაზღვრულ დონისათვის მხოლოდ 1930 წ. მაგრამ რადგან ამ დროისათვის მოთხოვნილება იქნება გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე მოქმედ ქარხნების ტეხნიკური შესაძლებლობანი. საჭიროა იაროსლავლში ახალი ფაბრიკის აშენება, რასაც დასჭირდება 42 მილიონი მანეთი. 2 მილიონზე მეტი უკვე დახარჯულია სხვადასხვა მასალების დასამზადებლად.

ვლაპარაკობ იმ სამეურნეო უყაირათობაზე, რომლისათვისაც მე ვაგებ პასუხს. თქვენ თვითონ ხელმძღვანელობდით, მე პასუხისმგებელი ვარ სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსათვისაც და თქვენი მოქმედებისათვისაც. ამიტომ მე არ უარვყოფ ჩვენს შეცდომებს, ამიტომ აღმოჩნდა, რომ იმას, რის მიღწევასაც ჩვენ ვფიქრობდით 5 წლის პროგრამის მიხედვით, უკვე მივაღწიეთ. (გამოტოვებულია)... ახალი ფაბრიკის აშენება და ის გაუმჯობესებანი, რომელიც შეიძლება გატარდეს ამჟამად ძლიერ შეუწყობდა ხელს ჩვენი წარმოების განვითარებას ყოველ მხრივ.

მე ვიტყვი კიდევ ერთს (დამახინჯებულია)... ვლაპარაკობ პიატაკოვის დარგიდან, ვიტყვი ჩემი დარგიდან, სადაც მე ვარ თავმჯდომარე—ეს არის ლითონის მთავარი სამმართველო. ლითონის მთავარ სამმართველოში წელს ჩვენ ტყუილ უბრალოთ გავაბნიეთ 45 მილიონი მანეთი, როგორც ეს ამ ჟამად ირკვევა. ყოველგვარ ნახევარ ფაბრიკატებში, ყოველგვარ სათადარიგო ნაწილების შესაძენად ჩვენ გავაბნიეთ 45 მილიონ მანეთამდე. თუ გადახედავთ მთელ ჩვენს აპარატს, თუ გადახედავთ ჩვენი მართვა-გამგეობის მთელ სისტემას, თუ შეხედავთ ჩვენს უმაგალითო ბიუროკრატიზმს, ჩვენს უთავბოლოთ დროის დაკარგვას ყოველგვარ შეთანხმების გამოსანახავად, პირდაპირ საშინელება გადაგეშლებათ თვალწინ.

მე არა ერთხელ მისულვარ შრომის და თავდაცვის საბჭოს და სახ. კომისართა თავმჯდომარესთან და მითქვამს: „ან გამანთავისუფლეთ თანამდებობიდან, ან გადმომეცით ვაჭრობის სახ. კომისარიატი, ან მომეცით სახელმწიფო ბანკიდან რამე, ან მომეცით ერთიც და მეორეც, იმიტომ რომ იმდენი შეთანხმებებია საჭირო, რომ საკითხის გადაჭრა არ შეიძლება, შეუძლებელია ასე მუშაობა.

ჩვენ დავიწყეთ კამპანია საწვრილმანო ფასების დაკლებისათვის.

თავმჯდომარე: თქვენი დრო გათავდა. რამდენი გჭირდებათ კიდევ?

ძერჟინსკი—10-15 წუთი.

ხმები ადგილიდან: დროს ნუ შეუზღუდავთ.

ძერჟინსკი: ამხანაგებო, როდესაც აყენებენ კითხვას: ვის ხარჯზე? დეე, თვალყურს ადევნოს ვაჭრობის სახ. კომისარმა იმას, რომ გამდიდრდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ჩვენთვის საჭიროა, დეე, ამ ტრიბუნიდან ნუ იტყვიან, რომ სოფელი საერთოდ მდიდრდება.

კამენევი. ნურც იმას, რომ ძერჟინსკიმ ტყუილ უბრალოთ გააბნიოს 45 მილიონი მანეთი.

ძერჟინსკი: იმას, რომ ძერჟინსკიმ არ გააბნიოს ტყუილ-უბრალოთ 45 მილიონი მანეთი.

კამენევი—თქვენ 4 წელიწადია კომისარი ბრძანდებით, მე კი მხოლოდ რამდენიმე თვეა.

ძერჟინსკი. თქვენ 44 წელიწადი იქნებით, მაგრამ არაფრად არ ივარგებთ (სიცილი), იმიტომ რომ ეწევით პოლიტიკანობას და არა მუშაობას. თქვენ კი მშვენივრად იცით, რაში მდგომარეობს ჩემი ძალა? მე არ ვზოგავ ჩემს თავს, კამენევი კი ამას არასოდეს არ ჩაიდენს.

ხმები ადგილიდან—„მართალია“. და ამიტომ ყველას გიყვარვართ, იმიტომ რომ თქვენ გჯერათ ჩემი. მე არ ვეწევი თვალთმაქცობას. როდესაც ვხედავ უწესრიგობას, მე მთელი ჩემი ძალ-ღონით თავს ვესხმი მას. მარტო მე ვერას გავხდები, ამიტომ გთხოვთ დახმარებას: და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუ ვაჭრობის სახ. კომისარი იქნება ჩვენთან ერთად კომისარიატში, ჩვენ უფრო ჩქარა მოვაგვარებთ საწვრილმანო ფასების დაკლებას და აპარატის გაუმჯობესების საქმეს.

პოლიტბიურომ იცის და მას ეჭვი არ ებადება იმაში, რომ ვაჭრობის სახ. კომისარიატი გლეხების დასაცავადაა დაარსებული. ვინ აწარმოებს ფასების დაკლების პოლიტიკას? ვინ ამბობს, რომ საჭირო არ არის ფასების აწევა? სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სასიქადულოთ უნდა ითქვას, რომ იგი მუდამ ატარებდა და თავის მხრებზე გადაიტანა ეს დირექტივა, ხოლო პიატაკოვის სასიქადულოთ უნდა ითქვას, რომ ის არღვევდა ამ დირექტივას და ჩვენ ხელს არ გვიწყობდა.

პეტროვსკი. „სულ ეს არის, ამისთვისაც მადლობა ეთქმის“.

თუ ვილაპარაკებთ დაგროვებაზე, უნდა ვთქვათ ვის ხარჯზე სწარმოებდა იგი. კამენევმა მოიყვანა ციფრები ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის განაწილების შესახებ, მაგრამ მას დაავიწყდა ერთი რამ: რომ სოფელი იყო ღატაკი, რომ მასში იყო უაღრესად ნატურალური მეურნეობა, ეხლა კი მისი საქონლიანობა დღითი-დღე იზრდება, ხდება მუშაობის სპეციალიზაცია, თანდათან იზრდება ტეხნიკური კულტურა და საქონლის ტრიალი, ამიტომ მე ვიტყვი, საჭიროა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ხოლო ეს მოხდება მაშინ, თუ ჩვენ მეტს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს მივიღებთ. რატომ? იმიტომ რომ ჩვენ გვესაჭიროება სოფლის ნედლი მასალა, გვესაჭიროება პური, ტყავი, კართოფილი, მატყლი, ჩვენ გვესაჭიროება სხვ მასალა. არ შეიძლება ინდუსტრიალიზაცია, თუ შიშით ვილაპარაკებთ სოფლის კეთილდღეობაზე. მე გეკითხებით, რას ნიშნავს სოფლის გამდიდრება იმ ზომებთან შედარებით, რომელსაც ჩვენი მრეწველობა იღებს მუშათა საჭიროებათა დაკმაყოფილების მხრივ? მსხვილი სახელმწიფო მრეწველობის ხელფასის მთელი ფონდი, ე. ი. ფონდი, რომელიც აკმაყოფილებდა არა ყველა მუშებს, არამედ 1.420.000 კაცს 1924 წ. ოქტომბერში, ხოლო 1926 წლ. 1 აპრილისათვის 1.904.000 კაცს, გაიზარდა 1924 წ. ოქტომბრიდან 1926 წ. აპრილამდე 59 მილიონიდან 104 მილიონამდე თვეში ე. ი. ორჯერ. როგორ შეიძლება აქ ქალაქის შედარება სოფელთან? მე პირდაპირ არ ვიცი რა უწოდო ასეთ შეფარდებას. თუ ავიღებთ მუშის ხელფასის ზრდას, 1924 წ. ოქტომბერში ხელფასი უდრიდა 1 მან. 69 კაპ. საშუალოთ მთელ მრეწველობაში. ამავე წლის მარტში—2 მ. 38 კაპ. დღეში ლითონის მრეწველობაში ოქტომბერში—1 მან. 87 კაპ., მარტში—2 მან.—2 მან. 79 კაპ., საფეიქრო მრეწველობაში 1 მან. 46 კაპ.—2 მან. 01 კაპ., ქიმიურ მრეწველობაში—1 მან. 40 კაპ.—2 მან. 40 კაპ. და სხვა.

აქედან თქვენ ხედავთ, როგორ გაიზარდა მუშათა ხელფასი. მაგრამ რადგან ვაჭრობის სახ. კომისარიატი ცუდათ მუშაობდა, რადგან იგი საკმარისად ვერ ლაგამავს კერძო კაპიტალს, ის მსხვერპლი, რომელსაც მრეწველობა იღებდა, მაინც ვერ ადიდებდა, მუშის ბიუჯეტს, ვინაიდან კლებულობდა ფულის სყიდვითი უნარიანობა, საწვრილმანო ფასების ზრდის გამო, და ამიტომ, თუ თქვენ დახედავთ ცხრილს—თუ როგორ იზრდებოდა რეალური ხელფასი, დაინახავთ, რომ ამ მაღალ საწვრილმანო ფასების წყალობით, ე. ი. ჩვენი ვაჭრობის მოუწესრიგებლობის გამო, ხელფასი 5 თვის განმავლობაში რეალურად, ფაქტიურად რამდენიმედ დაეცა.

აი ამიტომ იმის ნაცვლად, რომ ვილაპარაკოთ საერთოთ ხელფასის შესახებ, უნდა მივყოთ ხელი საწვრილმანო ფასების დაკლებას. მაგრამ, როდესაც ჩვენ შემოგვაქვს წინადადება კერძო კაპიტალის ალაგმვის შესახებ, ვაჭრობის სახ. კომისარიატი ამას გაურბის. მას ეშინია, ამით არ დაარღვიოს ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

(პიატაკოვის რეპლიკა არ ისმის).

თუ გნებავთ მე გამოვაქვეყნებ დოკუმენტებს, თუმცა დრო ცოტა დამრჩა. მე ვიცი, თქვენ ამას არ ჩაიდენდით.

სმირნოვი. ის უფრო ეშმაკია. მე ვიცი, რომ ვაჭრობის სახ. კომისარი, კამენევი, უფრო ეშმაკია; ეს მე ვიცი; მეორეს მხრივ კი კამენევი იქითაცაა და აქეთაც. თუ შევაფასებთ მის მუშაობას, დავინახავთ, რომ ის არ მუშაობს, როგორც საჭიროა, არამედ აქეთაცაა და იქითაც. ამაში მდგომარეობს მისი სისუსტე.

რას ვაპირობთ ჩვენ კერძო ვაჭრის მიმართ? ჩვენ ვამბობთ: საწვრილმანო ფასების დაკლების მიზნით ჩვენ უნდა მივსცეთ მას საქონელი გეგმის წესით, მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე: „არა აქვს უფლება 20%-ზე მეტი ზედნართი დაადოს“.

ჩვენ დავსძინეთ პიატაკოვის გასაგონად, რომ კერძო ვაჭარს უნდა დავადოთ კიდევ 10—15% სახელმწიფოს სასარგებლოდ. თუ ჩვენ ვაძლევთ მას განსაზღვრულ თანხას, მან უნდა მოგვცეს ერთგვარი პროცენტი იმისათვის, რომ საქონელს, სახელმწიფო საქონელს ვაძლევთ!

შეეკითხეთ ვაჭრობის სახ. კომისარს, თუ როგორ უყურებს ის ამ საკითხს?

(პიატაკოვის სიტყვები არ ისმის).

სრულიადაც არა. რას იქნევს ის ხელს? უნდა აარიდებდეს წინადადების შემოტანას და დემაგოგიას კი თავი უნდა დაანებოს. ვინ უარყო იგი? აი (დამახინჯებულია) დაწესებულება ვაჭრობის სახ. კომისარიატი...

რა წინადადებას ვიძლევით ჩვენ შემდეგ? ჩვენ მოვითხოვთ რეპრესიულ ზომებს სპეკულიანტების წინააღმდეგ. მაშინ ვაჭრობის სახ. კომისარი ამბობს, რომ საშიშია ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაუქმება.

კამენევი. ვინ ამბობს ამას?

ძერჟინსკი—თქვენი მოადგილე ფიგარტენერი დაესწრო ამ ჩვენ კამათს.

კამენევი—მე ვიყავი?

ძერჟინსკი—რაც შეეხებათ თქვენ, მე ვფიქრობ თქვენ საერთოდ ძალიან ხშირად არ ესწრებით.

ვოროშილოვი—ლიტერატურულ შემოქმედებაშია გართული.

ძერჟინსკი. ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვით შევეხო იმ დარგს, რომელიც პიატაკოვს უფრო კარგად მოეხსენება და რომელიც, სამწუხაროდ, მან აქ ძალიან აბნია. თქვენ გახსოვთ, როცა კამენევი ლაპარაკობდა იმის შესახებ რომ ჩვენ მომავალ წელს გავაფართოვებთ წარმოებას 15—16%-ით, პიატაკოვმა უკარნახა, რომ ფართო მოხმარების საგნების წარმოება—მხოლოდ 11%-ით გაფართოვდება.

პიატაკოვი—ეს არ არის მართალი.

ძერჟინსკი—მაშ როგორ სთქვით?

პიატაკოვი—მრეწველობის იმ დარგში, რომელიც ამზადებს ფართო მოხმარების საგნებს.

ძერჟინსკი. მართალია. მე შემიძლია ვსთქვა ისე, როგორც თქვენ სთქვით. მაგრამ თქვენ დაიბენით.—სამწუხაროდ გუშინ პიატაკოვი წავიდა ჩვენი პრეზიდიუმის სხდომიდან, როცა ხდებოდა საკონტროლო ციფრების განხილვა და როცა მე მომახსენეს პრეზიდიუმში გუშინ დილით, რომ მძიმე ინდუსტრია მატულობს 24, 25 პროცენტითაც კი, მსუბუქი კი მხოლოდ 11 პროცენტით, მე ვსთქვი: აშკარად შეუსაბამობაა! მაშინ როდესაც იზრდება გლეხის მეურნეობის მიერ საქონლის მოხმარება და სამუშაო ხელფასი. აშკარა შეუსაბამობაა თქმა იმისა, რომ ჩვენ ფართო მოხმარების საგნები შეიძლება გავადიდოთ მხოლოდ 11%-ით; ამასთანავე თქმა იმისა, რომ ჩვენ არც ერთი კაპეიკი არ შეგვიძლია გავიღოთ საზღვარგარეთიდან დამზადებული საქონლის შემოსატანად, ეს ნიშნავს განუხორციელებელ და ყალბი პროგრამის დასახვას, ვინაიდან ეს იქნება ჩვენი ჩერვონეცის დაცემა, ჩერვონეცის დაცემა კი სამუშაო ხელფასის დაცემას ნიშნავს.

მაშინ ყველა მუშაკებმა, რომლებიც პიატაკოვთან ამუშავებდენ ამ საკითხს, მითხრეს: „ნუ გეშინიათ! ჩვენ ხელოვნური დანაწილება ავიღეთ, ჩვენ ავიღეთ ეგრედ წოდებული მძიმე ინდუსტრია. რა არის მძიმე ინდუსტრია? მთელი ლითონი, მთელი ელექტრო-ტეხნიკა, მთელი ნავთი, მთელი საშენი მასალა,—ეს არის მძიმე ინდუსტრია, დანარჩენი,—მსუბუქი. ეგრედ წოდებული მსუბუქი ინდუსტრია და მსხვილი ინდუსტრია ასეთ პროცენტს იძლევიან. მაგრამ თქვენ იცით, რომ ლითონის მრეწველობა ფართო ბაზრისათვის მუშაობს (გამოტოვებულია) სასოფლო-სამეურნეო მანქანები ფართო ბაზრისათვის არ კეთდებიან? განა ნავთი სოფელში არ მიდის? იქ კვარით ხომ არ ანათებენ? განა ელექტრონის ლამპა არ მიდის სოფელში? მე გეკითხებით: როგორ იქნება მაშინ? მე მიპასუხეს, რომ თუ ავიღებთ ციფრებს, მაშინ მივიღებთ ისეთ ზრდას, რომ წარსულ და მომავალ წელშიაც დამოკიდებულების პროცენტი ერთი და იგივე იქნება, რაც ამავე ხარისხით მატულობს საშინაო (დამახინჯებულია) მხოლოდ მრეწველობისა, ტრანსპორტისა და აღმშენებლობისათვის ერთგვარად ფართო ბაზრისათვის. ჩვენ გუშინვე, პრეზიდიუმის სხდომაზე გავასწორეთ პიატაკოვის შეცდომა სხვა მხრივ. თქვენ გახსოვთ, ის სიტყვით გამოვიდა აქ იმის შესახებ, რომ არ უნდა იქმნას შემცირებული საფეიქრო მრეწველობის მუშები. მაგრამ ვინ შეადგინა საფეიქრო პროგრამა ისე, რომ საჭირო გახდა 49.000 მუშის დათხოვნა? ეს პროგრამა შედგენილ იქმნა პიატაკოვის დირექტივის მიხედვით.

პიატაკოვი (ადგილიდან). მე საწინააღმდეგო დირექტივა მქონდა.

ძერჟინსკი. ხომ ხედავთ, თქვენ სოციალურ უზრუნველყოფის თვალსაზრისს ანხორციელებთ. დაიქირაოდ ზედმეტი მუშები და არ დაითხოვოთ. თქვენ ყველაზე მეტი დეზორგანიზატორი ხართ მრეწველობისა. მე ვფიქრობ, ჩვენ არ შეგვიძლია მოვიქცეთ ისე, რომ ჩვენი მუშა-ფეიქრები და ჩვენი საფეიქრო ფაბრიკები უმოქმედოთ დარჩენ უსაშინლესი საქონლის კრიზისის დროს. ჩვენ მოგვიხდება პიატაკოვის საიმპორტო პროგრამის გადათვალიერება და საზღვარგარეთ დამატებით ერთი მილიონი ფუთი ბამბის ყიდვა.

პიატაკოვი. ეს წინადადება მე შევიტანე.

ძერჟინსკი. მაგრამ ამის შესახებ თქვენ არაფერი არ გითქვამთ.

საკმაო იყო ჩემი ყოფნა პრეზიდიუმის სხდომაზე, რომ ეს შეცდომა გამოგვესწორებია და ჩვენ გავასწორეთ შეცდომა. (**ტროცკის** რეპლიკა: ვერ დაიჭირეთ!) რასაკვირველია ყოველივე კარგი მხოლოდ ტროცკის მიმდევრიდან გამომდინარეობს და ყოველი ცუდი კი იმათგან ვინც მას არ ეთანხმება.

პიატაკოვი ამბობს: მე მივუთითებ ჩვენს უყაირათობაზე მეურნეობაში, იმ რეზერვებზე, რომლებიც გვაქვს ჩვენს სავაჭრო და სამრეწველო აპარატში. მაგრამ პიატაკოვი ბიუჯეტს ჩააცივდა. მე გეკითხებით: არმია უნდა შევამციროთ? არმიის შემცირება არ შეიძლება, არმია და მისი ხარჯები ეხლა გადიდებულ უნდა იქნას (ხმები: მართალია!)

ძერჟინსკი: კამენევო, თქვენსა და ჩემს შორის თვით თქვენ სამხედრო მრეწველობას?

ძერჟინსკი. კამენევო, თქვენსა და ჩემს შორის განსხვავება იმაშია, რომ თქვენ მთელს ბრალს აკისრებთ იმ პირს, რომელიც სათავეშია, მე კი ამას არ ჩავდივარ. (ბაკაევის რეპლიკა: ვერ დაიჭირეთ!). კეთილ ინებეთ, ამხ. ბაკაევო, გვიამბეთ თქვენი სამეურნეო მოღვაწეობის შესახებ. უბრალო რამეზე მე თქვენ არ გიპასუხებთ. მე ამ სამუშაოზე დამნიშნა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ამიტომ მე თქვენ შენიშვნაზე არ გიპასუხებთ.

კიდევ რა უნდა შევამციროთ ბიუჯეტში? განათლების ხარჯები? შეიძლება ამხანაგ პიატაკოვმა გითხრათ თუ როგორ იხრჩობა ჩვენი მრეწველობა კულტურის ნაკლებობით, კვალიფიკაციის ნაკლებობით. ჩვენ არ შეგვიძლია ამ ხარჯების შემცირება. ჩვენ შეგვიძლია და უნდა შევამციროთ ჩვენი აპარატის წმინდა ადმინისტრატიული ხარჯები და შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო დადგენილება ამ აპარატის ხარჯების შემცირების შესახებ.

შემდეგ ამხანაგი პიატაკოვი ამბობს: რატომ გვაწვალებთ? ბოლოს და ბოლოს მოგვეცით სახსარი, რატომ გვაწვალებთ? მე სავსებით ვეთანხმები პიატაკოვის ხმას. მართლაც, როცა ჩვენი სამეურნეო მუშაკები აყენებენ გადაჭარბებულ მოთხოვნილებებს, როცა მცირე სახსარი გვაქვს, მაშინ ეს მართლაც ტანჯვა-წამებაა. ტანჯვაა ის, რასაც ჩვენ განვიცდით კრედიტის დარგში, თანხების დარგში; მე ვამტკიცებ, რომ რადგან ჩვენ წავედით ინდუსტრიალიზაციის გზაზე, რადგან ჩვენ ავიღეთ ის ტემპი, რომელიც გვაქვს, ეს აუცილებელია; მაგრამ აქ ჩვენ არც უნდა გავაზვიადოთ და არც შევამციროთ. პიატაკოვმა სთქვა, თითქოს ჩვენ მესამე კვარტალში მოვითხოვდით, რომ ნურც რამეს წაგვართმევენ და ნურც რამეს მოგვცემენ. უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ ამას არ მოვითხოვდით. ჩვენ მოვითხოვდით 61 მილიონის მომატებას. მაშინ ჩვენ არ მოგვცეს ეს 61 მილიონი, პირიქით, შეინმანმა, რომელიც იქ ზის, მოითხოვა, რომ ჩვენი კრედიტები 45 მილიონით შემცირებულიყო. ჩვენ მოვითხოვდით მის მომატებას 81 მილიონით და ბოლოს და ბოლოს ჩვენ გვითხრეს უარი და მიიღეს სახელმწიფო ბანკის თვალსაზრისი. მართლაც არ შეიძლებოდა, როცა კრედიტის მომატება შეუძლო და აუცილებელი გახდა, მაშინ მოგვცეს ეს თანხა.

ამრიგად თქვენ ხედავთ, რომ ის ცნობები და ის საბუთები, რომელიც აქ მოჰყავს ჩვენს ოპოზიციას, ემყარება არა ფაქტიურ მასალებს, არამედ სურვილს, რაც არ უნდა დაუჯდეთ ხელი შეუშალოს იმ შემოქმედებითი მუშაობას, რომელსაც პოლიტბიურო და პლენუმი აწარმოებენ (ტაში).

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 3 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლატვიის წინადადება საბჭ. კავშირს საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ

პუანკარე მოითხოვს კონსტიტუციის შეცვლას

პუანკარეს სურს, რომ პარლამენტი არ ერეოდეს საფინანსო საქმეებში

საფრანგეთის მთავრობამ მოიწონა დამოუკიდებელი საამორტიზაციო კასის დაარსების პროექტი

პალატამ მთლიანად მიიღო პუანკარეს საფინანსო კანონ-პროექტები.—ნაციონალური კრების მოწვევა

უნგრეთელ რევოლიუციონერების უკანასკნელი სიტყვა.—არეულობა მექსიკაში

ლატვიის წინადადება

საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ

მოსკოვი, 2 აგვისტო. ლატვიის მთავრობამ საბჭოთა წარმომადგენელს გადასცა მემორანდუმი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ორივე მთავრობა ერთნაირი შეხედულებისაა იმ კონვენციის სარგებლობის შესახებ, რომლის ძალით ეს ორი სახელმწიფო ერთი-მეორეს დაიხსნის თავს. ლატვიის მთავრობა მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება და თანახმა არის დასდოს ხელშეკრულება სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით მოსაწესრიგებლად. იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ერთი-მეორეზე არდაცემის ვალდებულება დააინტერესებს რამოდენიმე სახელმწიფოს და თითეული ასეთი ვალდებულობა ცალ-ცალკე აღებული არ იქნებოდა დასახული მიზნის შესაფერი, ლატვიის მთავრობა საჭიროთ სთვლის საკითხის გასარკვევათ დანიშნულ იქნეს მოსამზადებელი კომისია ყველა უშუალოდ დაინტერესებულ სახელმწიფოს წარმომადგენლების მონაწილეობით.

პროცენტების გადიდება

პარიზი, 1 აგვისტო. საფრანგეთის ბანკმა გაადიდა გასანაღდებელი პროცენტები 6-დან 7½-დე.

10 მილ. დოლარი

ბერლინი, 3 აგვისტო. საფრანგეთმა გუშინ შეერთებულ შტატებს სამხედრო სესხის პროცენტები გადაუხადა 10 მილ. დოლარი.

საფინანსო პროექტი

პარიზი, 1 აგვისტო. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ 275 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 188 ხმისა მთლიანად მიიღო პუანკარეს მთავრობის საფინანსო პროექტი.

პუანკარე უცხოეთის სესხს ეძებს

პარიზი, 2 აგვისტო. გაზეთი „კოტიდიენი“ იუწყება, რომ პუანკარე, ვანდერველდესთან საუბრის შემდეგ დარწმუნდა, რომ აუცილებელია უცხოეთის სესხის მიღება. გაზეთი ამბობს, რომ პუანკარეს განზრახვა აქვს ეძიოს სესხი ინგლისში ან ჰოლანდიაში, ამიტომ მოითხოვს სესხის შესახებ ლონდონის შეთანხმების რატიფიკაციას.

საფრანგეთი და ესპანია

ბერლინი, 3 აგვისტო. პარიზიდან მიღებული ცნობით, ესპანიასთან შეწყვეტილია სატელეგრაფო და სატელეფონო ურთიერთობა.

უნგრეთი და საბჭოთა კავშირი

კამპანია საბჭ. კავშირთან დაახლოების სასარგებლოთ უნგრეთში

ვენა, 1 აგვისტო. უნგრეთის მთავრობა ოფიციალურად უარყოფს ცნობას იმის შესახებ, რომ მან ნება დართო რუს მონარქისტებს იყოლიონ ბუდაპეშტში დიპლომატიური წარმომადგენლობა.

ამავე დროს სწარმოებს კამპანია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების სასარგებლოდ. ახლად დაარსებულ უნგრეთის დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის თავმჯდომარე რასსაი აღნიშნავს, რომ საბჭ. რუს. ურთიერთობის განახლების დაგვიანება ზიანს აყენებს უნგრეთის მრეწველობის ინტერესებს. უნგრეთის ბურჟუაზიის ძლეთი განწყობილების გამო სოციალ-დემოკრატების ორგანო „ნეპსავაც“ ღებულობს მონაწილეობას საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ დაწყებულ კამპანიაში. „ნეპსავა“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების საკითხში შემცირდა წინააღმდეგობა მთავრობის მხრივ და მოითხოვს, რომ არ დაემორჩილონ უნგრეთის ფაშისტების ინტრიგებს და ცხოვრებაში გაატარონ საბჭოთა კავშირთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება“. ვინც საბჭოთა კავშირთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულობის წინააღმდეგია, სწერს გაზეთი, იგი უნგრეთის მთავრობის ინტერესების, უნგრეთის მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგია.

პუანკარე ასრულებს ამერიკის დირექტივებს

პუანკარეს საფინანსო კანონ-პროექტი

ლონდონი 3 აგვისტო. „დეილი მეილის“ ცნობით, ფრანკის გადასარჩენად განზრახულია კონსტიტუციის შეცვლა. პუანკარე სთხოვს პრეზიდენტს უდიდესი ზეიმის ხასიათი მისცეს ამორტიზაციულ ფონდის შექმნას. პუანკარეს აზრით, ერთად-ერთი საშუალება, რომ ფინანსების საქმეში არ ჩაერიოს პარლამენტი, მდგომარეობს იმაში, რომ ფინანსები გახდეს კონსტიტუციის შემადგენელ ნაწილად, რაც შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული კრების (სენატის და დეპუტატთა პალატის) მოწვევის დროს. ეროვნული კრება ვერსალში გაიმართა კონსტიტუციის გადასასინჯავათ მხოლოთ ორჯერ.

პარიზი, 3 აგვისტო. საფინანსო პროექტი მთლიანად მიღებულია დეპუტატთა პალატაში 304 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 177-ისა. უმცირესობაში დარჩნენ: 28 კომუნისტი, 94 სოციალისტი, 12 რესპუბლიკანელი სოციალისტი, 31 რადიკალ-სოციალისტი, 11 დამოუკიდებელი, 1 რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ კავშირის დეპუტატი; 48 დეპუტატმა თავი შეიკავა.

ლონდონი, 3 აგვისტო. საფრანგეთის სენატის საფინანსო კომისიამ განიხილა და მიიღო მთავრობის საფინანსო კანონპროექტი მთლიანად.

ფრანკის სტაბილიზაცია

პარიზი, 1 აგვისტო. იუწყებიან, რომ პუანკარეს განზრახვა აქვს, შეიტანოს პარლამენტში ფრანკის სტაბილიზაციის პროექტი შინაური ვალების მოსაწესრიგებლად; ამ პროექტით საამორტიზაციო კასას შინაური ვალების დასაფარავად გადაეცემა გადასახადები მემკვიდრეობისაგან და სხ. შემოსავალი.

არსდება აგრეთვე „თამბაქოს მონოპოლიის ეროვნული საზოგადოება“, რომლის 25 მილიარდი ფრანკის აქციები გაიცვლება მოკლე-ვადიან ბონებზე.

ფინანსიური პროექტის მოწინააღმდეგენი

პარიზი, 2 აგვისტო. პარლამენტის მიერ 31 ივლისს მიღებულ საფინანსო პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს: 28 კომუნისტმა, 95 სოციალისტმა, 12 რესპუბლიკანელმა სოციალისტმა, 31 რადიკალებმა, 11 უპარტიომ, მორენის ჯგუფის (ეროვნული ბლოკის მემარჯვენე ფრთა) ერთმა დეპუტატმა. კენჭის ყრაში თავი შეიკავა 49 დეპუტატმა, მათ რიცხვში 1 სოციალისტმა, 32 რადიკალმა. კენჭის ყრის დროს 40 დეპუტატი სხდომაზე არ იყო.

უცხოელები საფრანგეთში

ბერლინი, 3 აგვისტო. საფრანგეთში მყოფ უცხოელების გადასახადი ცხოვრების ნებართვისათვის, ახალი კანონპროექტის მიხედვით, გადიდებულია 68 ფრანკიდან 37 ფრანკამდე.

სარროს განცხადება

ბერლინი, 3 აგვისტო. როგორც სარრომ განაცხადა, საფრანგეთი აპირობს ყველა თავის ვალების ცნობას. ვაშინგტონთან დადებულ ხელშეკრულების რატიფიკაცია არ იქნება გადადებული. ნაციონალურ და სახაზინო ბონების კონვერსია არ არის გათვალისწინებული. პუანკარეს სტაბილიზაციური გეგმა არ გულისხმობს უცხოეთის კაპიტალების უარყოფას. ამასთანავე მთავრობა უნდა ერიდოს საფრანგეთის ბანკის ოქროს მარაგიდან სესხის აღებას და ეცადოს საფრანგეთის ფინანსიურ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

საამორტიზაციო კასა

პარიზი, 3 აგვისტო. მინისტრთა საბჭომ მოიწონა ავტონომიურ ამორტიზაციულ კასის დაარსება.

„პარი მიდი“-ს ცნობით, პუანკარეს სტაბილიზაციის მიზნით განზრახული აქვს უზრუნველჰყოს უცხოეთის, მაგრამ არა ამერიკის კრედიტების მონაწილეობა.

ნაციონალური კრება ვერსალში გაიმართება, ალბათ, 10 აგვისტოს.

ფრანკის კურსით სპეკულიაციის წინააღმდეგ მიღებული იქნება უკიდურესი რეპრესიული ზომები. მთავრობა საიდუმლოთ ინახავს ბრძოლის საშუალებებს.

დღემდის პუანკარე, როგორც სჩანს, იცავდა დამოუკიდებელ პოლიტიკას ფრანკის კურსის სტაბილიზაციის მიმართ, მაგრამ ამჟამად, იგი იხრება ექსპერტთა კომისიის პროგრამისაკენ, რამაც გავლენა მოახდინა ფონდების და ფრანკის კურსზე. ამერიკისა და ინგლისის ვალების გადახდის საკითხში, პუანკარე, როგორც სჩანს, იცავს წინანდელ მთავრობის პოზიციას და სცდილობს რაც შეიძლება ჩქარა დაამტკიცოს შეთანხმება ლონდონთან და ვაშინგტონთან, ვაშინგტონის ხელშეკრულებაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანით. ლონდონთან დადებულ ხელშეკრულების რატიფიკაციას მოყვებოდა კრედიტების მიღება.

უნგრეთელ რევოლიუციონერების პროცესი

რაკოშის, გეგიშის და სხვების უკანასკნელი სიტყვა

ვენა, 1 აგვისტო. საბოლოო სიტყვა ეძლევა რაკოშის, ერის, გეგეშს და ეკატერინე ხამანს.

რაკოშის სიტყვა

რაკოშიმ სთქვა:

კომუნისტებს ვერ შეაშინებს ის სასჯელი, რომლითაც გვემუქრება პროკურორი. განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩაქრობა შეუძლებელია სასტიკი ზომებით. პროკურორი უწოდებს კომუნისტებს საზოგადოების ნაძირალებს, მაგრამ მე ჩემი ღირსების ამაყი შეგნებით უარვყოფ პროკურორის საზიზღარ გამოსვლას. ფუსთის ათასმა კომუნისტმა მოწამებრივი სიკვდილი მიიღო მამაცურ ბრძოლაში. უნგრეთში 8 მილიონ მუშას ტყავს აძრობს ხუთი ათასი კაცი, ლენინმა და კომუნისტურმა პარტიამ დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც დაფუძნებულია მშრომელთა უმრავლესობის ნება - სურვილზე. საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო საბჭოთა კავშირში ყოველგვარი პრივილეგია და მუშებს მიანიჭა ბატონობა, გლეხებს — მიწა. უნგრეთის ერთი მერვედი ეკუთვნის 30 პირს, მაშინ, როდესაც 1.100.000 გლეხს არ გააჩნია მიწის ერთი ნაგლეჯიც—კი. ჩვენ ვცდილობთ მიწა ჩამოვართვათ მემამულეებს. უნგრეთში მიწების განაწილება შეუძლია მხოლოდ კომუნისტებს. შემდეგ რაკოში ლაპარაკობს: „ჩემი პროცესი არ არის გადამწყვეტი. უნგრეთის მშრომ. მასსებს აქვს სხვა უფრო მნიშვნელოვანი პროცესები. პირველი პროცესი ეს არის ბრძოლა უნგრეთის სისხლისაგან დაცლილ გლეხობისა მსხვილ მემამულეთა წინააღმდეგ. მეორე პროცესი ეს — უნგრეთის პროლეტარიატის ბრძოლაა ყაჩაღური იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მესამე პროცესი—ეს გაბსბურგების წინააღმდეგ მიმართული პროცესია. მიუხედავათ იმისა, რომ უნგრეთში გაბსბურგის დინასტიის ბატონობა და ხალხის ჩაგვრა ასწლობით გრძელდება — დღესაც უხშობენ მას რესპუბლიკანურ სურვილებს. მეოთხე პროცესი ეს მშრომელთა ბრძოლაა უნგრეთის „გაჯანსაღების“ სისტემის წინააღმდეგ, რომელსაც ხალხს ალატაკებს.

მეხუთე პროცესი — ეს არის ბრძოლა გამყიდველი სოც.-დემოკრატიის დიქტატურის წინააღმდეგ, რომელიც ბურჟუაზიის ბურჯი გამხდარა. მეექვსე პროცესი — ეს მშრომელთა არალეგალური ძლიერი ბრძოლა მართველი კლასებისა, მოსამართლეებისა, ჟანდარმებისა და პოლიციელების წინააღმდეგ მიმართული.

(თავმჯდომარე რაკოშის ართმევს სიტყვას.

ერის სიტყვა

რაკოშის შემდეგ სიტყვა ეძლევა ერის. ერი ყოფილი გლეხია და ახურითებს უნგრეთის სასოფლო სამეურნეო მუშების სიღატაკეს. „მე გავხდი კომუნისტი, — ამბობს იგი, — რადგან დავრწმუნდი, რომ სოც.-დემოკ. ბელადები ანგრევენ პროფსაბჭოებს და მოქმედებდნენ მწარმოებლებთან შეთანხმებით, ერეკებიან პროფსაბჭოდან შეგნებული და ათი წლის მქონე წევრებს;

მუნგრეთში ხელფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე სადმე სხვაგან და მუშებიც უფლებებს მოკლებული არიან. მაგრამ მიუხედავათ ეკონომიურ კრიზისისა კაპიტალისტები იღებენ დიდ სარგებელს, ხოლო სახელმწიფოს ფულები იმის მაგიერ, რომ იქნას გამოყენებული უმუშევრობის მოსასპობად, ხმარდება პოლიციის და ჟანდარმერიის შენახვას. რეფორმისტული ლიდერები არიან გამცემლები. მუნგრეთის ბურჟუაზიის დამარცხება შეიძლება მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ ხელმძღვანელობის მოსპობით.

გეგეშის სიტყვა

ერის შემდეგ სიტყვა ეძლევა ბრალდებულს გეგეშს, რომელმაც შემდეგი განაცხადა: „მე წავედი საომრად როგორც პატრიოტი. ომის საშინელებამ დამარწმუნა მე, რომ ჩვენ ვიღუპებით იმპერიალისტების ინტრესებისათვის. ჩვენ კომუნისტები ფანატიკოსები კი არა ვართ, არამედ ჩვენ ვართ რწმენის ხალხი. მუშები და გლეხები ტყუილ - უბრალოთ ღვრიდენ თავიანთ სისხლს იმპერიალისტურ ომის დროს. მუნგრეთის მუშა შიშველ - ტიტველი დადის, ხოლო მუშაობის შეწყვეტა სიმშილისაგან სიკვდილს უმზადებს მას. უმიწაწყლო გლეხების მილიონები ოცნებობენ არა საკუთარი მიწის ნაჭერზე, არამედ ერთ წყვილ ჩექმაზე და პურის ნაჭერზე თავისი მშიერი ბავშვებისათვის.

საბჭოთა რუსეთში კი გლეხი მშვენივრად სცხოვრობს. ამიტომ საბჭოთა კავშირი, საკავშირო კომპარტია და ლენინი ჩემი იდეალია. ჩვენი ბელადია ლენინი, რომელმაც მისცა გლეხებს მიწა ნაცვლად აღთქმულ სამოთხისა.

თავმჯდომარე: „მე თქვენ გიკრძალავთ ლენინის ქებას“.

ლენინმა, განაგრძობს გეგეში, პროლეტარიატს უჩვენა გზა კაპიტალისტური მონობიდან განთავისუფლებისაკენ. ლენინი ჩვენი მასწავლებელია, ისტორიის და კაცობრიობის კანდელი.

თავმჯდომარე: კვლავ მოგიწოდებთ წესრიგისაკენ და თუ კიდევ განაგრძობთ ლენინის ქებას, სიტყვას წაგართმევთ.

დასასრულ, განაგრძობს გეგეში, შემიძლია გავაკეთო განცხადება ფულის წარმოშობის შესახებ, ის განცხადება, რომლის გაკეთებაზე მე ყოველთვის უარს ვამბობდი. ჩვენ ვამაყობთ საერთაშორისო პროლეტარიატის ნივთიერი დახმარებით, ჩვენ ვიღებთ მთელ მსოფლიოში გაფანტულ ემიგრანტებისაგან გაჭირვებით შეგროვილ ფულს. ღარიბი მუშები და გაღატაკებული მუშათა ცოლები იძლევიან თავის წვლილს მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. როცა ჩვენ ვიბრძვით კომპარტიის ლეგალობისათვის, ამბობს გეგეში, ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ჩვენს ბელადს ბელა კუნს. (თავმჯდომარე სიტყვას ართმევს).

ეკატერინე ხამანის სიტყვა

ბრალდებული ეკატერინე ხამანი აცხადებს, რომ იგი წარმოადგენს უნგრეთის პროლეტარ ქალებს. სიტყვები არ მეყოფა, აცხადებს იგი, რომ ავსწერო უნგრეთის პროლეტარ ქალების გაჭირვება. მე ბრალდებულის სკამიდან ვეკითხები ჩემ დებს — პროლეტარ ქალებს, სანამ უნდა მოითმინონ მათ. ხამანი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის სოციალური მიღწევებზე, ბავშვებისათვის მზრუნველობაზე, დედობის დაცვისათვის მიღებულ ზომებზე და მუშაობაზე.

შემდეგ ხამანი აღნიშნავს, რომ ქალის შრომა საბჭოთა კავშირში ისევე ფასობს, როგორც მამაკაცის შრომა. უნგრეთის პროლეტარო—ქალებო, ათავებს ხამანი; თუ თქვენ არ გინდათ თქვენი შვილების დაღუპვა, მოდით ჩვენთან და იბრძოლეთ ჩვენთან, კომუნისტებთან ერთად.

გაუმარჯოს უნგრეთის კომუნისტურ პარტიას. გაუმარჯოს პროლეტარულ დიქტატურას!

განაჩენთა გადასინჯვის მოთხოვნილება

ვენა, 1 აგვისტო. რაკოშის პროცესის შთაბეჭდილების ქვეშ მრავალი წარმომადგენლები უნგრეთის ბურჟუაზიულ, განსაკუთრებით იურიდიულ წრეებისა, მოითხოვენ ყველა იმ განაჩენთა გადასინჯვას, რომლებიც გამოტანილ იქნა კომუნისტების პროცესებზე (დამახინჯებულია). კრებაზე მიღებული რეზოლიუცია, ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ მუნგრეთის მთავრობამ ამნისტია გამოაცხადა თეთრგვარდიელ მკვლელთა და სისხლის სამართლის დამნაშავეთათვის, მოითხოვს პოლიტიკურ ამნისტიას და ტუსაღთა და ემიგრანტთა პოლიტიკურ უფლებებში აღდგენას.

ვაგის უკანასკნელი სიტყვა

ვენა, 3 აგვისტო. მუნგრელ რევოლიუციონერების პროცესზე სოციალისტურ მუშათა პარტიის ბელადმა, ვაგიმ, თავის უკანასკნელ სიტყვაში სთქვა:

„პირად დაცვაზე უარს ვამბობ; მე ვილაპარაკებ მხოლოდ დევნილ სოციალისტურ მუშათა პარტიის ინტერესების დასაცავად. პროკურორი იცავს ძირმომპალ კაპიტალისტურ წყობილებას, მწარმოებელთა საზღაპრო მოგებას, სიძვირის ზრდას და რეალურ სამუშაო ხელფასის დაკლებას, რომლებსაც მუშები ათასობით მიჰყავს თვითმკვლელობამდე და რომლებმაც მუნგრეთი გადააქციეს მეფის კლასიკურ ქვეყნად. თუ მე მეამბოხეს მიწოდებენ იმისთვის, რომ ვაცხადებ—ასეთ პირობებში შეუძლებელია მუნგრეთის განვითარება, მაშინ მე სიამოვნებით და ამაყად ვღებულობ ასეთ სახელწოდებას და მზად ვარ გადავიტანო ყოველგვარი სასჯელი“ (თავმჯდომარე მოუწოდებს წესრიგისაკენ). ვაგი განაგრძობს: „მე ბრალს მდებენ კომუნისტობაში. მარქსმა და ენგელსმაც მიიღეს ეს სახელწოდება, რომ გამორჩეული ყოფილიყვნენ სადარბაზო სოციალისტებისაგან, რომლებიც უარჰყოფენ კლასიურ ბრძოლას, და იცავდენ არა პროლეტარიატს, არამედ ბურჟუაზიულ კლასს. ამ მხრივ მე კომუნისტი ვარ. 8 წლის ვიყავი, როცა დავიწყე მუშაობა და დამიწყეს დევნა.სოციალისტურ პარტიაში ჩემი შესვლის შემდეგ, მე განუწყვეტლივ მათრევდნენ ერთი ციხიდან მეორეში. როგორც მიყურებთ, მე ვერ მავნო ციხის ჰაერმა. ფიზიკურად მე სრულიად ჯანმრთელი ვარ, ხოლო მორალურად უფრო ძლიერი“ (თავმჯდომარე ემუქრება სიტყვის წართმევით). ბრაზმორეული ვაგი დაიძახებს: „სახრჩობელაზედაც რომ ამიყვანოთ, თქვენ მაინც ვერ დამიშლით მე ლაპარაკს“.

ვეინბერგერის უკანასკნელი სიტყვა

ვენა, 2 აგვისტო. თავის უკანასკნელ სიტყვაში ბრალდებულ ვეინბერგერმა განაცხადა: „მე 26 წლისა ვარ და უკვე მესამეთ ვარ პასუხისგებაში მიცემული. 17 წლის ახალგაზრდას მომისაჯეს 15 წლის ციხე. ჩემი სიცოცხლის „გაფუჭება“ მე ციხეში გავატარე. მე ამას ვიგონებ იმისათვის, რომ დავამტკიცო მე საზოგადოების ავადმყოფობა, რომელიც სცდილობს ასეთ ახალგაზრდა ბოროტმოქმედებისაგან თავის დაცვას. მთელი ჩემი სიცოცხლე მე გავატარე ციხეში—ამ საუკეთესო რევოლიუციონურ სკოლაში. ჩემი დანაშაულობა ბურჟუაზიის წინაშე გამოიხატება იმაში, რომ მე ჩემს თავს ვაცხადებ კომუნისტად. მუნგრეთში პროლეტარიატის დიქტატურის დამარცხებამ და საბჭოთა კავშირში რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვებამ მე ბევრი რამ მასწავლა.

არეულობა მექსიკაში

ინგლისის პროტესტი

მექსიკა, 2 აგვისტო. ინგლისის წარმომადგენელმა მექსიკაში მექსიკის გარეშე საქმეთა მინისტრს პროტესტი განუცხადა საეკლესიო ქონების კონფისკაციის გამო, რომელიც ინგლისის მოქალაქეებს ეკუთვნის.

ბერლინი, 3 აგვისტო. მექსიკიდან მიღებული ცნობით, ეკლესიის შესახებ ახალი კანონის ძალაში შესვლამ სისხლის მღვრელი შეტაკებები გამოიწვია.

იუწყებიან, რომ მექსიკის სხვადასხვა ადგილებში არეულობაა. სერიოზულ არეულობის დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა შაბათს მექსიკაში, მოკლულ იქნა 6 კაცი, 38 მძიმედ დასჭრეს და რამოდენიმე ასეული კაცი დაატუსაღეს. ბრბომ ქვები ესროლა გენერალურ პროკურორისა და მთავრობის მოხელეების, რომლებიც მექსიკაში მოვიდენ წმ. ეკატერინეს ეკლესიის დასაკეტად. ბრბო გაფანტულ იქნა ცეცხლისმქრობელი რაზმის მიერ, რომელიც წყალს ასხამდა მას. სან-რაფაელში კონგრეგაციამ უარი სთქვა ეკლესიის დალუქვაზე. **ჯარმა ასტეხა სროლა, რომლის დროს მოკვდა და დაიჭრა რამოდენიმე დემონსტრანტი.** არეულობა დაიწყო იმით, რომ ქალებმა ქვები დაუშინეს პოლიციელებს.

პრეზიდენტ კაიეს მოკვლას უპირებდენ

ლონდონი, 3 აგვისტო, პრეზიდენტ კაიეს გაძლიერებული რაზმი იცავს. დატუსაღებულია 75 ქალი და 2 მამაკაცი. შეთქმულების აღმოჩენასთან დაკავშირებით, რომლებსაც მიზნად ჰქონდა პრეზიდენტის მოკვლა.

კვირამ მშვიდობიანად ჩაიარა. შესდგა მუშათა დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 50.000 მთავრობის მომხრემ.

იმ დატუსაღებულთა შორის, რომლებსაც ბრალი ედებათ პრეზიდენტის წინააღმდეგ შეთქმულებაში, არის 16 წ. ქალიშვილი. რომელსაც მინდობილი ჰქონდა კაიესის მოკვლა.

ინგლისის მთავრობამ ოფიციალურად პროტესტი განაცხადა მექსიკის მთავრობის საეკლესიო კანონების წინააღმდეგ.

მექსიკიდან მიღებული ცნობით, კათოლიკურმა ეპისკოპოსმა წერილობით გამოსთქვა სურვილი, მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყების შესახებ. პლებისციტით უნდა გამოირკვეს დამოკიდებულება პრეზიდენტ კაიესის მოქმედებისადმი, რომელმაც ბრძანება გასცა, რომ შეჩერებულ იქნას რელიგიის სწავლება სკოლებში, დაიშალოს სარწმუნოებრივი ორგანიზაციები და სახელმწიფოს სასარგებლოდ კონფისკაცია მოუხდინონ ყოველგვარ საეკლესიო მფლობელობას.

პრესის გამოძახილი

პარიზი, 3 აგვისტო. საფრანგეთის გაზეთები ყურადღებით ადევნებენ თვალყურს მექსიკის ამბების განვითარებას. „პტი პარიზიენი“ ფიქრობს, რომ მოძრაობას უფრო ნაციონალისტური ხასიათი აქვს, ვიდრე წმინდა კათოლიკური. „ჟურნალის“ აზრით, შეერთებული შტატები მეტად დაინტერესებულნი არიან მექსიკის საქმეებში ჩარევით, მაგრამ ანგარიში უნდა გაუწიონ კუ-კლუკს-კლანის წინააღმდეგობას; მექსიკის კრიზისი მნიშვნელოვან ელემენტად უნდა გადაიქცეს შეერთებულ შტატების პოლიტიკურ ევოლიუციაში.

მდგომარეობა ჩინეთში

აჯანყება ცხენოსან ჯარში

ხარბინი, 1 აგვისტო. იაპონიის გაზეთის „მანჯურია დეილი ნიუზი“-ს (გამოდის დაირენში) ცნობით, ჩინეთის ცხენოსანი ბრიგადის ორი ესკადრონი, რომელიც ჩენდაოს მახლობლად იმყოფება, აჯანყდა და დაიწყო მახლობელი სოფლების ძარცვა-გლეჯა. გაზეთები სწერენ, რომ აჯანყება შეიძლება გაგრძელდეს.

ყალბი ცნობები

პეკინი, 2 აგვისტო. ჩინეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობა ჩან-ძო-ლინის ჯარების მიერ სადგურ ნანკოუს დაკავების შესახებ ტყუილი აღმოჩნდა.

რკინის-გზის დეპო და სადგური ნანკოუ სახალხო არმიის ხელშია.

გაფიცვა ინგლისში

კუკის განცხადება

ლონდონი, 3 აგვისტო. ლესტერშირში გამართულ დემონსტრაციის დროს კუკმა განაცხადა: „ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას მხოლოდ ნაციონალურ შეთანხმების შესახებ ნაციონალური მინიმუმით [illegible] ხელს არ მოვაწერთ ხელშეკრულებას, რომელშიაც გათვალისწინებული იქნება 8 საათის სამუშაო დღე.

ბალდუინს განზრახული ჰქონდა ექს-ლე-ბენში წასვლა სამკურნალოთ. როგორც კი გათავდებოდა პარლამენტის სესია, მაგრამ გადაეწყვიტა თავის მოგზაურობის გადადება, იმ მიზნით, რათა იყოს ინგლისში იმ შემთხვევისათვის, თუ ქვა-ნახშირის მრეწველობაში მოხდა რაიმე ცვლილება. დღემდის მდგომარეობა უცვლელია და მთავრობა დაჟინებით იცავს თავის განცხადებას, რომ მას არ შეუძლია გააგრძელოს სუბსიდიის გაგრძელება კიდევ ოთხი თვით.

პარლამენტის დათხოვნას მოითხოვენ

ლონდონი, 2 აგვისტო დამოუკიდებელ მუშათა პარტიის საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია რომ აუცილებლად უნდა დაიწყოს კამპანია პარლამენტის დასათხოვნად და ახალი არჩევნების დასანიშნად იმ მიზნით რომ [illegible] იქნას კონსერვატიული მთავრობის გადაყენება, რომელიც სცდილობს სამთამადნო მუშების შიმშილით დამარცხებას.

პოლონეთის კონსტიტუციის შეცვლა

პარიზი, 3 აგვისტო. ვარშავიდან მიღებულ ცნობით, სენატმა დამატებითი ცვლილებები შეიტანა კონსტიტუციაში, რომლითაც სენატს მიენიჭა ინიციატივის უფლება, როგორც სეიმს და საკანონმდებლო ინიციატივა. სესია შესწყდება სექტემბრის შუა რიცხვებამდე.

პოლონეთი თავს იმართლებს

ვარშავა, 1 აგვისტო. ოფიციალური გაზეთი „გოლოს პრავდა“ ათავსებს წერილს სათაურით: „ნაციონალ-დემოკრატ-ბოლშევიკ—გერმანელთა შეთქმულება“, რომელშიაც აღნიშნავს, რომ პოლონეთისადმი ბრალდებას სამხედრო მომზადების შესახებ ავრცელებენ საბჭოთა. გერმანიის და ნაციონალ-დემოკრატების კრება.

კომპანიას პოლონეთის სამხედრო მზადების წინააღმდეგ გაზეთი იმით ხსნის, რომ „ბოლშევიკებმა და ნაციონალ-დემოკრატებმა დაკარგეს პოლონეთის დაშლის იმედი“.

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

საუბარი ამხ. ი. მამულიასთან

ემიგრაციის მდგომარეობა.—ვეშაპელის მოკვლა მენშევიკების მიერ.—ჩხეიძის თვითმკვლელობა.—ჩხეიძემ დასტოვა წერილი, რომელიც გადამალეს მენშევიკებმა.—

ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა ამხ. ი. მამულიასთან, რომელიც გუშინ დაბრუნდა პარიზიდან.

ემიგრაციის მდგომარეობის შესახებ მან შემდეგი განაცხადა:

„ემიგრაცია ამჟამად ორი ნაწილისაგან შესდგება. პირველია ეგრედწოდებული ზედა ფენა, რომელიც უმთავრესად მენშევიკებისაგან შესდგება და რომელშიაც შედიან ნოე რამიშვილი, გეგეჭკორი, ჩხენკელი, ჟორდანია და სხვ. მეორე ნაწილს შეადგენს ეგრედწოდებული „მასა“. უნდა აღინიშნოს, რომ ემიგრაციას არავითარი გამაერთიანებელი სტიმული, არავითარი შემაკავშირებელი ძაფები არ გააჩნია.

ემიგრაციის ეს მეორე ნაწილი, ანუ ეგრედწოდებული ქვედა ფენა, ამჟამად დაეხეტება პარიზის ქუჩებში. მისი ზრუნვის უმთავრესი საგანია რამოდენიმე ფრანკის შოვნა იმისათვის, რომ შიმშილით არ მოკვდეს. არავითარი პრინციპი, არავითარი იდეა მას არ გააჩნია. ამ ჯგუფში შედის ყოფილი სტუდენტობა, ყოფილი თავად-აზნაურობა, რომელიც გაიქცა უცხოეთში, და სხვა ამგვარი ხალხი. ერთად ერთი რაც მათ აერთიანებს ზედა ფენებთან ეს არის ღრმა შოვინიზმი, რასაკვირველია, არავითარი კულტურული მუშაობა მათ შორის არ სწარმოებს. ჟორდანია—რამიშვილების „მთავრობას“ ამ საქმისათვის არ სცალია. მატერიალურად ეს ქვედა ფენები ძალიან სუსტათ არიან უზრუნველყოფილი. მათ შორის ძლიერ დიდია სამშობლოში დაბრუნების სურვილი, მაგრამ ამ სურვილის აშკარათ გამხელას ისინი მაინც და მაინც ვერ ბედავენ, რადგან მენშევიკების რისხვის ეშინიათ. მენშევიკების ზედა ფენები კი ძალიან დიდ გულისწყრომას გამოსთქვამენ იმათ მიმართ, რომლებსაც ასეთ განწყობილებას შეამჩნევენ.

უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკური ცეკა საზღვარ-გარეთ სავსებით გაკოტრებულია. მას არ ჰყავს მასა. მას გამოაქვს დადგენილებები, მაგრამ შემსრულებელი არ მოეპოვება. უკიდურესად გამწარებული მენშევიკები ტერორის გზაზე შესდგნენ. თქვენ უკვე იცით, რომ საბჭოთა პლატფორმაზე გადმოსული,—გაზეთ „ახალი საქართველო“-ს რედაქტორი—ვეშაპელი მოკლულ იქნა მენშევიკური ცეკას კარნახით და დადგენილებით. მკვლელობა ჩაიდინა მერაბიშვილმა. მან განაცხადა, რომ ეს საქმე მენშევიკური პარტიის დავალებით ჩაიდინა.

მართალია, მკვლელობის შემდეგ მენშევიკებმა ფურცლები გამოუშვეს, რომელშიაც აცხადებდნენ, რომ მერაბიშვილს არავითარი დამოკიდებულება მენშევიკურ პარტიასთან არა ჰქონდა, მაგრამ მათ ვინლა დაუჯერებდა მას შემდეგ, რაც თვითონ მკვლელი გამოტყდა წინააღმდეგში.

ვეშაპელის მკვლელობით მენშევიკებს განზრახვა ჰქონდათ დაეშინებიათ სხვები,—საბჭოთა პლატფორმაზე გადმოსვლის მსურველები. მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. მოძრაობა საბჭოთა საქართველოს სასარგებლოთ კიდევ უფრო გაძლიერდა ამ საზიზღარ აქტის შემდეგ, ხოლო „ახალი საქართველო“ გამოშვებულ იქნა მიუხედავათ მის რედაქტორის მოკვლისა“.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობის შესახებ, ამხ. მამულიამ შემდეგი განაცხადა: კარლო ჩხეიძემ, როგორც იცით, ყელში გამოიჭრა დანით. მისი თვითმკვლელობა აიხსნება პოლიტიკური სასოწარკვეთილებით. **ის წინააღმდეგი იყო ბრძოლის იმ მეთოდებისა, რომელსაც რამიშვილი მისდევდა. ის სასტიკი წინააღმდეგი იყო აგრეთვე ტერორის, ვინაიდან ის ამაში ხედავდა მენშევიკური პარტიის გაკოტრებას.**

ამიტომ მის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობა არის უიმედობისა და სასოწარკვეთილების შედეგი. თვითმკვლელობა მოხდა მას შემდეგ, რაც ჩხეიძე სასტიკად დამარცხდა მენშევიკური ცეკას კონსპირატიულ სხდომაზე. ამ სხდომაზე ის იცავდა იმ აზრს, რომ მენშევიკური ემიგრაციის პოლიტიკა უნდა შეიცვალოსო. სხდომიდან დაბრუნების შემდეგ მან დანით გამოიჭრა ყელი.

სიკვდილის წინ მას დაუწერია წერილები, რომელშიაც თურმე ფარდას ხდიდა მენშევიკური პარტიის „მოღვაწეობას“, მაგრამ ეს წერილები სადღაც გაქრა.

ჩხეიძის დასაფლავება ძალიან სადა იყო. მის კუბოს მიჰყვებოდა წერეთელი, კერენსკი და „მთავრობის“ წევრები. აღსანიშნავია ის, რომ დასაფლავებას ზოგიერთი მენშევიკებიც არ დასწრებია.

ვეშაპელის დასაფლავება კი გრანდიოზულ დემონსტრაციათ გადაიქცა, რომელსაც დაესწრო ათი ათასი კომუნარი. და რამაც საკმაოთ აიფორიაქა პარიზის პოლიცია.

საერთოდ, უნდა ითქვას, სთქვა დასასრულ ამხანაგ მამულიამ, რომ საზღვარ-გარეთ ემიგრაცია იხრწნება და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ნოე რამიშვილი, ჟორდანია და სხვები მარტო თავის პერსონებს ანაბარა დარჩებიან ლოვილის მამულში.

სიმ. გოცაძის წერილი კოლია ჭუმბურიძისადმი

პრაღა, 23 მარტი, 1926 წ.

ძმაო კოლია!

წერილს ცოტა დამიგვიანდა. იმედი მაქვს არ დამემდურები. შენი წერილი მივიღე. პარიზის ამბების შესახებ რა მოგწერო არ ვიცი. ერთი აშკარაა, რომ „მაგ ხალხს“ თავისი „მე“ და მისი ინტერესები უფრო მაღლა ყავთ დაყენებული. ვინემ საზოგადოებრივი. ორგანიზაცია და ფრაქცია მაშინ არის მისაღები და ავტორიტეტული, როდესაც იგი ჩვენს კერძო ინტერესებს—ჯინიანობას ემსახურება. **ხოლო თუ გაბედა მან და საგანს თავისი სახელი დაარქვა, მაშინ მისთვის ასეთი ორგანიზაცია არ არის მისაღები...**

მაინც დიდად დამაფიქრებელი და დიდად პასუხსაგები ნაბიჯი გადაუდგამთ, თუ ყველაფერი ეს მართალია. არა მგონია, რომ თვითონ **„ხაზეინი“** ამ ბრძოლაში გამოჩნდეს, ის, **როგორც მას ყოველთვის სჩვევია სხვებს გამოუშვებს სადეკორაციოთ**, თვითონ კი ზურგის უკან მოაწყობს სხვადასხვა ინტრიგას და საბრძოლველ გეგმებს შეიმუშავებს. ამით მან სინჯა ალბად მოწინააღმდეგე, დააშინა, „რასკოლით“ იქნებ დაუშვას ცოტა ოპოზიციამო. იმან იცის, რომ ოპოზიცია პარიზში საერთოთ „ქაკონტრიული“ არის და ამ დაშინებით უნდა, ალბად, ცოტა მოსწიოს სადავეში. და თუ ამ დაშინებამ არ გასჭრა, მაშინ „იგი“ ეტყვის თავის „ბიჭებს“ დაბრუნდითო, რასაც „ოტრიაჩიკები“ იმ წამსვე შეასრულებენ, ვინაიდან მათ თავიანთი თავი არასოდეს არ ქონდათ. შემდეგ ჩაერევა „ხაზეინთა ხაზეინი“ საქმეში შესარიგებელ რეზოლიუციას გამოიტანს სხვის შესახედავად, საქმით კი თავისი გზით განაგრძობს სიარულს „იგი“. არა მგონია, რომ საბოლოო რასკოლზე წავიდენ ეხლა ან ერთი ან მეორე მხარე. ძლიერ ცოტანი და დავრჩით და ამ ჩვენს შორის მომხდარი „რასკოლი“ იქნება „დამწვარზე მდუღარის გადასხმა“. ყოველ შემთხვევაში მე ამის მეტი არ შემიძლია ვსთქვა ამჟამად, რადგან შენი ცნობის გარდა სხვა არავითარი ცნობა არა მაქვს. და შენი ცნობა არ არის დაწვრილებითი; არ ვიცი რაზე ატყდა ღავა და რა კითხვაზე მოხდა გათიშვა. თუბნისაგან კარგა ხანია წერილი არ მიმიღია.

რა მიზეზის არ ვიცი...

ოდენკურის ამბები შედეგია „ხაზეინის“ პოლიტიკის; იქნება აწი მაინც დაფიქრდენ რას შვრებიან. ან ცოტა ჭკუა მაინც ისწავლონ, თუმცა მე ამას იმედი არა მაქვს. ნათქვამია: „კუზიანს სამარე გაასწორებსო“...

აქაური ამბების შესახებ რა მოგწერო, მეც ძლიერ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ მას, თუმცა ხან და ხან იგი ძალაუნებურად მიიქცევს ხოლმე ყურადღებას. ასეთი ამბები იყო ერეთელის და ლადის*) შესახებ. **ლადი რომ გაიძვერა ყოფილა ეს ჩემთვის აშკარაა.** თუ საჭირო შეიქნა კიდევ დაუმტკიცებ მას, მის ნათქვამს ემელენჩიკისათვის. ეს გაიგონა საიმედო კაცმა და არ გადათქვამს. რაც შეეხება პირველს, ის არც ღირს ჩვენი ყურადღების ღირსად. შენ ალბად კიდეც გახსოვს ჩემი აზრი მასზე და ინწკირველზე. გერმანიიდან ჩამოსვლის მეორე დღესვე გითხარი.

მილიუკოვის წიგნი ღირს ათი კრონა; მოიწერე და გამოგიგზავნი.

გოგია გიგზავნის ასლებს.

ერთი ასლის შესახებ ვერც მე ურჩიე. გამგეობის დაუკითხავად მას არ შეუძლია მაღნარაძის და კომპანიის განცხადებების ასლი გამოგიგზავნოს. და ამ კითხვის დასმა გამგეობის კრებაზე ნიშნავს ჯანჯღავას მიერ მისი გარედ გამოტანას და ვის ეტყვის იგი ამას ღმერთმა იცის და ეს კი გამოიწვევს ახალ ინტრიგას, რაც არც შენთვის და არც გოგიასთვის არ არის ეხლა სასურველი. მეტადრე ახლა, როდესაც გოგიაზე არ არიან მაინც და მაინც კარგ გულზე და შეეცდებიან მის ირგვლივ ჭორები გაავრცელონ. მე და შენ ამ ბრძოლას გაულებთ. გოგია კი ახალგაზრდაა და ასეთი ინტრიგების საწინააღმდეგოდ არ უნდა გამოუშვათ. საერთოთ კი მას ჩემთვის აქვს ნათქვამი, რომ კოლიას ყოველთვის დაუდასტურეთ, რაც მას უნდა, თუ შეეკითხება და მე მგონი ახლა, კიდეც გწერს ამას. შენთვის სულ ერთია როგორ მოხდება ეს დადასტურება. თუ ეს მოხდება ისე, რომ მოწინააღმდეგე ვერ შესძლებს ინტრიგის დაწყებას, ჩვენთვის უკეთესი უნდა იყოს... ერთი სიტყვით, შექმნილ პირობებში ჩემის აზრით სხვა გამოსავალი არ იყო...

შენი ოჯახური ამბები ძლიერ მეწყინა. ცუდია ახლობელის სიკვდილი. და ისეთი ახლობელის, რომლის არსებობა შენს კეთილდღეობასთან იყო დაკავშირებული... მაგრამ რა ვქნათ უნდა გაუძლოთ. მეტი გზა არ გვაქვს.

გრიშას შესახებ ჯერ კიდევ ვერაფერი გავიგე. ჯერ კიდევ ვერ მოატანა მისმა წერილმა. იქნებ შენ მოგივიდა რამე სახლიდან ცნობა მის შესახებ. მომიკითხე აკაკი. მოგიკითხავ ამხანაგებმა.

იყავი კარგად.

შენი სიმონიკა.

---

*) ემეხვარი.

პოლონეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკება

ვარშავა, 1 აგვ. პოლ. დელეგატმა დიამანდიმ, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ ხმები, თითქოს მოლაპარაკების დროს წარმოიშვა დაბრკოლებანი, არ შეეფერება სინამდვილეს.

უკანასკნელ დღეებში, სთქვა დიამანდიმ, გავიგეთ საფრანგეთისა და გერმანიის ლითონის მრეწველობის წარმოებათა სამეურნეო გაერთიანების შესახებ, რაიც ნიშნავს საფრანგეთ გერმანიის სამეურნეო დაახლოების დასაწყისს.

ახალ გაერთიანების მიზანია, ჩაითრიოს თავის მოქმედების ორბიტაში აგრეთვე პოლონეთი, ბელგია, ჩეხო-სლოვაკია და ავსტრია, რამაც შეიძლება სერიოზული გავლენა იქონიოს პოლონეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებაზე.

* * *

აბისინიის პროტესტი

ინგლის-იტალიის შეთანხმების წინააღმდეგ

რომი, 1 აგვისტო. იტალიის მმართველ წრეებში დიდი მღელვარება გამოიწვია აბისინიის მთავრობის პროტესტმა ერთა ლიგის წინაშე წინააღმდეგ ინგლის-იტალიის შეთანხმებისა, რომლითაც ინგლისი იტალიას აძლევს აბისინიაში რკინის-გზების გაყვანის უფლებას, თვითონ ინგლისს კი ეძლევა საშუალება გამოიყენოს ტბა ცანა სუდანის მოსარწყავად.

მთელი იტალიის პრესა აბისინიის მთავრობის ამ გამოსვლაში ბრალს სდებს საფრანგეთს და აღნიშნავს, რომ საფრანგეთი სარგებლობს თავის ეკონომიური, პოლიტიკური და სარკინის-გზო მონოპოლიით აბისინიაში და სცდილობს, რომ ამ ქვეყანაში ჩაიდინოს იგივე, რაც მან ჩაიდინა ტუნისისა და მაროკოს მიმართ, ე. ი. აბისინიაზე თავისი გავლენა პროტექტორატად გადააქციოს.

* * *

„სად არის საზავო ხელშეკრულება“?

ბერლინი, 3 აგვისტო. ვენის პრესა აღშფოთებით აღნიშნავს ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებას, რომელიც აიძულებს ავსტრიას დაუყოვნებლივ აშენოს სამხედრო იარაღების ქარხანა. ქარხანა ჯდება 3 მილ. კრონი. პრესა აღნიშნავს, რომ რადგან საზავო ხელშეკრულება უკრძალავს ავსტრიას სამხედრო იარაღების ექსპორტს და რადგან ავსტრიის არმიის ესაჭიროება უმნიშვნელოა, ეს ქარხანა ვერასოდეს ვერ აანაზღაურებს დახარჯულ თანხას.

* * *

სირიაში ბრძოლა გრძელდება

ბერლინი, 3 აგვისტო. ალექსანდრიიდან ტელეგრაფით იუწყებიან, დამტკიცებულია, რომ კავშირი არსებობდა სირიის ხუთ დანგრეულ რაიონის ბელადებს შორის; ეს ბელადები ელ-ატრაშის საერთო მეთაურობით აწარმოებდენ რეგულიარული პარტიზანული ომის სისტემას.

ქაირიდან მიღებულ ცნობით, 15.000 ფრანგი ბრძოლას აწარმოებს აჯანყებულებთან დამასკის ირგვლივ მდებარე ბაღებში.

ეგვიპტემ არ გასცა სირიელი მეამბოხეები

ანგორა, 2 აგვისტო. საფრანგეთის უზენაესმა კომისარმა სირიაში ეგვიპტის მთავრობას მიმართა თხოვნით, რათა გასცეს სირიის რევოლიუციონერების ბელადი შაჰბანდერი, რომელიც ფრანგების ცნობით ეგვიპტეში იმყოფება.

ეგვიპტის მთავრობამ ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა.

საალყო წესები დობრუჯაში

ვენა, 1 აგვისტო. რუმინიის მთავრობამ დობრუჯაში საალყო წესები გამოაცხადა იმ მიზეზით, რომ იქ გაძლიერდა ბულგარელი პარტიზანული რაზმების თავ-დასხმა.

შეერთებული შტატები და პანამა

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო. **ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პანამას შორის დაიდო ხელშეკრულება სამხედრო კავშირის შესახებ.** ხელშეკრულება ითვალისწინებს პანამისა და შეერთებული შტატების გაერთიანებულ მოქმედებას იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი ომს აწარმოებს. პანამის ტერიტორიაზე გადასვლის უფლება მიეცემა მხოლოდ შეერთებულ შტატების ჯარებს. პანამის არხზე გადაფრენა შეუძლიათ მხოლოდ პანამისა და შეერთებულ შტატების ჰაეროპლანებს. პანამის მთელი რადიო სადგური საომარ მოქმედებათა დროს შეერთებული შტატების კონტროლ ქვეშ იქნება.

არჩევნები სპარსეთის აზერბეიჯანში

თეირანი, 1 აგვისტო. სპარსეთის მთავრობისა და მეჯლისის სახელზე, აგრეთვე გაზეთების რედაქციების სახელზე მიღებულია თავრიზიდან დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: „რამოდენიმე ათასი შემამულე, ვაჭრობისა და ხელოსნობის კრება აღნიშნავს, რომ არჩევნები სპარსეთის აზერბეიჯანში ხდებოდა პროვინციალური გუბერნატორების ჩარევით და ხელისუფლების წარმომადგენელთა მუქარით. გარდა ამისა, საკონტროლო-საარჩევნო კომისიის წევრებმა უხეშად დაარღვიეს კანონი და სახელმწიფოს ინტერესები, დასასრულ, დეპეშის ავტორები მოითხოვენ, რომ გაცემულ იქმნას განკარგულება არჩევნების ხელმეორედ დანიშვნის შესახებ.

* * *

ნიჟეგოროდის ბაზრობის გახსნა

ნიჟნი-ნოვგოროდი, 3 აგვისტო. 1 აგვისტოს გაიხსნა მე-5 საკავშირო ბაზრობა. გახსნას დაესწრენ იარმარკის მონაწილეები, აღმოსავლეთის წარმომადგენლები და მუშებისა და გლეხების დიდი მასსა.

უკანასკნელი ცნობები

ბელგიის დელეგაცია არტემოვსკში

არტემოვსკი, 3 აგვისტო. ბელგიის დელეგაცია აღფრთოვანებულია საბჭოთა კავშირში ლი ოლქის მუშებს გადასცა მიმართვა. დელეგაცია აღფრთოვანებულია საბჭოთა კავშირში ნახულით.

გერმანიის დელეგაცია ლენინგრადში

ლენინგრადი, 3 აგვისტო. გერმანიის დელეგაცია ლენინგრადში გაეცნო სხვადასხვა დაწესებულებათა მუშაობას და განსაკუთრებით სოციალური დაზღვევის საქმეს სალამოს დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვისაკენ.

მოსკოვში ჩამოვიდა შერვუდ ედი

მოსკოვი, 1 აგვისტო. მოსკოვში ჩამოვიდა შერვუდ ედი — ერთი ინიციატორთაგანი საბჭოთა კავშირში გამოსაგზავნ ამერიკის საზოგადოებრივ და სამრეწველო მოღვაწეთა დელეგაციისა. „ტასის“ წარმომადგენელთან საუბრის დროს შერვუდ ედიმ განაცხადა: 4 აგვისტოს მოსკოვში ჩამოვიდა 25 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია. დელეგაციაში შედის 5 მსხვილი მწარმოებელი, სამი ჟურნალისტი, 5 განათლების მუშაკი და რამოდენიმე ადვოკატი და ექიმი. შემდეგ შერვუდმა განაცხადა, რომ ამერიკის ლიბერალურ ინტელიგენციის წრეში ძლიერდება მოძრაობა საბჭოთა კავშირთან კულტურულ პოლიტიკური დაახლოვების სასარგებლოდ ,

მუშკორების დევნისათვის

ოდესა, 2 აგვისტო. სპეციალურმა კომისიამ დაადგინა მოხსნას ტყავეულობის ქარხნის დირექტორის თანამდებობიდან გროლი და „ზავკომის“ თავმჯდომარე მუშკორების დევნისათვის; მუშკორებმა გაილაშქრეს ქარხნის ადმინისტრაციის წინააღმდეგ მათი ქარხკომისადმი გულგრილათ მოქცევისათვის.

კალესმა უარი განაცხადა ეპისკოპოსებთან მოლაპარაკებაზე

ბერლინი, 3 აგვისტო. ბულგარელ ჩეტნიკების მიერ რუმინიის საზღვარზე განმეორებით თავდასხმის გამო, რუმინეთის მთავრობამ დობრუჯის საზღვარზე 30 კილომეტრიანი ზონა გამოაცხადა სამხედრო მდგომარეობაზე.

რაკოვსკის გაფრენა პარიზში

მოსკოვი, 3 აგვისტო. გუშინ მოსკოვიდან პარიზში გაფრინდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი საფრანგეთში რაკოვსკი.

კალესმა უარი განაცხადა ეპისკოპოსებთან მოლაპარაკებაზე

ბერლინი, 3 აგვისტო. პრეზიდენტ კალესმა უარჰყო კათოლიკ - ეპისკოპოსების წინადადება მოლაპარაკების დაწყების შესახებ, და განაცხადა, რომ ის აიძულებს დაემორჩილონ კანონს. ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობა პროტესტს აცხადებს მექსიკანელ ჯარისკაცების მიერ ამერიკულ ეკლესიების დაკავების გამო. ამერიკული პრესა მტრულადაა განწყობილი მექსიკის მთავრობის მიმართ. სან-ანტონიოდან მოსული პაპის ლეგატი კრესპი აცხადებს, რომ მექსიკაში მომხდარ საეკლესიო კონფლიქტის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ორი გზით: ან კომპრომისზე წასვლით ან და უცხო სახელმწიფოების ჩარევით.

ერთა ლიგა... ბავშვების აღმზრდელი

ბერლინი, 3 აგვისტო. ჟენევაში შესდგა პირველი სხდომა ერთა ლიგის ცალკე კომისიისა, რომელიც იხილავს სასწავლებლებში ბავშვებისათვის ერთა ლიგის იდეალებისა და მიზნების გაცნობის მეთოდის საკითხს

გერმანია - პოლონეთის მოლაპარაკება

ბერლინი, 3 აგვისტო. განახლდა ამ ერთი კვირის წინეთ შეწყვეტილი გერმანია - პოლონეთის მოლაპარაკება.

მადა ჭამაში მოდის

ბერლინი, 3 აგვისტო. აბისინიასთან მომხდარ კონფლიქტის გამო, „დეილი ტელეგრაფი“ სწერს: „საინტერესოა ვიცოდეთ, რა პოზიციას დაიჭერს გერმანიის წარმომადგენელი ერთა ლიგაში შესვლისას, რადგან უკვე ეხლავე გერმანიის მთავრობამ დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობებთან აბისინიის გარშემო.

* * *

პან-აზიური კონგრესი

ტოკიო, 2 აგვისტო. 1 აგვისტოს ნაგასაკაში გაიხსნა პან-აზიური კონგრესი, რომელსაც დაესწრო იაპონიის, ჩინეთის, ინდოეთის და ფილიპინის კუნძულების 50 დელეგატი. კონგრესის თავმჯდომარედ არჩეულია იაპონელი დელეგატი ტორი გოტო (იაპონიის პარლამენტის წევრი). ცეილონის წარმომადგენელმა ახალი აზიური ლიგის წესდების პროექტი შეიტანა; ამ ლიგის მიზანი უნდა იყოს მშვიდობიანობისათვის და რასიული დევნის წინააღმდეგ ბრძოლა. ჩინელი დელეგატი ინგლისის იმპერიალიზმის მხილებით გამოვიდა და მოითხოვა არა სწორ უფლებრივან ხელშეკრულებათა და მათ რიცხვში იაპონიის ორი მოთხოვნილების გაუქმება. დელეგატმა სთქვა,—რომ უნდა დაარსდეს აზიური ერთა ლიგა, რომლის ცენტრალური ბიურო ტოკიოში იქნება.

* * *

პრიმო-დე-რივერას მოკვლის განზრახვა

პარიზი, 2 აგვისტო. ბარსელონაში ესპანელმა ანარქისტმა მასახ ტორანმა ხანჯალი ესროლა დახურულ ავტომობილს, რომელშიაც იჯდა პრიმო-დე-რივერა. ხანჯალს არავინ დაუჭრია. მასატორანი დააპატიმრეს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

„კონკორდია“-ს საქმე

განაჩენი

ბაქო, 3 აგვისტო. 9 საათის თათბირობის შემდეგ, ბრალდებულ გეორგ ბექს და გოტლიბ გუმმელს, ვალიუტის შესყიდვასა და საზღვარგარეთ გადაგზავნისათვის, სასამართლომ მიუსაჯა თვითეულს ათ-ათი წლით ციხე. ამნისტიის ძალით, სასჯელი გაუნახევრდათ, სამოქალაქო უფლება აეკვეცათ 5 წლით და ჩაეთვალათ წინასწარი პატიმრობა. გამგეობის წევრს და ტექნიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების გამგე ლორენც კუნს, ვალიუტის საზღვარგარეთ გადაგზავნაში მონაწილეობის მიღებასა და გერმანიიდან მასწავლებლების მოწვევისათვის, მიუსაჯა 8 წლის ციხე, 5 წლით სამოქალაქო უფლების შეკვეცით. ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდა. თბილ. კანტორის წარმომადგენელი ერნესტ გუმმელი ცნობილ იქნა დამნაშავედ ვალიუტის გადაგზავნასა და ქრთამის მიცემაში და მიესაჯა 6 წლით ციხე ამნისტიის შეუფარდებლათ და 5 წლით სამოქალაქო უფლების შეკვეცით. ოტტო ცენზერს და რობერტ ონგეიმახს, როგორც მონაწილეთ გუმმელისა და სხვების ბოროტმოქმედებაში, მიესაჯათ 3—3 წლით ციხე, ამნისტიის შეუფარდებლად და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით. კოოპერატივ „კონკორდია“-ს თანამშრომელს, ფრიდრიხ რეიდენბახს, სალარო წიგნის დაწვისათვის, მიესაჯა 2 წლით ციხე, ამნისტიის შეუფარდებლად და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით. გეორგიევსკის კოლონიის სოფლის საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, ვილჰელმ ბექს, ქრთამის მიცემისათვის და კოლონიის მცხოვრებთა ფიქტიურ სიის შედგენისათვის, მიესაჯა 2 წლით ციხე, წინასწ. პატიმრობის ჩათვლით; ამნისტიის შეფარდების შემდეგ სასჯელი გაუნახევრდა. იმავე დანაშაულისათვის გეორგიევსკის კოლონიის საადგილ-მამულო კომისიის თავმჯდომარეს მიესაჯა 3 წლით ციხე, წინასწარი პატიმრობის ჩათვლით და ამნისტიის შეფარდებით. ყოფილ მიწისმზომელ ვიშემირსკის, ფიქტიურ სიის მიხედვით სამუშაოს შესასრულებლად ქრთამის აღებისათვის მიესაჯა 8 წლით ციხე, 4 წლით სამოქალაქო უფლებების შეკვეცით; ამნისტიის შეფარდების შემდეგ სასჯელი გაუნახევრდა. მიწისმზომლის თანაშემწე სამოხინს, როგორც ვიშემირსკის საქმეში მონაწილეს, მიუსაჯა 4 წლით ციხე; ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდა. იურჩენკოს—ასევე მონაწილეობისათვის—3 წლით ციხე; ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდა. სასჯელი პირობითაა. შამხორის მაზრის არაპირდაპირ გადასახადთა ინსტრუქტორს, მამედბეკ გაზანფარს, რომელმაც კოოპერატივ „სოგლასიე“-სადმი დავალიანება — 204 მან. — გადაიტანა „კონკორდია“-ს ანგარიშზე, გადასახადების შემომტანებზე ფიქტიურ ქვითრების გაცემასა და სხვა ბოროტმოქმედებები.-ის,ამნისტიის შეფარდებით, მიესაჯა 3 წლ. ციხე, ამავე ვადაში სამოქალაქო უფლებების შეკვეცით. ვაკენბუტი და ადოლფ კუნი, რომლებსაც ბრალდებოდათ ვალიუტის გადაგზავნა და სხ., წაყენებულ ბრალდებების დაუმტკიცებლობის გამო, გამართლებულ იქნენ.

სასამართლოს განაჩენი საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

დავეხმაროთ გაფიცულ მემაღაროელეებს

ინგლისელი მემაღაროელები გულითად მადლობას მიუძღვნიან საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს გამოგზავნილ დახმარებისათვის. მოგიწოდებთ თქვენ კვლავ დაგვეხმაროთ, რაც შეიძლება ჩქარა, რადგან მთავრობა და მაღაროს მეპატრონენი ცდილობენ შიმშილით გვაიძულონ მოვიხაროთ ქედი.

სმიტი, რიჩარდსონი, კუკი
(დეპეშა საკავშირო პროფსაბჭოს სახელზე)

—:—

„ინგლისის მემაღაროელები იბრძვიან არა მარტო საკუთარ ინტერესებისათვის, არამედ მთელი ევროპის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისათვის“

(ინგლის—საბჭოთა გაერთიანებული კომიტეტის მოწოდებიდან).

თანახმად „ხოზიკას“ გამოწვევისა, ამასთანავე გიგზავნით ინგლისელ უმუშევართა სასარგებლოდ ხუთს (5) მანეთს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი **კ. კეკელიძე.**

—:—

შემომაქვს ინგლისის გაფიცულ მემაღაროელების ფონდში 10 მანეთი.

მიხა ჩოდრიშვილი.

—:—

შემომაქვს გაფიცულ მემაღაროელების დასახმარებლად ხუთი მანეთი. და ვიწვევ ამხ. თედორე კალანდაძეს.

ი. ტალახაძე.

ამხ. ი. ტალახაძის გამოწვევით შემომაქვს გაფიცულ მემაღაროელების ფონდში ხუთი მანეთი.

თ. კალანდაძე.

ამხ. „ხოზიკა“-ს გამოწვევის თანახმად შემომაქვს ათი (10) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: შალიკო წერეთელს, ერმილე გაბიონის, ილარიონ კოპალიანს, ტაბიძეს, ცაცა ხევსურიანს, კოწია იოსელიანს, გოგა მათიაშვილის, დომენტი გოგორიშვილის, და ჯიბუტს (ლეჩხუმის მაზრა).

ესტატე მაღრაძე.

—:—

ამხ. „ხოზიკა“-ს გამოწვევის თანახმად შემომაქვს ათი (10) მანეთი და ვიწვევ გაფიცულ მემაღაროელების დასახმარებლად შემდეგ ამხანაგებს: აკაკი ჩაკვეტაძეს, აკაკი რამიშვილს, ეფრემ ხუბუკელაშვილს, ირაკლი ქურასპედიანს, პეტრე ყიფიანს (ლეჩხუმის მაზრა), პორფირე ეფრემიძეს, ოქრო ფოცხიშვილს, კოლია კალანდარიშვილს, ალექსანდრე ცაბაძეს, შურა კრავცოვს და გიორგი ლომტაძეს (გორის მაზრა).

ანდრო სიამაიშვილი.

გავაძლიეროთ დახმარება

მე-IV რაიონის თანამშრომელ ქალთა, დელეგატებისა და დიასახლისთა გაერთიანებულმა კრებამ, მოისმინა რა მახ მოხსენება ამხ. ვარძიელისა, დაადგინა—სამსახურეები და დიასახლისები უცხაჩვენ მე-IV რაიონის მუშა-ქალები, მოდებთ სოლიდარობას ინგლისის გაფიცულ მაღაროს მუშებს, რომლებიც მედგრათ იბრძვიან კაპიტალის შემოტევის წინაამდეგ. ვეცდებით ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ ინგლისის მემაღაროელთა ცოლებსა და შვილებს. ჩვენ მოუწოდებთ საბჭოთა კავშირის ყველა ქალებს გამოეხმაურონ ჩვენს მოწოდებას და გააძლიერონ ინგლისის მემაღაროელთა დახმარება.

გაუმარჯოს ინგლისის მემაღაროელთა მედგარ ბრძოლას მუშათა კლასის მჩაგვრელების წინაამდეგ!

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

სად რა გაკეთდა

საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიასთან და ინსპექციის სახალხო კომისარიატთან არსებულ მომჭირნეობის გამტარებელ ცენტრალურ კომისიის მიერ შეგროვილი მასალები შემდეგ ცნობებს შეიცავს:

პირველი მნიშვნელოვანი ღონისძიება ხარჯების შესამცირებლად იყო წარმოებებსა და უწყებებში მსუბუქი ტრანსპორტის შემცირება. ამ ღონისძიებით მუშაობიდან მოხსნილ იქნა 36 მსუბუქი მანქანა, აქედან 6 მანქანა გადაეცა სახალხო კომისართა საბჭოს საავტომობილო გარაჟს ცენტრალურ კომისარიატის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ინსპექციის სახალხო კომისარიატის წინასწარი ვარაუდით მსუბუქი ტრანსპორტის შემცირება გამოიწვევს მთელი წლის განმავლობაში 180 ათასი მანეთის დაზოგვას.

მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს აგრეთვე ადგილებზე მომჭირნეობის გასატარებლათ მოწყობილმა კომისიებმა, რომელთა მიერ მიღებულ ღონისძიებების წყალობით დაზოგვილი იქნება რამდენიმე ათი ახეული ათასი მანეთი.

ჯერ-ჯერობით სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმოებებში მიღებულ ღონისძიებით წლის განმავლობაში დაზოგვილი იქნება 120 ათასი მანეთი. მუშაობა მომჭირნეობის გასატარებლად ს. მ. უ. ს-ში ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის. მუშავდება კიდევ დამატებითი ღონისძიებები, რომელთა საშუალებით მიღწეული იქნება დაახლოებით 100—150 ათასი მანეთის ეკონომია.

—ართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში კომისიის მიერ მიღწეული ღონისძიებით დაზოგვილ იქნა 43.417 მანეთი.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ყველა დაწესებულებაში მიღწეულია 88.785 მანეთის ეკონომია.

მუშათა კოოპერატივებში პირველად ჩატარებულ კამპანიას მოჰყვა 5.000 მანეთის დაზოგვა. მუშაობა ისევ გრძელდება და მა— გამორკვეული იქნება, თუ რამდენად შესაძლებელია კიდევ ხარჯების შემცირება.

რა მთის იმედი გქონდეს, იმ მთამ ჩამოგითოვოს

(ლეჩხუმიდან)

ეს ქართული ანდაზა სწორეთ ზედ გამოჭრილია ლეჩხუმელ მფლანგველებზე. ბევრს ჰგონია, რომ ლეჩხუმი ბნელი ქვეყანაა და შეიძლება მისი თელვა ისე, როგორც ახლად მოქსოვილ საჩოხე შალის. დაწყებული ფინგანიდან, გათავებული საკრედიტო ამხანაგობით, ყველამ ჰქნა თავისი, რომელსაც ჩვენებურად „ქაფს“ უწოდებენ.

მაგრამ „ძველებია“, ისინი უკვე პასუხს აგებენ.

ეხლა ახლებზე გიამბობთ. ლეჩხუმის მაზრის მეურნეობის გამგედ გვყავდა ამხ. თედორე დოლბაია. ის ყველაფრად პატიოსან კაცს გავდა. „სულსა და ხორცს“ ენდობოდა კაცი, იმისთანა გამომეტყველება ჰქონდა. მაგრამ ჯერ-ჯერობით საალმშენებლო ფული, 900 მან. (ძიება ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული) მიისაკუთრა. ვის იფიქრებდა იმას, თუ დოლბაია ბოროტ მოქმედი აღმოჩნდებოდა, მაგრამ მოვტყუვდით ანგარიშში. მუშებზე მისაცემი ფული, თავის საჭიროებისათვის მოიხმარა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

დოლბაიას მიერ მითვისებული ფულით, შეიძლებოდა ცაგერის თეატრის მოთავება, რომლის რემონტიც უსახსრობის გამო შეჩერებულია. რევოლიუციონური სასამართლო მას მოსთხოვს პასუხს.

გ—ი.

ცუდი მაგალითის მიმცემი

(ბანძის თემი, სენაკის მაზრა)

ბანძის თემში არსებობს მთლიანი კოოპერატივი, რომელსაც ჰყავს თავმჯდომარე, კლიმენტი გაბუნია.

რვა თვეა, რაც ეს ყმაწვილი არჩეულია მის დღევანდელ თანამდებობაზე. როცა არჩევნები სწარმოებდა, კოოპერატივის საბჭოს წევრებმა დაადგინეს ნისიათ არავისზე არ იქნეს გაცემული საქონელი ერთი კაპეიკისო. ეს დავალება მისცეს ეხლანდელ თა-რეს.

მაგრამ ამ დადგენილებას თვითვე თავმჯდომარე აბათილებს თავისი მოქმედებით.

6 თვე გადის მას შემდეგ, რაც გაბუნიას 50 მანეთის საქონელი აქვს წაღებული ნისიათ. ამას ყურადღებას არავინ აქცევს: არც სარევიზიო კომისია, არც გამგე და არც ნოქრები.

ყველას ეშინია თავმჯდომარის. თუ რაშია საქმე ვერ გაგვიგია. გაბუნიას ეძლევა ფეში 8 თუმანი, ნისიასაც კიდევ იღებს ექვსი თვით. ამისათვის საჭიროა მიექცეს ყურადღება ამ ფაქტს და ხალხის ფული შეტანილ იქნას სალაროში.

წევრი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

ხშირი ცვალებადობის წინააღმდეგ

ჩვენი სახელმწიფო აპარატის მუშაობის ტკივანი მხარეები ნაწილობრივ იმითაც არის გამოწვეული, რომ ამ აპარატის მუშაკთა შემადგენლობა მეტის-მეტად ცვალებადია. ამიტომ ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლათ აუცილებლათ მიღებულ უნდა იქნას გადამჭრელი ზომები.

ერთი მხრივ ეს გარემოება იმითაც აიხსნება, რომ თვით ჩვენი დაწესებულება-ორგანიზაციები არ იყვნენ საბოლოოთ ჩამოყალიბებული და ხშირად ჰქონდა ადგილი მათ გადახალისება-შეკვეცა-გაფართოებას. ამხანად მდგომარეობა სხვანაირია. საბჭოთა სახელმწიფო აპარატი ჩამოყალიბებული და განმტკიცებულია. ამიტომ აშკარაა აპარატის მუშაკთა მასიურ ცვალებადობას ბოლო უნდა მოეღოს.

ამის შესახებ მოსკოვის „პრავდა“ (№ 168) შემდეგსა სწერს:

„უნდა აუცილებლათ მივიღოთ სერიოზული ზომები ჩვენ სახელმწიფო აპარატის მუშაკთა ძირითად კადრის სტაბილიზაციისათვის, ვინაიდან ამ აპარატის მუშაობის ერთი მთავარი გამცუდებელი მიზეზი არის პირად შემადგენლობის დაუსრულებელი ცვალებადობა და აქედან გამომდინარე მუშაკთა კვალიფიციურობის დაცემა და საქმიანი მემკვიდრეობისათვის ნიადაგის გამოცლა.

მაგრამ თუ პირად შემადგენლობის ცვალებადობა იწვევს მთელ რიგ უარყოფით მოვლენებს, კიდევ უფრო უარყოფით გავლენას ახდენს აპარატის მუშაობაზე პარტიის წევრთა ცვალებადობა. ამას უფრო ფართე ხასიათი აქვს ჩვენს დაწესებულებებში და სახალხო კომისარიატებში პარტიულებს შორის, ვიდრე უპარტიოებისა.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ, სანამ ჩვენი აპარატის ამ ტკივან მოვლენას არ დავიყვანთ მინიმუმამდე. ჩვენ შეგვეძლება ხამდვილი კვალიფიციური „სპეცები“ ვიყოლიოთ“.

„პრავდა“-ს მიერ გამოთქმული აზრი დამახასიათებელია ჩვენი სინამდვილისათვისაც. მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისათვის სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აქ კი აპარატის პირად შემადგენლობის სტაბილიზაცია ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს.

წითელ ჯარში

ემზადებიან

(სურათი ყაზარმის ცხოვრებიდან)

ყაზარმის შენობიდან არ ისმის ჩვეულებრივი ჟრიამული, სიმღერა. ეზოც ცარიელია, დასვენების დროს არმიელნი არ მართავენ ცეკვა-თამაშს ან სხვა რამე თავგასართობს.

სამაგიეროთ გაცხოველებული მუშაობაა თვით ყაზარმაში—ლენინის კუთხეში და ბიბლიოთეკაში. არმიელნი შემოსხდომიან მაგიდას და გულდადებით მეცადინეობენ, ჩასჩერებიან წიგნებს, გაზეთებს, იწერენ შენიშვნებს რვეულებში...

მოახლოვდა მათი უვადო შვებულებაში დათხოვნის დრო. ცოტა ხანი კიდევ და არმიელნი გამოემშვიდობებიან ყაზარმას, სადაც დაჰყვეს მათ ორი წელი და დაუბრუნდებიან სოფელს.

— სირცხვილია უცოდინარი რომ მივიდე სახლში. დამცინებენ, იტყვიან: რას აკეთებდი ორი წელი ყაზარმაში, წერა-კითხვაც კი კარგათ ვერ ვისწავლიაო,—გაიგონებთ ხშირად წითელარმიელისაგან, რომელიც ბეჯითად მეცადინეობს, რათა არ ჩამორჩეს თავის ამხანაგებს.

წერა-კითხვა ყველას კარგათ აქვს შეთვისებული; ამ მხრივ წითელმა ყაზარმამ დიდი ნაბიჯი გადასდგა.

წითელარმიელს უნდა შვებულებამდის დარჩენილი დრო ნაყოფიერად გამოიყენოს. ის იძენს ისეთ ცოდნას, რომელიც მას დასჭირდება სოფლად.

— ამხ. ბიბლიოთეკის გამგევ! მომეცით ისეთი წიგნი, სადაც ნათქვამია, თუ რა უნდა გააკეთოს შვებულებაში მყოფმა წითელარმიელმა,—მიმართავს არმიელი ბიბლიოთეკის გამგეს.

წითელარმიელნი სწავლობენ პარტყრილობების დადგენილებებს სოფლად მუშაობის შესახებ, ეცნობიან სოფლის სხვადასხვა ორგანიზაციების სტრუქტურა-მუშაობას, პარტმუშაობის წარმოებას.

არ არის დავიწყებული წითელარმიელების მიერ არც ერთი მხარე სოფლის ცხოვრება-ვითარების.

წითელარმიელი კარგათა გრძნობს, თუ რა დიდი მოვალეობა დაეკისრება მას სოფლად დაბრუნებისას, იცის, რომ სოფელი ბევრ რამეს მოელის მისგან და ამიტომ მუშაობს დღითი და ღამით, რომ პირნათლად წარსდგეს სოფლის წინაშე.

ყოველ ღამე, დღიურ მუშაობის შემდეგ, წითელარმიელნი მოიყრიან თავს ყაზარმაში და ემზადებიან დაუზარებლად მომავალ მუშაობისათვის.

ე. ხუციშვილი.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობისათვის

მანგლისის რაიონის პარტაქტივი —პარტიის მთლიანობის შესახებ

კვირას, პირველ აგვისტოს მანგლისში შესდგა მანგლისის რაიონის პარტაქტივის კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის შესახებ გამოვიდა **ამხ. მამია ორახელაშვილი.** ამხ. ორახელაშვილის გამოსვლას კრება მხურვალე ტაშით შეეგება.

რეზოლიუცია

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მანგლისის რაიონის აქტივის გაერთიანებული პარტიულმა კრებამ, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სამაზრო პარტმუშაკთა აქტივის მოსამზადებელ კურსებთან, მე-9 კავკასიის მსროლელ პოლკის პარტორგანიზაციებთან, კავკასიის წითელი არმიის (რუსულ, ქართულ, სომხურ და თურქულ) სამხედრო-პოლიტიკურ სკოლათა პარტორგანიზაციებთან ერთად, მოისმინა რა **ამხ. მამია ორახელაშვილის** მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთიანებული პლენუმის მუშაობის შესახებ, მთლიანად და სავსებით უერთდება პლენუმის გადაწყვეტილებებს.

კრება სცნობს, რომ პლენუმმა სრულის სისწორით, ლენინური ხაზის მიხედვით გადასწყვიტა ჩვენი აღმშენებლობის უმთავრესი საკითხები.

ამავე დროს პლენუმზე გამოირკვა, რომ ამხ. ზინოვიევი, კამენევი და სხვ., რომლებიც „ახალ ოპოზიციაში“ შედიან და ბრძოლას აწარმოებენ ცეკას უმრავლესობასთან და მე-14 პარტიულ ყრილობის გადაწყვეტილებებთან, დაუკავშირდენ ტროცკის.

კრება აღნიშნავს უპრინციპობას, რომელიც ბლოკმა გამოიჩინა ცეკასთან ბრძოლაში.

ზინოვიევი და კამენევი დღეს სწორად სთვლიან ტროცკიზმს, რასაც ცოტა ხნის უკან სახელდობრ 1923 წლიდან თვითონ ახასიათებდენ როგორც ლენინიზმის რევიზიას, როგორც წვრილ ბურჟუაზიულ გადახრას პარტიაში.

პარტიის ხაზთან ბრძოლაში „ახალი ოპოზიცია“ არ მოერიდა ფრაქციულ მუშაობას. ცეკა სრულიად სამართლიანად მოიქცა, როდესაც ჯეროვანი პასუხი გასცა ჩვენი პარტიის რიგების მთლიანობის შერყევისათვის წარმოებულ ცდებს.

ლენინის პარტიის მთლიანობის დაცვის მიზნით ცეკამ მომავალშიაც ულმობელი ბრძოლა უნდა აწარმოოს ყველა იმათ წინააღმდეგ, რომელიც შეეცდება დაარღვიონ პარტიის ფოლადისებური მთლიანობა.

ეხლანდელი ლენინური ცეკა უზრუნველყოფილია პარტიის სრული მხარის დაჭერით ლენინიზმის გაყალბების, დამახინჯების და ყოველგვარ განხრების საწინააღმდეგო ბრძოლაში.

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ფოლადისებურ მთლიანობას!

გაუმარჯოს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

ქალაქის რაიონის აქტივის კრება

გუშინ, საღამოს 6 საათზე შესდგა ქალაქის რაიონის აქტივის კრება.

კრებამ მოისმინა **ამხ. მამია ორახელაშვილის** ვრცელი მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტ. საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგებზე. მომხსენებელს მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით შეეგება.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი

რეზოლიუცია

მოისმინა რა ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება საკავშირო კომუნისტურ პარტიის (ბ) ც. კ. და ც. კ. კ—ის გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ, თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის პარტაქტივის კრება მთლიანათ და სავსებით უერთდება პლენუმის გადაწყვეტილებებს.

კრება აღშფოთებით აღნიშნავს, რომ ახალი ოპოზიცია, რომელმაც გააერთიანა თავის გარშემო ყველა წინათ აღმოცენებული ჯგუფები, დაწყებული მედვედიევ-შლიაპნიკოვიდან და გათავებული ტროცკით, თანდათან უფრო შორდება პარტიის იდეურ პოზიციას, წამოაყენეს რა მთელ რიგ საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებში თავისი პლატფორმა, რომელიც განსხვავდება პარტიის ხაზისგან და რომელიც მოკლებულია ლენინიზმის ყოველგვარ საფუძველს.

კრება განსაკუთრებით აღნიშნავს ამხ. ზინოვიევისა და მისი მომხრეების პოლიტიკურ უპრინციპობას.დიდი ხანი არ არის,რაც ისინი ც.კ. ხაზს იცავდენ ტროცკისა და მისი ჯგუფის თავდასხმისაგან და როდესაც ეს უკანასკნელები ცდილობდენ ლენინიზმის რევიზიას; ეხლა კი ისინი ძირითად საკითხებში ტროცკიზმის მომხრეებად გამოდიან.

აქტივის კრება გადაჭრით გმობს ახალი ოპოზიციის გამთიშავ მოქმედებას და აცხადებს,რომ ქალაქის სარაიონო ორგანიზაცია თბილისის ორგანიზაციასთან ერთად სავსებით უჭერს მხარს ლენინურ ც. კ. ჩვენი პარტიის გათიშვის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენ განხეთქილების წინააღმდეგნი ვართ. ჩვენ ლენინიზმის რევიზიის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ მხარს უჭერთ მთლიან ბოლშევიკურ პარტიას.

ძირს ფრაქციულობა.

შევამჭიდროვოთ ჩვენი პარტიის რიგები გამობრძმედილ ლენინურ შტაბის — საკავშირო კომ. პარ. ცენ. კომიტეტის გარშემო.

ცეკა.—სამტრედიის პარტორგანიზაციის შესახებ

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას სამდივნომ, მოისმინა რა სამტრედიის რაიკომის მდივნის მოხსენება და ცეკას ინსტრუქტორის თანამოხსენება სამტრედიის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, სცნო ამ ორგანიზაციის მუშაობა არა დამაკმაყოფილებლად.

მე-14 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა ზერელე დამუშავება, რის გამოც ქალაქისა და სოფლის უჯრედებს არა აქვთ წარმოდგენა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების შესახებ მიმდინარე მომენტში;სუსტი პარტადმზრდელობითი მუშაობა,პოლიტიკური უცოდინარობა ქვედა საფეხურის პარტაქტივისა და სისუსტე უჯრედების შინა მუშაობისა როგორც ქალაქებში, ისე სოფლად; სუსტი ხელმძღვანელობა რაიკომის მხრივ ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციებისა.

სამდივნომ აღნიშნა აგრეთვე კომკავშირის სარაიონო მუშაკთა სუსტი. შემადგენლობა

გაითვალისწინა რა ყველა ეს ნაკლი რაიკომის მუშაობაში, სამდივნომ წინადადება მისცა სამტრედიის პარტორგანიზაციას, შეუდგეს მე-14 პარტყრილობის და აგრეთვე ამ.-კავკასიის თათბირის დადგენილებათა სერიოზულ და სისტემატიურ დამუშავებას. სამდივნომ გადასწყვიტა, გაგზავნოს პროპაგანდისტთა ჯგუფები სამტრედიის ორგანიზაციაში.

სამტრედიის პარტორგანიზაციის უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს პარტაღმზრდელობითი მუშაობას. ფართოდ უნდა განემარტოს მასსას პარტიის დამოკიდებულება ყოფილ მენშევიკებისადმი.

შინა-პარტიული მუშაობის დარგში, სამდივნომ წინადადება მისცა, ნაწილობრივ განაახლოს სარაიონო მუშაკთა და აგრეთვე ქვედა-საფეხურის აქტივის ხელმძღვანელთა შემადგენლობა, მიმაგრებულ იქმნან, მუდმივ ხელმძღვანელთა სახით მუშა - აქტივისტები სასოფლო უჯრედებთან და განცხოველდეს მუშაობა. ამ მიზნით სამდივნომ აუცილებლად სცნო, უჯრედების ბიუროს თათბირების სისტემატიურად მოწვევა, გეგმიანი მუშაობის წარმოება, საკითხების მიზან-შეწონილი შერჩევა უჯრედების კრებაზე და მათი სისტემატიური გამოკვლევა.

გაძლიერებულ იქმნას მუშაობა ქალთა, კომკავშირელთა და პიონერთა ორგანიზაციებს შორის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პარტკადრების ზრდას კომკავშირში (ამჟამად კომკავშირში 25 პარტიულია) თანახმად საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას ივნისის პლენუმისა, საბოლოოდ ჩამოყალიბდეს საბჭოთა აპარატებთან არსებული კომფრაქციები და მიღებულ იქნას ზომები მოსახლეობის კოოპერაციაში ჩასაბმელად.

სამდივნომ მიუთითა ქუთაისის სამაზრო პარტკომს, რომ აუცილებლად გააძლიეროს პარტაღმზრდელობითი მუშაობა სამტრედიის პარტიულ ორგანიზაციაში.

ამხ. მიშა აბულაძის გარდაცვალების გამო

სრულიად მოულოდნელად სიცოცხლეს გამოესალმა ძვირფასი ამხ. მიშა აბულაძე. ტუბერკულიოზმა მოსპო მისი სიცოცხლე...

ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მაგრამ 1917 წლის მიწურულშივე ჩაება ახალგაზრდათა კომკავშირის მუშაობაში.

ის შესაფერად ასრულებდა თავის მოვალეობას აბაშის და სამტრედიის რაიონის ორგანიზაციაში.

არალეგალურ მუშაობისათვის დატუსაღებულიც იყო და ცემა-ტყეპა განიცადა მენშევიკურ ხელისუფლებისაგან.

გასაბჭოების შემდეგ, ის უფრო აქტიურად მუშაობდა სენაკის და გორის მაზრის კ. კ. ორგანიზაციაში. ილტვოდა სხვა დარგშიც მოეტანა სარგებლობა...

მას ახასიათებდა დაუღალავი ენერგია, მოწადინებული მუშაობა, მაგრამ ავადმყოფობამ და დაუდევრობამ ის დააუძლურა და სრულიად გამოასალმა წუთი სოფელს.

მისი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ამხანაგებს შორის.

შ—ლი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

დახმარება გაფიცულ მემაღაროელებს

ქუთაისი, 3 აგვისტო. ქუთაისში და მის მაზრაში ს. ა. ლ. კ. კ.-ს სამაზრო კომიტეტმა მოაწყო ყულაბებით ფულების შეკრება გაფიცულ სამთამადნო მუშების სასარგებლოთ. ქალაქ ქუთაისში შეიკრიბა 281 მან. 10 კაპიკი.

მოსავალს პირი უჩანს

ოზურგეთი, 3 აგვისტო, დასავლეთ საქართველოში სიმინდი ყველგან ძალიან კარგ მდგომარეობაშია. მოსავალს კარგს ელიან.

თამბაქოს პლანტაციები

ოზურგეთი, 3 აგვისტო. აგრონომიულ პუნქტის მიერ მახრის მოსპობის შემდეგ, თამბაქოს პლანტაციები ჩოხატაურის და ხიდისთავის აგრეთვე ერკეთის რაიონებში გამოკეთდა.

იმავე რაიონების საკრედიტო ამხანაგობებში არის 22,000-მდე ფუთი დაუმუშავებელი თამბაქო წარსული წლის მოსავლისეული.

სკოლის აშენება

ოზურგეთი, 3 აგვისტო. სამღვთოს თემის აღმასკომმა ითხოვა სახელმწიფო ტყის ექსპლოატაციის ნებართვა, იმდაგვარათ, რომ შემოსავალი მოხმარდეს 4 წლიან შრომის სკოლის აშენებას.

სკოლის შენობა დამთავრდება შემოდგომაზე.

წვიმების შემდეგ

ქუთაისი, 3 აგვისტო. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის განკარგულებით ბაღდათის თემში შედგენილია კომისია 14—19 ივნ. მომხდარ დიდი წვიმების გამო მიყენებული ზარალის გამოსარკვევად. სარწყავი არხი დიმ-როკითს შორის ძლიერ დაზიანდა. თხრილი აივსო წყლით. მუშაობა შეჩერებულია .

ვენერიული დისპანსერი

ქუთაისი, 3 აგვისტო. ვენერიული დისპანსერის მოსაწყობათ აიღეს ყოფილი სასტუმრო „გრანდოტელის“ შენობა. სწარმოებს კაპიტალური რემონტი. თანხებს აძლევს ქუთაისის აღმასკომი. დისპანსერი განგარიშებულია 75 მწოლიარე ავადმყოფისათვის

ქუთაისის ელექტრო-ტეხნიკუმი

ქუთაისი, 3 აგვისტო. ქუთაისის ელექტრო ტეხნიკუმში თხოვნების მიღება დაიწყება 10 აგვისტოდან. 25 თავისუფალ ადგილზე შემოსულია 500 თხოვნა. აღძრულია შუამდგომლობა ცენტრის წინაშე პირველი კურსის პარალელური განყოფილების გახსნის შესახებ.

ბახმაროზე

ოზურგეთი, 3 აგვისტო. ამ წელს ბახმაროზე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. კურორტის მთელი ტერიტორიაზე გაცხოველებული მშენებლობა სწარმოებს.

წერილები

ხიდისთაველი „კარტოჩნიკები“

(წერილი გურიიდან)

ხიდისთავში ჩრდილი კარგი იცის, ბაღებიც დიდებულია ამ სოფელში, სამიკიტნოები აბა რაღა საკითხავია. ხოდა, მოდი ამის შემდეგ, გამოიდევი მხარზე თოხი და მთელი დღე ულაყუნე ის კაცის თავის სისხო გოროხებში—სწმინდე ყანა ამ პაპანაქება სიცხეში, როცა მზეზე კვერცხი შეიწვება.

რა სჯობია ამ დროს გრილში, სიოზე მხართქმით წამოწოლას და სერბინეს ბაღში ზანქოს თამაშს, ან კიდევ სასწავლებლის შენობაში შესვლას და „ტრი - სბოკის“ და „ტიომნის“ ძახილს. კიდევ კარგი — ეხლა არდადეგებია. თორემ ხიდისთავის ზოგიერთ „კარტოჩნიკებს“ ეს ხომ ხელს შეუშლიდა.

არის დილიდან საღამომდი კარტების „ჩითვა“, ზოგის ტირილი, ზოგის სიცილი, დედის და მამავალ-მოვალის გინება, აურ-ზაური და ლაზღანდარობა. „ჯანდაბას აი ხელიდან წარსული ყიძახები, ამბობენ ხოლმე ხიდისთაველი ქლები, ნეტაი მაგენის შემხედვერა ბალნები არ გადაგერეოდაო“.

და მართლაც, ამაზე უფრო ცუდი სურათი, რომელსაც მისჩერებია მოზრდილი ბიჭები ხიდისთავში, იშვიათად თუ მოიძებნება ამ ბავშვების გასარყვნელად და გასაუზნეველად, ბავშვები, ამნაირათ, აღარაფერს აყენებენ სახლში. თუ კი რაიმე ხელი წამოჰკრეს, გაიტაცებენ, გაჰყიდიან და კარტს მიუჯდებიან.

დიდები მთელი დღეები უშმელ - უსმელი ერთმანეთს ეგლიჯებიან რონოდიდან ფულს და ბოლოს ერთ „დაჭკა-დაჭ“-ს და „არ გოუშვას“ ძახილია.

ალბად თქვენ იტყვით, ეს იმის ბრალია, რომ ხიდისთავში არ იქნება არც კლუბი, არც სამკითხველო, არც სხვა რაიმე კულტურული ნუ იფიქრებთ. ხიდისთავი არაფრით ჩამორჩება გურიის სხვა კულტურულად დაწინაურებულ სოფლებს. საქმე აქ სულ სხვაშია. კლუბი მაგალითად არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივ სამიკიტ. უკაცრავად, რესტორანისაგან, რომ მას კლუბის სახელი არ ერქვას.

ღვინოც ბევრია ხიდისთავის კლუბში, პურმარილიც გემრიელია და მოქეიფე ბიჭებიც, იცოდნენ, აქ არიან. ისმის დილიდან საღამომდე „შვიდკაცას“ და „ხასანბეგურას“ ხმა. კრიმანჭული ცაში სწვდება.

რაკი ზაფხული დადგა, და შენობაში ცხელა, კლუბის მოქეიფეებმა ეზოში გადმოინაცვლეს. ერთმანეთს ეჯიბრებიან ღვინის სმაში, სავსე ბოთლით თავზე — ცეკვაში და არშიყობაში—შაირობაში.

ამბობენ, ხიდისთავში ყოჩაღი მილიციის უფროსიაო. ჯერ-ჯერობით მისი სიყოჩაღე ამ მხრივ არ ჩანს. ველით კი მისგან ხელის გამოღებას. რაც შეეხება ამ ცუდ ჩვეულებების საბოლოოთ აღმოფხვრა, აქ სიტყვა ხიდისთავის მოწინავე გლეხებს და ინტელიგენციას ეკუთვნის.

ქვენობნელი.

საშინელი სეტყვა

(წითელქალაქი, გორ. მ.)

გუშინ, 2 აგვისტოს, საღამოს, საათის ხუთზე, სამხრეთიდან ვეებერთელა თეთრი ღრუბელი წამოვიდა.

არ გასულა ათიოდე წუთი, რომ უცბათ დაუბერა საშინელმა ქარიშხალმა და თანაც დიდი სეტყვა მოატანა. წარმოიდგინეთ, ვეებერთელა ხეები ძირიანად ღაგლიჯა და პატარა ხეხილი სულ მთლიანად გაანადგურა წითელქალაქის თემში შემომავალ სოფლებში მთლად მოყვა მოსამკალი და მომკილი ყანები. სიმინდი სულ წალეკა. უჩვეულო ქარიშხალმა კარ-მიდამოებსაც დიდი ზიანი მიაყენა. გლეხები ძალიან დაღონებულნი არიან. საჭიროა ადგილობრივ გაიგზავნოს კომისია მდგომარეობის გამოსარკვევად და დახმარების აღმოჩენის მოსაწყობათ.

ლ. ჭეჭელაშვილი.

ამხ. აიტაკოვი თბილისში

ბაქოდან გავლით, თბილისში ჩამოვიდა საკავშირო და თურქმენთა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარე ამხ. აიტაკოვი.

ამხ. აიტაკოვმა დაათვალიერა ზოგიერთი კურორტები და დასასვენებელი სახლები და გაეცნო მათ მდგომარეობას. 2 აგვისტოს ამხ. აიტაკოვი საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრა კავკავში.

სამეცნიერო ექსპედიციის დაბრუნება აჭარისტანიდან

აჭარისტანიდან დაბრუნდა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც მოწყობილი იყო ა.-კ. ცაკთან არსებულ სამეცნიერო ასოციაციის მიერ.

ექსპედიციის მიზანი იყო აჭარისტანის შესწავლა სოციალურ-ეკონომიურის მხრივ (რევოლიუციონური მოძრაობა წარსულში) და ეტნოგრაფიის და კილოკავების შესწავლა.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ექსპედიციის წევრმა ამხ. ჩურსინმა განაცხადა შემდეგი:

ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი სწავლობდა კილოკავებს ზემო აჭარაში (ხულოს რაიონი). მან აღმოაჩინა მრავალი კილოკავები, რომელთა წარმოშობა უნდა აიხსნას ადგილობრივი მოსახლეობის დაშორებით დიდი ცენტრებიდან.

ექსპედიციის დანარჩენი წევრები სწავლობდენ წვრილი ერების—ლაზების, ქურთების და ხემშილების ცხოვრებას (სომეხი მუსლიმანები) და აგრეთვე აჭარისტანის ცალკე რაიონებს.

ექსპედიციის წევრები იყვნენ სოფ. სარფში, რომელიც დასახლებულია ლაზებით. ეს სოფელი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ის შუაზე გაჰყო ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარმა. ბაზარი ოსმალეთში მოექცა, მეჩეთი კი აჭარისტანში. ეს ქმნის თავისებურ ყოფა-ცხოვრებას. ოსმალეთში მოხდარი უკანასკნელი ამბების გამო სოფლის ოსმალურ ნაწილში მცხოვრები ლაზები უფრო კარგავენ თავის თავისებურებას, ვიდრე ლაზები, რომლებიც აჭარაში დარჩენ. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ტანთსაცმელის შესახებ. ოსმალეთში მცხოვრები ლაზები ყაბალახსაც კი აღარ ატარებენ; ფესკები მათ შესცვალეს ევროპიულ შლიაპებზე და კასკეტებზე.

ექსპ. ეტნოგრაფიულ გამოკვლევას ახდენდა ბათომის და ქობულეთის რაიონებში, და აგრეთვე ზემო-აჭარაში. აჭარისტანში ჯერ კიდევ დარჩენილია მრავალი ისეთი ცრუმორწმუნოება, რომელიც უკვე გაქრა საქართველოში. აჭარელი ქალები ჩადრით იფარავენ პირსახეს, ისინი ეხლაც არავითარ მონაწილეობას არ იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ექსპედიციის მიერ შეგროვილი მასალები დამუშავებული და გამოცემული იქნება ცალკე წიგნებათ.

თბილისის ბიუჯეტი 26-27 წლისათვის

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ დაამუშავა და საქართველოს საგეგმო კომისიას გადაუგზავნა თბილისის აღმასკომის ხარჯების საორგანიზაციო ხარჯთაღრიცხვა 1926-27 საბიუჯეტო წლისათვის. ამ ხარჯთაღრიცხვით თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის გასავალი 1926-27 წლისათვის ნავარაუდევია 15.114.000 მან. რაოდენობით.

მომავალი საბიუჯეტო წლიდან განზრახულია ზოგიერთი ხარჯების შემცირება საერთო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში და აგრეთვე საფინანსო და სტატისტიკურ განყოფილებების სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაცემის საშუალებით.

სამაგიეროდ გადიდებულია ხარჯები სახალხო განათლების საჭიროებისათვის.

ხარჯების გადიდება გამოწვეულია სკოლების რიცხვის ბუნებრივი ზრდით და აგრეთვე საშუალო სკოლების რეორგანიზაციით.

მიმდინარე წელთან შედარებით გადიდებულია ხარჯები სახალხო ჯანმრთელობის საჭიროებისათვის. მომავალი საბიუჯეტო წლისათვის განზრახულია აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების უწყებაში მყოფ ყველა საავადმყოფოების მოწყობა, ტუბერკულოზის ახალი დისპანსერის მოწყობა 80 საწოლით, სასწრაფო დახმარებისათვის ავტო-კარეტების შეძენა და სხვა.

კომუნალური მეურნეობის დარგში მომავალი წლისათვის განზრახულია სასაკლაოსთან საუტილიზაციო ქარხნის აგება, აგურის და კრამიტის ახალი ქარხნის მოწყობა, დახურული ბაზრის მოწყობა, ახალი ხიდის აგება მტკვარზე, თბილისის და მისი მიდამოების გეგმის გადიდება და სხვ.

საბინაო მშენებლობისათვის გადადებული იქნება ერთი მილიონი მანეთი.

თანხები უდიდდება აგრეთვე საადგილმამულო განყოფილებას—სასოფლო მეურნეობის აღორძინების მიზნით (აგრონომიული, ვეტერინარულ-სანიტარული დახმარება, მიწათმოწყობა და სხვა).

ქალაქის აღმასკომს განზრახვა აქვს მომავალ საბიუჯეტო წლისათვის გამოძებნოს გძელვადიანი სესხი 4.050.000 რაოდენობით. სესხი მოხმარდება ტრამვაის მეურნეობას (ტრამვაის ხაზების გაფართოებას, ახალი ვაგონების შეძენას, ახალი პარკების გაყვანას, ლიანდაგის გამოცვლას და სხვ.) და მომხმარებლების „ზაჰესი“-ს ენერგიაზე გადაყვანას. გძელვადიანი სესხიდან 2 მილიონი განზრახულია მოხმარდეს საბინაო მშენებლობას.

ადგილობრივი ბიუჯეტი

ადგილებზე უკვე დაიწყო მუშაობა 1926-27 წლის ბიუჯეტის შესადგენათ.

მიმდინარე წელში ადგილობრივ ბიუჯეტზე დატოვებულ მომუშავეთა ხელფასი თითქმის მთელი რესპუბლიკის მასშტაბით სახელმწიფო მომარაგებაზე დატოვებულ მომუშავეთა ხელფასზე ნაკლები იყო.

ეს გარემოება ადგილებზე ქმნიდა არანორმალურ მდგომარეობას, ვინაიდან ერთნაირ მომუშავეთა ხელფასი იმისდამიხედვით, თუ რომელ ბიუჯეტიდან ღებულობდენ ისინი ხელფასს, სხვადასხვაგვარი იყო და ეს იმ დროს როცა [illegible] რესპუბლიკაში [illegible] მაზრების და ავტონომიურ რესპუბლიკების ბიუჯეტის დეფიციტიანობის გამო ხელფასის მნიშვნელოვანი ნაწილი იფარებოდა იმავე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დოტაციის სახით.

ამ მიზნით, რომ წელს ადგილი არ ექნეს ხელფასის ასეთ განსხვავებას, საქართველოს პროფსაბჭო საჭიროდ სცნობს, რომ 1926-27 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს ადგილობრივ ბიუჯეტზე დატოვებულ მუშა-მოსამსახურეთა პირველი თანრიგის განაკვეთი აღებული იქნეს არა ნაკლებ სახელმწიფო მინიმუმისა (ე. ი. 9 მან.).

იმ ადგილებში, სადაც მიმდინარე საბიუჯეტო წელში განაკვეთი დაწესებული იყო 9 მანეთზე მეტი, ასეთი შემცირებული უნდა იქნეს.

ავტონომიურ რესპუბლიკების პროფსაბჭოების და სამაზრო პროფბიუროების სახელზე დაგზავნილ ცირკულიარში საქართველოს პროფსაბჭო აღნიშნავს, რომ იმისდამიხედვით, თუ რა საშუალებებს იძლევა ბიუჯეტი, ე. ი. თუ შესაძლებელი იქნება ბიუჯეტის უდოტაციოთ შედგენა, მიღებული უნდა იქნეს ზომები ხელფასის ზემოაღნიშნულ ნორმაზე ზევით ასაწევათ.

პროფსაბჭო წინადადებას აძლევს აგრეთვე ადგილობრივ პროფორგანოებს ბიუჯეტში შეიტანონ ხელფასის და სოცდაზღვევის დავალიანება, თუ ამას ადგილი აქვს ადგილებზე.

ცემენტის წარმოება

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ შედგენილმა სპეციალისტთა კომისიამ უკვე მოახდინა ქუთაისში ცემენტის ადგილების დათვალიერება და შესწავლა.

კომისიის მიზანს შეადგენდა გამოერკვია, თუ რამდენათ ხელსაყრელი და მიზანშეწონილი იქნება ქუთაისში ცემენტის წარმოების დაწყება.

ქუთაისიდან ჩამოტანილი ნედლი მასალის ნიმუშები ანალიზის მოსახდენად გადაეცა ქიმიკოსს ბარნაბიშვილს.

მესაქონლეობის გამოკვლევა

მიწათმოქმედების კომისარიატის ინიციატივით, ამჟამად მთელ რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს მესაქონლეობის გამოკვლევა. ამ საქმის ხელმძღვანელათ დანიშნულია პროფ. ჯანდიერი.

მესაქონლეობის გამოკვლევას მიზნად აქვს შესწავლა ჩვენში არსებულ საქონლის ჯიშების, მუშა-საქონლის უნარიანობის, მათი გამძლეობის და სხვა.

მთავარი ყურადღება ექცევა მთიულ საქონელს, რომელნიც უფრო ჯანსაღათ ითვლებიან.

რესპუბლიკის მრავალ კუთხეებში მუშაობა უკვე დასრულებულია.

გამოკვლევის საბოლოოდ დასრულების შემდეგ განზრახულია დაარსდეს რესპუბლიკანური სადგური, რომელიც უხელმძღვანელებს ჩვენი საქონლის სხვადასხვა ჯიშების გაუმჯობესებას, ახალი ჯიშების მოშენებას და სხ.

ბრძოლა სამუშაო დროის გაცდენასთან

საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი ღონისძიებებისა, რომელთაც მიზნათ აქვთ ბრძოლა სამუშაო დროის გაცდენასთან საპატიო მიზეზების გარეშე.

პროექტით ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს ევალებათ მოაგვარონ ამბულატორიებსა და დისპანსერებში მუშა-მოსამსახურეთა სალამოობით მიღების საქმე. დამზღვევ სალაროებმა წესად არ უნდა გახადონ იმ დროის ანაზღაურება, რომელსაც მუშა-მოსამსახურეებს ეხარჯებათ საამბულატორიო მკურნალობისთვის (სასწრაფო სამკურნალო დახმარების გამოკლებით) სამუშაო დროის განმავლობაში.

დამზღვევ სალაროებს უნდა მივსცეთ უფლება ა) არ მისცენ დახმარება მწვავე დათრობით ან მისი შედეგებით გამოწვეულ შრომის უნარიანობის დროებითი დაკარგვისათვის, ბ) განზრახ, დახმარების მიზნით თავის დაჭრით გამოწვეული შრომის უნარის დაკარგვისათვის, გ) ავადმყოფის მიერ ბოროტი განზრახვით მკურნალის რჩევა-დარიგების დარღვევისათვის, რომელსაც გამოუწვევია ავადმყოფობის გართულება, ან მკურნალობის შეფერხება; სამკურნალო შეღავათების დროის არადანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის.

დამზღვევ სალაროებს უნდა მიეცეთ უფლება სისხლის სამართლის ან ნივთიერ პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომელნიც უკანონოდ ღებულობენ დახმარებას, მოტყუებით, ან სხვა ბოროტ-მოქმედების საშუალებით, აგრეთვე ის პირებიც, რომელნიც დამზღვევ სალაროებს აძლევენ ყალბ ცნობებს თავისი საცხოვრებელი ადგილის, ხელფასის და სხ. შესახებ.

ჯანმრთელობის ორგანოებს და დამზღვევ სალაროებს პროექტის თანახმად ეძლევათ უფლება პასუხისგებაში მისცენ ექიმები, რომელნიც უკანონოდ აძლევენ სამკურნალო შეღავათებს. დამზღვევ სალაროებმა უნდა მოაწყონ სისტემატიური კონტროლი იმ პირების ბინებზე, რომელთაც ავადმყოფობის გამო ეძლევათ შეღავათება.

ამ ღონისძიებათა პროექტი შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დასამტკიცებლად წარდგენილია შრომის და თავდაცვის საბჭოში.

ავტომუშაკების შრომის ხელფასი

ავტომუშაკების სრ. საკავშირო თათბირმა დაადგინა—შემოღებულ იქნეს საავტომობილო წარმოებებში ხელფასის შემდეგი ერთტიპიანი სისტემა: საბარგო გარაჟებში და სარემონტო სახელოსნოებში შემოღებული უნდა იქნეს სანარდო სისტემა, სამონტაჟო სახელოსნოებში—საკორდო სისტემა, საავტობუსო და მსუბუქ ავტომობილების გარაჟებში—პრემიალური სისტემა. ეს სისტემები გატარებული უნდა იქნეს კოლლექტიურ ხელშეკრულებებით.

პრემიალური დაჯილდოვება უნდა დაწესდეს საწვავის და შინის დაზოგვისათვის, მანქანის დაზოგვისა და ფრთხილი მოპყრობისათვის.

პრემიის გამოანგარიშება ხდება შოფერის მიერ დაზოგვილ საწვავი მასალისა და შინის რაოდენობასთან შეფარდებით. პრემია უნდა იქნეს ფაქტიურად დაზოგვილ მასალის საერთო ღირებულების 75%-ზე ნაკლები.

პრემია მანქანის კარგად მოვლისა, მოპყრობისა და ფრთხილი მოგზაურობისათვის წესდება იმ რემონტის ღირებულებასთან შეფარდებით, რომელიც თავიდან აცილებული იქნა შოფერის გულმოდგინეობის წყალობით.

ნიხრზე მომუშავე მანქანებისათვის პრემია გამოიანგარიშება არა რემონტის ღირებულების მიხედვით, არამედ მანქანის მიერ აღებულ სამგზავრო ქირასთან შეფარდებით.

თათბირის დადგენილებით, დრო, რომელიც უნდა მანქანის მომართვას და მოწყობას და აგრეთვე სამუშაო ადგილზე მისვლა-მოსვლას, უნდა შეიტანონ სამუშაო დროის ანგარიშში; თათბირის მიერ საბარგო და მსუბუქ მანქანების შეკეთებისათვის ქალაქის გარაჟებში წესდება 10 საათის სამუშაო დღე იმ ანგარიშით, რომ ყოველი 4 დღის შემდეგ მე-5 დღე იქნება დამატებითი დასასვენებელი დღე. ნიხრზე მომუშავე შოფერებისათვის შემოღებულ უნდა იქნეს 12-16 საათის სამუშაო დღე. ყოველ ორი დღის მუშაობის შემდეგ მესამე დამატებითი შესვენების დღის, ან მეორე დამატებითი შესვენების (როცა 16 საათს მუშაობენ) დღის დაწესებით.

საქალაქთაშორისო ხაზების შოფერებისათვის თათბირმა შესაძლებლად სცნო 10-12 საათის სამუშაო დღის დაწესება შესვენებით მეხუთე დღეზე ან ყოველი ორი დღის შემდეგ. ქალაქის ავტობუსების სამუშაო დღე არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს.

ჩათახის რკინის მადანი

ამ ორი თვის წინედ, ს. მ. უ. ს. სამთა-მადნო სამმართველოს მიერ ჩათახის მიდამოებში (ბორჩალოს მაზრა) მივლინებული იყო ინჟინერი გაბუნია რკინის მადანის გამოსაკვლევ მუშაობის საწარმოებლად.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელს ამ მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, ინჟ. გაბუნიამ შემდეგი აცნობა:

ჩემი მთავარი მიზანი იყო რკინის მადანის საბუდოების სივრცის გამორკვევა ჩათახის მიდამოებში. ამ მიზნით დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული. ჯერ-ჯერობით შემოხაზულია და აზომილი 50 კვ. კილომეტრი იმ სივრცისა, სადაც მოიპოება მადან ნარევი ქანები. ზოგიერთი ნიმუშები რკინის მადანისა იძლევა 50—60%-ს წმინდა ლითონს.

მადანის ადგილ-ბუდობას ახასიათებს ნიადაგის უსწორ-მასწორობა. ჯერ-ჯერობით მადანის ღირსებაზე ლაპარაკი ნაადრევია. მარაგის განსაზღვრისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გამოკვლევითი მუშაობის გაფართოება.

ამ მუშაობის პროცესში მდ. ლოლადაურზე აღმოჩენილ იქნა „მაგნიტ ნარევი ქვიშა. ნდ. ახკერპი-ჩაიზე ნახულ იქნა ბარიტის ძარღვი მეტად კარგი ღირსების.

ბარიტის ძარღვის ყოველმხრივ შესასწავლად მუშაობა უკვე სწარმოებს.

ჩათახიდან 12 ვერსის მანძილზე დასავლეთით დათვალიერებულ იქნა ძველი სპილენძის მადნების ადგილ-მდებარეობა, საიდანაც წინედ ღებულობდენ ოქრო და ვერცხლ-ნარევ სპილენძს.

გამოირკვა. რომ ამ ადგილას მდებარე მადნები, გარდა სპილენძის ალგაღანისა, შეიცავს ტყვიის კრიალოს, რკინის ალგადანს და სფალერიტს. მომავალში ამ მადნის სათანადოთ დამუშავებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

გეოლოგიური მუშაობა ჩათახის მიდამოებში რკინის მადანის აღმოსაჩენად წარმატებით მიმდინარეობს.

რკინის მადანის ნიმუშები საანალიზოთ ამ ახლო ხანში გადაიგზავნება სამთო-ქიმიურ ლაბორატორიაში.

სამთო-ქიმიური ლაბორატორიის დასკვნები მადანის ანალიზის შესახებ გადაეცემა სამთო განყოფილების კომისიას.

მომავალში განზრახულია მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება.

მუშაობის დასრულება მოსალოდნელია სექტემბერში.

ფართალი და პური მებამბეებს

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეიმუშავა ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონებში ფართლეულობის და პურის შემოტანის გეგმა 1926-27 წლისათვის.

ამ გეგმის მიხედვით, აზერბეიჯანის მებამბეობის რაიონებში შეტანილი უნდა ქნეს 900.000 ფუთი პურეული, სომხეთში—480.000 ფუთი და საქართველოში—130.000. პურის საჭირო რაოდენობის გამოანგარიშების დროს მხედველობაში იქნა მიღებული ერთის მხრივ მებამბეთა მოთხოვნილება და მეორეს მხრივ მოსალოდნელი მოსავალი.

ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტს საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა დასდოს ხელშეკრულება პურის შემომტან რომელიმე ორგანიზაციასთან. ამასთანავე ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა უნდა მიიღოს ზომები, რომ არ განმეორდეს პურის შემოტანის დაგვიანება და ცუდი ხარისხის პურის შემოტანა, რასაც ადგილი ჰქონდა შარშან.

რაც შეეხება მანუფაქტურას, საგეგმო კომისიამ აღნიშნა, რომ შარშანდელი ნორმა 12 მეტრი სულზე არ იყო საკმარისი. ამიტომ ეს ნორმა გადიდებულია 14 მეტრამდე და ამისდა მიხედვით ამიერ-კავკასიის საბამბო რაიონებში შემოტანილი უნდა იქნეს: აზერბეიჯანში—5.040.000 მეტრი, სომხეთში—784.000 და საქართველოში—728.000 მეტრი, სულ კი მთელს ამიერ-კავკასიაში—6.552.000 მეტრი ფართალი.

ამ რაოდენობიდან შემოტანილი უნდა იქნეს: ჩითი—30 პროც., სხვადასხვა ქსოვილები—25 პროც., თეთრეული—20 პროც., ტანისაცმელი—10 პროც., ტანისამოსის ქსოვილები—12 პროც. და ბამბაზია—3 პროც.

ფართალის და პურის განაწილებას აწარმოებს ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტი, იმ რაიონებში კი, სადაც განაწილება დაკისრებული აქვს კოოპერაციას, ფართალის და პურის განაწილებას აწარმოებს ეს უკანასკნელები.

საერთო მეთვალყურეობა შემოტანილი ფართალის და პურის განაწილებაზე დაკისრებული აქვს ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს.

ამხ. ანდრო ახმეტელის გარდაცვალება

გუშინ ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში საღამოს 9 საათზე, ჭიაყელა ნაწლავის მწვავე ანთებისაგან გარდაიცვალა ა.-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ამხ. ანდრო ახმეტელი.

დამკრძალავი კომისია

საქ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შედგენილია ამხ. ა. ახმეტელის დამკრძალავი კომისია, რომელშიც შედიან ამხ. ი. ვარძიელი, კ. კაკაბაძე და ს. აკოფოვი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს, რომ ა—წ. 3 აგვისტოს უდროოთ გარდაიცვალა ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებული საქართველოში

ამხ. ანდრო მიხეილის ძე ახმეტელი

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმი იუწყება, რომ ა—წ. 3 აგვისტოს გარდაიცვალა ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებული საქართველოში

ამხ. ანდრო მიხეილის ძე ახმეტელი

საქართველოს სახ. კომისართა საბჭო მწუხარებით იუწყება რომ ა—წ. 3 აგვისტოს უდროოთ გარდაიცვალა ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებული საქართველოში

ამხ. ანდრო მიხეილის ძე ახმეტელი

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატი იუწყება, რომ უდროოთ გარდაიცვალა აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს ყოფ. წევრი და თავმჯდომარის მოადგილე

ამხ. ანდრო ახმეტელი

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ ა—წ. 3 აგვისტოს საღამოს გარდაიცვალა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის ყოფ. თავმჯდომარე

ამხ. ანდრო ახმეტელი

თბილისის საქონლის და საფონდო ბირჟა აცხადებს, რომ 3 აგვისტოს საღამოს გარდაიცვალა საქართველოში ა.-კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული

ამხ. ანდრო ახმეტელი

ა.—კ. ს. ფ. ს. რ. და ს. ს. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარის რწმუნებულის სამმართველოს თანამშრომლები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ, რომ გუშინ, 3 აგვისტოს, გარდაიცვალა ძველი, საყვარელი ამხანაგი, შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებული

ანდრო ახმეტელი

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალურ მუშათა ფაკულტეტის პედაგოგიური შემადგენლობა ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ძვირფას ამხანაგის, მუშფაკის ლექტორის

ანდრო ახმეტელის

გარდაცვალების გამო

მწუხარებით თავზარდაცემული მეუღლე—მარიამი ნიკოლოზის ასული ახმეტელი, შვილებით—მიშა და თამარათი, დედა—მარიამი, და—თამარა, სიძე—ვლადიმერ ვეფხვაძე და ბიცოლა ნატალია აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ საყვარელ

ანდრო ახმეტელის

უდროოდ გარდაცვალებას.

საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის კომუჯრედი, ადგილკომი და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ უდროოთ და მოულოდნელათ გარდაიცვალა აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს ყოფ. თავმჯდომარე ძვირფასი

ამხ. ანდრო ახმეტელი

თბილისის ხიდები

მოძრაობა და ტვირთზიდვა თბილისის ქუჩებზე ყოველწლიურად იზრდება. ტრამვაის მოძრავი ერთეულები, ავტო-მანქანები და სხვა სატრანსპორტო ერთეულთა რაოდენობა დღითი-დღე მატულობს. ეს გარემოება ქალაქის აღმასკომის წინაშე აყენებს საკითხს თბილისის ხიდების შესახებ. საქმე იმაშია, რომ თბილისის ხიდების უმრავლესობა აგებულია იმ დროს, როდესაც ტვირთზიდვა და სატრანსპორტო მოძრაობა ახლანდელთან შედარებით ნაკლებ განვითარებული და ხიდების დატვირთვაც დღევანდელთან შედარებით მეტად ნაკლები იყო.

ქალაქის აღმასკომს განზრახვა აქვს მოახდინოს თბილისის ყველა ხიდების გამოკვლევა მათი გამძლეობის გამორკვევის მიზნით.

დაწვრილებით იქნება გამოკვლეული ელბაქიძის (ყოფილი ვერის ხიდის), კარლ მარქსის (ყოფილი ვორონცოვის), მეტეხის და მუხრანის ხიდები. ამ ხიდებს შორის ყველაზე გვიან არის აგებული მუხრანის ხიდი, რომლის აგება დამთავრებული იქნა 1909 წელს.

დანარჩენი ხიდები კი ძველი არიან. ყველაზე უძველესია მეტეხის ხიდი, რომელიც ამ ორი წლის წინათ შეკეთებულ იქნა საფუძვლიანად.

ყველაზე ცუდ მდგომარეობაში არის ვერის და ვორონცოვის ხიდები, რომელნიც შედარებით ადრე არიან აგებულნი. განსაკუთრებით საფუძვლიან გადაკეთებას საჭიროებს კარლ მარქსის (ყოფილი ვორონცოვის) ხიდი. გამოკვლევა გამოარკვევს, თუ რა ღონისძიებები იქნება საჭირო ხიდების ისეთ მდგომარეობაში მოსაყვანად, რომ მათ აიტანონ არსებული დატვირთვა.

სატრაქტორო საქმე

რამდენი ტრაქტორია შემოტანილი

1924 წლიდან—1926 წლამდე ამიერ-კავკასიაში სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ შემოტანილია სულ 848 ტრაქტორი.

ტრაქტორების ეს რაოდენობა რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: საქართველოში 111 ტრაქტორი, სომხეთში—217 და აზერბეიჯანში—520.

ახალი ტრაქტორისტები

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენასთან არსებული მოკლევადიანი სატრაქტორო კურსები დაამთავრა 74 კაცმა, აქედან ათი კაცი მივლინებული იყო იქ ა.-კ. საბამბო კომიტეტის სასოფ.-სამეურნეო განყოფილების სატრაქტორო სექციის მიერ.

მოლაპარაკება

ა.-კ. მებამბეთა კომიტეტი მოლაპარაკებას აწარმოებს ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტთან ტრაქტორების შეძენის შესახებ.

მებამბეთა ტრაქტორები

ამჟამად ა.-კავკასიის მებამბეთა რაიონებში სულ მუშაობს 70 ტრაქტორი—ა.-კ. მებამბეობის კომიტეტისა.

რამდენი ტრაქტორია საჭირო

ა.-კ. მებამბეთა კომიტეტის სატრაქტორო სექციის გამოანგარიშებით ამიერ-კავკასიის მებამბეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად საჭიროა 500 ტრაქტორი.

სპირტის ტრესტის მუშაობა

საქართველოს სახელმწიფო სპირტის ტრესტის ცნობებით, ტრესტის მუშაობა უკანასკნელ ხანებში სწრაფათ ვითარდება და ფართოვდება. ასე, მაგალითად, 1923-24 წლის განმავლობაში ტრესტის მიერ გასაღებული იქნა 800.000 მანეთის საქონელი, 1924-25 წელში—1.045.000 მანეთის და 1925-26 წელში—1.060.000 მანეთის. მიმდინარე წელში ტრესტის კაპიტალი გაიზარდა 4744.000 მანეთით, გარდა ქარხნების რემონტისა და სხვადასხვა გადასახადებისა.

საერთოდ სპირტით ვაჭრობის დარგში ტრესტის მიერ პროგრამა შესრულებული იქნა 100 პროც-ით.

ლუდის დამზადების დარგში, მიუხედავათ იმისა, რომ ლუდის ქარხანა ძველია და ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნილებას, ნაყოფიერება წარსულ წელთან შედარებით გადიდებული იქნა 125 პროც-ით.

რაც შეეხება ექსპორტს, სპირტის ტრესტს მთელი რიგი განყოფილებები აქვს ბაქოში, ტაშკენტში, მოსკოვში, ხარკოვში და სხვა ქალაქებში.

ტრესტის საორიენტაციო-საწარმოო პროგრამა 1926-27 წლისათვის ნავარაუდევი იყო 1.450.000 მან.; ფარგლებში. განზრახული იყო სარექტიფიკაციო ქარხნის მოწყობა კახეთში და კონიაკის ქარხნის აგება ლიუქსემბურგში, მაგრამ მთელ რიგ ქარხნების ადგილობრივ აღმასკომებისათვის გადაცემის გამო ამის განხორციელება არ მოხერხდა.

ცალკე ქარხნებიდან გადაეცა: თბილისის აღმასკომს—ლუდის ქარხანა, ზუგდიდის აღმასკომს—აბასთუმანის ქარხანა და გალის აღმასკომს—ადგილობრივი სპირტის სახდელი ქარხანა. ამ ქარხნების გადაცემის გამო წამოიჭრა ტრესტის ლიკვიდაციის საკითხი, რადგან ტრესტი, როგორც ასეთი. მარტო სარექტიფიკაციო საქმით ვერ იარსებებს. კონიაკის ქარხნების გასახსნელად კი არ არის სათანადო თანხები.

გემო-კვების კავშირმა, რომელმაც მოისმინა მოხსენება ამ საკითხის შესახებ, თავის დადგენილებაში მიზანშეწონილად არ სცნო ტრესტის წარმოებების დანაწილება ადგილობრივ აღმასკომებისათვის, რადგან ასეთი დანაწილება ხელს შეუწყობს კერძო ქარხნების განმტკიცებას, რაც საზარალოა სახელმწიფო მრეწველობისათვის.

კომუნალური აღმშენებლობა

ქ. ხაშურის კეთილმოწყობისათვის

კვირას, 1 აგვისტოს სანიტარულმა კომისიამ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და ადგილობრივ აღმასკომის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა ქ. ხაშური, მისი გეგმის გადაღების მიზნით (დღემდე ხაშურის გეგმა არ იყო). ეს გეგმა საჭიროა ქალაქის მომავალი კეთილმოწყობისათვის. განზრახულია ახლო მომავალში მოეწყოს კანალიზაცია და წყალსადენი; აგრეთვე გაფართოვდეს ზოგიერთი ქუჩები.

მუშათა ცხოვრება

მუშაობა ბრკოლდება

სად. თბილისში მუშაობდა ექვსი სამანევრო ორთქლმავალი. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ერთი ორთქლმავალი სავსებით მოხსნეს, მაგრამ ამას ზარალის მეტი არაფერი სარგებლობა არ მოუტანია და მუშების შრომის პირობებსაც აუარესებს.

ერთი ორთქლმავალი ემსახურება სახალხო მატარებლის შედგენას, მეორე კი საქონლის სადგურის საწყობებს, მესამე საშემო და სამხედრო ლიანდაგებს. ამ საქმის მოსაგვარებლად ორთქლმავალი არ არის საკმაო, რის გამო რონოდები ჩიხებში ჩაუყენებელი რჩება. ეს კი მატარებლების მიმოსვლას და საერთოდ მოძრაობას ძალზე აფერხებს.

ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთ მაგალითს. ამას წინად საღამოს 8 საათიდან დილის 8 საათამდე სად. თბილისში მოვიდა საქონლის მატარებლები, რომლებიც 252 დატვირთულ რონოდებისაგან შესდგებოდა. მათ შორის 156 რონოდა თბილისს ეკუთვნოდა და 96 კი სხვა სადგურებს. 12 საათის განმავლობაში თბილისის სადგურმა გაგზავნა 5 მატარებელი 139 რონოდით, ასე რომ სულ ბრუნვაში იყო 395 რონოდა.

იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა ორი სამანევრო ორთქლმავალით ამ მუშაობის შესრულება? ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, არა. სადგურის ლიანდაგები გაივსო რონოდებით, მოძრაობა შეუძლებელი შეიქნა.

ასეთი შემთხვევა აქ ხშირია, ამიტომ ხანდისხან სად. თბილისიდან საქონლის მატარებლის გასვლა გვიანდება, რასაც დიდი ზარალი მოაქვს ტრანსპორტისათვის. საჭიროა ამას როგორც პროფორგანიზაციამ, ისე ადმინისტრაციამ მიაქციოს ყურადღება და ბოლოს და ბოლოს უნდა გავიგოთ, რომ ეს მდგომარეობა ტრანსპორტის გაჯანსაღების საქმეს აფერხებს.

ი. არუსპირელი.

ბრძანება № 36.

(თამბაქოს ტრესტის ცხოვრებიდან)

თუთუნის ქარხნის ორი მუშა გზაზე შეხვდენ ერთმანეთს და ერთი ეკითხება მეორეს:

— რა ამბავია თქვენ ქარხანაში? შევბულების შემდეგ რა ცვლილება მოხდა?

— ცვლილება? ძალიან ბევრი!

— უფრო საყურადღებო რა არის?

— ტრესტის ბრძანება № 36.

— ეგ რა ბრძანებაა?

— საუკეთესო! ამ ბრძანებიდან ჩვენ, მუშებმა, გავიგეთ, ჩვენ თუ ადმინისტრაციის რომელ წევრს რამდენი ვალი ჰქონია „ავანსის სახით" წაღებული.

— ვალი, თუ გაფლანგული?!

— მე არ ვიცი შემდეგში მას რა ეწოდება.

— კარგი და... ხომ აკრძალული იყო, რომ მუშას, ან მოსამსახურეს ფული ავანსის სახით მისცემოდა?!

— მგონია, მუშებს ცოტ-ცოტას მაინც აძლევდენ.

— მართალია. მაგრამ პირველ ჯამაგირშივე მთავარი ბუხჰალტერი გვიკავებდა.

— კაცო, თუ მუშებისათვის ასეთი ზომები იყო მიღებული, ადმინისტრატორები რატომ შეადგენდენ გამონაკლისს?

— ალბად, იმათთვის ასეთ ბრძანებას ძალა არ ჰქონია.

— ვის რამდენი ვალი აღმოაჩნდა, ან ვინ არიან ეგენი?

— ერთ დირექტორს აღმოაჩნდა ვალი 1.152 მან. 75 კაპ., მეორეს კი 580 მან. 89 კაპ. ადგილკომს 533 მან. 25 კაპ.

— დანარჩენ, მათ მოძმე, მოსამსახურეებს?!

— შეიძლება იმათაც ჰქონდათ, მაგრამ მალე მოასწრეს გადახდა, თორემ ამ ბრძანებაში საპატიო ადგილსაც დაიკავებდენ ისინიც.

— მერე, რა ზომები მიიღეს?

— ჯერჯერობით სამიდან ერთი იქნა მოხსნილი.

— რომელი მოხსნეს?

— ადგილკომის თავმჯდომარე.

მუშები როგორ უყურებენ ამ საქმეს?

— ისინი დანარჩენებზე მსჯავრის დადების მოლოდინში იმყოფებიან და საერთოდ უკმაყოფილო არიან სახ. ფულების ასე „თავისუფლად" მოხმარებით.

მუშა ამბალი.

უხლა მაინც იყავით ყურადღებით

ამიერ-კავკასიის რკინისგზას ემსახურება ფულის დამრიგებლად და ამკრეფად ეგრედწოდებული „საქართველოს საპასუხისმგებლო შრომის არტელი", რომლის გამგეობა და სარევიზიო კომისია არის მოთავსებული კამოს ქუჩაზე № 85.

პირველ აგვისტოდან ამიერ-კავკასიის რკ. გზებზე შემცირებული უნდა იქნეს იქ მომუშავე არტელის წევრთა საგრძნობი რიცხვი, (40 კაცამდე).

ჩვენ არ ვიცით ამ საქმის შესახებ გამგეობის აზრი; არ ვიცით აგრეთვე, თუ ვინ ჰყავს მას სახეში უმუშევართა ჯგუფში გადასარიცხად, მხოლოდ მე ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს მოვაგონო არტელის გამგეობას, რათა მან ისატელს ყველა ისეთი წევრები, რომელთა მოქმედებამ საკმარისად შელახა არტელის სახელი და რომლებმაც სხვადასხვა კომბინაციების წყალობით საკმაოდ „გააუმჯობესეს" თავისი მატერიალური მდგომარეობა.

ჩვენ ვიცით, რომ ულირსი წევრების სია გამგეობას აქვს ხელში; სიაში ნაჩვენები წევრების ბოროტმოქმედებანი რკ. გზის საგანგებო კომისიამ ჯერ კიდევ შარშან გამოარკვია და წინადადება მისცა მაშინდელ გამგეობას, (ეხლა ახალი გამგეობაა) რომ ისინი დაუყოვნებლივ ყოფილიყვნენ ადგილებიდან მოხსნილი, მაგრამ სამწუხაროდ სხვადასხვა „ნათლიმამების" შემწეობით ისინი დღესაც მაგრად სხედან თავის ადგილებზე.

დღეს გარემოება შეიცვალა და სულ სხვა პირობებში ვართ, მოლარეს მუშაობა გადადის სადგურების უფროსებზე და მათ ევალებათ აგრეთვე ფულების აღებ-მიცემაც, რის გამოც მცირდება შრომის არტელის შტატი 40 კაცამდე. სწორედ აქ იბადება კითხვა, თუ ვინ უნდა იქნეს მოხსნილი.

ჩვენ ვფიქრობთ და დარწმუნებულიც ვართ, რომ ეხლა „ნათლიმამობას" ადგილი არ ექნება და არტელი გაიწმინდება არასანდო ელემენტებისგან.

მუშკორი რკინისგზელი.

მუშათა ქრონიკა

ტყავ-ტრესტის საზაფხულო კლუბში

— **მუშათა კლუბი საზაფხულოდ ბაღში გადავიდა.** ტყავ-ტრესტის მუშათა კლუბი გადატანილია ორთაჭალის ბაღში და მთელი კულტმუშაობა სწარმოებს სუფთა ჰაერზე.

— **მოწყობილია სამკითხველო.** ტყავ-ტრესტის მუშათა კლუბში მოწყობილია სამკითხველო, რომელიც იტევს 300 მუშა-მოსამსახურეს და მათი ოჯახის წევრებს.

— **წრეების დაარსება.** იმავე ტრესტის კულტკომისიამ საზაფხულო კლუბში მოაწყო დრამწრე, მომღერალთა გუნდი და სამხატვრო წრე.

— **უფასო წარმოდგენა.** ტყავ-ტრესტის მუშამოსამსახურეებისათვის საზაფხულო მუშათა კლუბში, კვირაში ორჯერ იმართება უფასო წარმოდგენა და გამოდის კედლის გაზეთი.

— **ახალგაზრდათა სექციის დაარსება.** იმავე კლუბში კულტ-კომისიამ დაარსა ახალგაზრდათა სექცია, რომელსაც აქვს მიზნად დასახული ახალგაზრდებში გაამუშაოს ახალი ყოფაცხოვრების საკითხები.

ბამბის ქარხანაში

— **ზედმეტი საათების მუშაობის აკრძალვა.** ბამბის ქარხანაში მომჭირნეობისათვის მებრძოლ კომისიამ აღმოაჩინა ზედმეტი საათების მუშაობა, რომლისთვისაც იხარჯებოდა დიდძალი თანხა. კომისიამ ზედმეტი საათების მუშაობა აკრძალა.

— **შტატის შემცირება.** იმავე ქარხანაში ეკონომიის რეჟიმის კამპანიის ჩატარების მიზნით მოხსნილ იქნენ ზედმეტი მუშები, მათი უზრუნველყოფისათვის მიღებულია ზომები.

— **ავტომობილის სადგომის შემცირება.** მომჭირნეობისათვის მებრძოლმა კომისიამ ბამბის ქარხანაში ორი ავტომობილის სადგურიდან ერთი მოხსნა, რომელიც მოხმარდება სხვა საჭიროებას ბინად.

— **ზედმეტი შვებულების წინააღმდეგ.** ბამბის ქარხანაში კომისიამ აღმოაჩინა ზედმეტი შვებულება, რის წინააღმდეგ მიღებულია სათანადო ზომები.

— **მუშები იგზავნებიან კურორტზე.** ბამბის ქარხკომმა უკვე დაიწყო მუშების კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში გადაგზავნა.

მცხეთაში საქონლის დახოცვის გარშემო

ივლისის 28-29-ს, თბილისის მაზრის სახალხო გამომძიებელმა ამხ. მ. ნოზაძემ მოახდინა ახალი ექსპერტიზა ა-წ. ივნისში მცხეთაში ჭირის საწინააღმდეგო შრატის შეშხაპუნების შემდეგ საქონლის მასიური გაწყვეტის მიზეზების გამოსაკვლევად. საექსპერტო კომისიაში შედიოდენ: რ. ს. ფ. ს. რ. ექსპერიმენტალურ ვეტერინარიის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ს. ი. დრაჩინსკი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მ. ი. ფარცვანიძე და კავკ. წითელდროშ. არმიის ვეტბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიის გამგის თანაშემწე ამხ. პეტროპავლოვსკი, ექსპერტიზას დაესწრნენ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო განყოფილების გამგე ამხ. დ. ახმეტელი და თბილისის აღმასკომის ვეტორგანიზაციის გამგე ამხ. შენგელია.

ხალიჩების ექსპორტი

მიმდინარე წლის 12 ივლისს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმოებების სამმართველოსთან შესდგა იმ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომლებიც აწარმოებენ ხალიჩების დამზადებას და საზღვარგარეთ გატანას; ამ თათბირზე ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საპაიო ვაჭრობის სამმართველო ცნობილი იქნა ხალიჩების ძირითად დამამზადებლად და ექსპორტიორად მთელს საბჭოთა კავშირში.

თათბირზე გამოირკვა, რომ ყველა დანარჩენი ორგანიზაციების მუშაობას ხალიჩების ექსპორტის დარგში შემთხვევითი ხასიათი აქვს და მათი საექსპორტო გეგმები არ არის შესრულებული, ამიტომ ხალიჩების ექსპორტის და რეალიზაციის საქმე უნდა დაეკისროს ერთ რომელიმე ორგანიზაციას, რომელიც შესძლებს ხალიჩების მთელი ექსპორტის გაძღოლას.

ასეთ ორგანიზაციით აღნიშნული თათბირის მიერ აღიარებული იქნა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო სავაჭრო სამმართველო, რომლის წვლილი ხალიჩების მთელ ექსპორტში უდრის 76,9 პროც..

უფასო პრაქტიკანტობა

საქართველოს პროფსაბჭოს მიერ გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა საკითხი, თუ რამდენათ საჭირო და მიზანშეწონილია უფასო პრაქტიკანტობის შემოღება საქართველოს სამეურნეო დაწესებულებებში.

საკითხი ეხება გონებრივ მუშაკებს, რომელთაც მიღებული აქვთ კურსებზე ან სპეციალურ სასწავლებლებში თეორიული ცოდნა და პრაქტიკის უქონლობის გამო სამუშაოს ვერ შოულობენ.

კომისიამ საჭიროდ სცნო უფასო პრაქტიკანტობის შემოღება საწარმოო-ეკონომიურ ტეხნიკუმის და განათლების კომისარიატის მიერ ნებადართულ საბუხჰალტერო კურსების შემდეგი დარგების კურსდამთავრებულთათვის: საანგარიშო, კოოპერატიული, სტატისტიკური და საქონლის შემოწმება-შერჩევის დარგების მუშაკთათვის.

რაც შეეხება დანარჩენ კურსების და სპეციალურ დანიშნულების ტეხნიკუმების კურსდამთავრებულთ, რადგან ისინი იღებენ პრაქტიკულ ცოდნას თეორიულთან ერთად ან კიდევ არ უძნელდებათ ადგილის შოვნა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მათ შესახებ საკითხი ღიათ არის დატოვებული.

უფასო პრაქტიკანტობა ჩატარებული იქნება შემდეგი პირობების დაცვით:

უფასო პრაქტიკაზე გასაგზავნ პირთა სიას და რიგს აწესებს დაინტერესებული კავშირი;

უფასო პრაქტიკანტობის ჩასატარებლად კავშირები სათანადო ხელშეკრულებას სდებენ დაწესებულებების ადმინისტრაციასთან.

პრაქტიკანტობა წესდება განსაზღვრული ვადით, რის შემდეგაც პრაქტიკანტი მოიხსნება სამუშაოდან და მის ადგილას გაიგზავნება ახალი.

ახლო ხანში შემუშავებული იქნება იმ პირთა სია, რომლებზედაც უნდა გავრცელდეს უფასო პრაქტიკანტობა.

ქრონიკა

თბ. აღმასკომში

— **კაბელის გაყვანა.** დამთავრდა ზაჰესის დენისათვის ქალაქში კაბელის გაყვანა; კაბელი გაყვანილია 30 ვერსის მანძილზე.

— **გოგირდის წყაროები.** გამოირკვა, რომ მტკვარის მარჯვენა მხარეზე არსებული ყველა გოგირდის წყაროები დღედალამეში იძლევიან 113 ათას ვედრო წყალს.

— **სკოლების შეკეთება.** აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება 10 აგვისტოდან შეუდგება თბილისის ყველა შესაკეთებელ სკოლების შეკეთებას.

— **კომუნარების ბაღი.** კომუნარების ბაღის გახსნა, რომელიც უნდა მომხდარიყო 1 აგვისტოს, გადადებულია, ვინაიდან ბაღის მოსაწყობათ მუშაობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

საქ. სატყეო ტრესტში

— **მარილისის ქარხანა.** 15 აგვისტოდან დაიწყებს მოქმედებას მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ქარხანა.

— **ავეჯეულობის მაღაზია.** საქართველოს სატყეო ტრესტმა ქიათურაში გახსნა ავეჯეულობის მაღაზია. მაღაზიისათვის სამი რონოდა ავეჯეულობა უკვე გაიგზავნა.

სხვადასხვა

— **გამოფენის შედეგები.** ა.-კ. სასოფლოსამეურნეო გამოფენასთან დაარსებული კომისია შეუდგა იმის გამორკვევას, თუ რა შედეგი მოჰყვა გამოფენას. კომისია თავის მუშაობას დაამთავრებს 15 აგვისტომდე.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები გლეხობისათვის.** სიღნაღის მაზრის საკრედიტო ამხანაგობებმა გაანაწილეს მაზრის გლეხებს შორის 180 ათასი მან. სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სამკურნალო მასალები.

— **მატოციკლეტების გადმორბენა.** აგვისტოს შუა რიცხვებში თბილისში მოელიან მატოციკლეტებს, რომელთა გადარბენას აწყობს როსტოვის ავტოკლუბი; მარშრუტი იქნება: როსტოვ-თბილისი, თბილის-როსტოვი.

პროფ. დრაჩინსკის ლექცია

პარასკევს, ივლისის 30-ს, საღამოს 7 ნახ. საათზე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში რ. ს. ფ. ს. რ. ექსპერიმენტალურ ვეტერინარიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ს. ი. დრაჩინსკიმ წაიკითხა ლექცია საქონლის ჭირზე და მის საწინააღმდეგო ბრძოლის შესახებ. ლექციას დაესწრენ მიწსახკომის ხელმძღვანელნი და თანამშრომელნი, აგრეთვე თბილისში მყოფი ვეტმუშაკნი. თავმჯდომარეობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. მ. ი. ფარცვანიძე. ლექციის შემდეგ გაიმართა საუბარი, რომელმაც შუაღამემდე გასტანა.

აგვისტოს 1-ს პროფ. დრაჩინსკი მოსკოვში გაემგზავრა.

კრებები და მოხსენებები

— **საერთო კრება.** დღეს, აგვისტოს საღამოს 6 საათზე, თბ. აღმასკომის სხდომის დარბაზში, შესდგება თბილისის მე-4-ე რაიონის „ბავშვთა მეგობრების" საზოგადოების საერთო კრება.

ჩაუბარებელი დეპეშები

თბილისის ტელეგრაფის სამმართველოში 2 აგვისტოსთვის რჩებოდა ჩაუბარებელი დეპეშები:

ოდესიდან—ბაბოიანს, ბათომიდან—ელდაპუოლოს, იალტიდან—კრუჩკოვს, დელიჟანიდან—ბებუთოვს, ბაკურიანიდან—მიქაბერიძეს, ეგორევსკიდან—ისმაილოვს, ლენინგრადიდან—მალაშვილს, როსტოვიდან—ამბარცუმიანცს, ოზურგეთიდან—რამიშვილს, მახაჩკალიდან—მაგომედოვს, მოსკოვიდან—ტაგერს, ბორჯომიდან—ანდრიანოვიჩს, კრასნოდარიდან—ლურკეს, ქუთაისიდან—ბუაჩიძეს, ხოსტიდან—უფიმცევს, მოსკოვიდან—მინასოვს, ოზურგეთიდან—კუთუბაძეს, როსტოვიდან—ამბარცუმიანს, მოსკოვიდან—იაკუბოვს, სიღნაღიდან—ნაცვლიშვილს, შულავერიდან—ჩიჩელაშვილს, მინუტკადან—შარბაბჩევს, ელენინოდან—ფედიას, როსტოვიდან—ბეჟანოვს, ევლახიდან—გაგლოევს, ბათომიდან—სხილაძეს, მოსკოვიდან—ბახტაძეს, ბორჯომიდან—ცინცაძეს, ხონიდან—ადამიას, ანაპიდან—ჩილინგარიანს, სამტრედიიდან—ვონეკოვს, აბასთუმნიდან—ლაკობას, ლენინაკანიდან—გლუხოვსკის.

შემთხვევები

ქალის მოტაცება

გუშინ 12 კომისარიატში მოქ. არსენ გავრინოვმა განაცხადა, რომ 2 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, მისი 16 წლის ქალიშვილი მოიტაცა მოქ. მამუკოვმა.

უცაბედი დაჭრა

გუშინ ივანე ხუციშვილს (ვახტანგოვის ქ. № 28) ესტუმრა მისი ცოლის და მარგო ასრათოვი. ასრათოვს აუღია ხუციშვილის „პარაბელუმის" სისტემის რევოლვერი, რომელიც გავარდა და მძიმედ დაიჭრა ასრათოვი.

— **ქურდობა.** გუშინ გაქურდეს გოგოლის ქ. № 28-ში მცხოვრები ვერა დოლიძე. წაღებულია 100 მანეთი.

— **გუშინ** გაქურდეს არტილერიის ქუჩაზე მცხოვრები მოქ. დავიდოვიჩი. წაღებულია 80 მან. ნივთები.

— **მარცხი.** ზაჰესის 2-ე უბნის განმანაწილებელ სადგურის შენობიდან გადმოვარდა მუშა ლევან სოლუაშვილი, რომელიც მძიმედ დაშავდა.

— **დამხრჩვალის პოვნა.** 1 აგვისტოს ავჭალის თემმილიციამ მტვარის პირად აღმოაჩინა დამხრჩვალი კაცის გვამი.

— **ქარხნის გაქურდვა.** 31 ივლისს, ღამით გაქურდეს „26 კომუნარის" ქარხანა. ქურდებმა აგლიჯეს ფანჯრის რკინის ბადე და ისე შევიდენ შენობაში. ამ საქმის გამო დაპატიმრებულია მახ. მალევსკი.

— **ჯიბგირობა.** 31 ივლისს რუსთაველის თეატრის სალაროსთან, ბილეთის ყიდვის დროს მ. გოგიჩაიშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 30 მან.

— **იმავე დღეს** რუსთაველის გამზირზე, საოპერო თეატრის პირდაპირ ტრამვაიში ჩაჯდომის დროს ს. ბაგინოვს ამოაცალეს ჯიბიდან 15 მან. და სხვადასხვა საბუთები.

— **ძილის დროს.** 2 აგვისტოს ქ. ბასილიანს დასძინებია ალექსანდრეს ბაღში, სადაც მისთვის ამოუცლიათ ჯიბიდან 8 მან. ფული და პირადობის მოწმობა.

— **ქურდობა.** 1 აგვისტოს, ნახაპეტას ქ. მცხოვრებ დ. გოგოლაშვილის ბინიდან მოიპარეს ერთი ჩოხა ვერცხლის მასრებით ღირებული 100 მან.

— **მორგებული გასაღებით.** 1 აგვისტოს რ. ახვერდოვს გაქურდვის მიზნით მორგებული გასაღებით რიყეზე გაუღია ა. მაზეუხინის მაღაზია, ქურდი იქვე შეიპყრეს.

— **უბედური შემთხვევა.** 2 აგვისტოს, სოფელ ერწოს მცხოვრები სიმონ პეტრიაშვილი ტრამვაიზე შეხტომის დროს ჩამოვარდა და ცალი ფეხი მოექცა ბორბალს ქვეშ და მოსტყდა.

ექიმების მდგომარეობის გაუმჯობესება

სოფლის ექიმების ხელფასი 100 მან. ნაკლები არ უნდა იყოს, საშუალო-საექიმო პერსონალის—50 მან. ნაკლები

საექიმო დახმარების საქმე ადგილებზე ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე, რასაც სხვათა შორის, ხელს უწყობს ექიმების და, საერთოდ, საექიმო პერსონალის ცუდი მატერიალური მდგომარეობა და მთელი რიგი სხვა დაბრკოლებისა. ზოგიერთ მაზრებში ავადმყოფებს 15—20 ვერსის გავლა უხდებათ საექიმო პუნქტამდე. სახლში ექიმის მიწვევაც დიდ სიძნელესთანაა დაკავშირებული, რადგან ერთი ექიმის სამოქმედო რაიონი განისაზღვრება ათეული სოფლებით და ექიმებს, უმთავრესად ფეხით უხდებათ სიარული.

იშვიათ შემთხვევაში თუ მიუყვანენ მათ ცხენს.

საქართველოს მაზრებში აქამდე ექიმები ღებულობენ 60 მანეთს თვეში, ხოლო საშუალო საექიმო პერსონალი—30—35 მანეთს.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ექიმები გაურბიან პროვინციაში მუშაობას.

ამჟამად საქართველოში 60 ექიმის და 30—35 ფერშლების და ბებია-ქალების ადგილია თავისუფალი და ეს იმ დროს, როდესაც ექიმები საკმაოდ მოიპოვება.

ექიმების და საექიმო დახმარების ასეთ მდგომარეობას ადგილებზე უკვე მიექცა ყურადღება და მედსანშრომის მუშაკთა კავშირმა გამოიმუშავა დადგენილების პროექტი მედპერსონალის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ეს პროექტი დამტკიცებულია პროფსაბჭოს მიერ.

აღნიშნული პროექტით სოფლის საუბნო ექიმებს უნდა გაუდიდდესთ ხელფასი და იგი არ უნდა იყოს 100 მანეთზე ნაკლები, ხოლო საშუალო მედპერსონალის კი 50 მანეთზე ნაკლები. მედპერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბინით, განათებით, გათბობით, გადასაყვან საშუალებით და სპეცტანსაცმელით. თუ მათ ბინა არ მიეცემათ, სამაგიეროთ უნდა მიეცეთ 10 პროცენტიანი დამატება ხელფასზე. ამა თუ იმ რაიონში მიწვეული ექიმები უნდა კმაყოფილდებოდენ სამგზავრო ფულით, დღიურებით და სხვა.

იმ საექიმო პერსონალს, რომელიც იმუშავებს პროვინციაში 3 წელს, მიეცემათ უპირატესობა ქალაქების სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებებში სამუშაოდ გადასვლის დროს.

ამასთანავე პროექტი ითვალისწინებს მთელ რიგ შეღავათებს იმ ექიმებისათვის, რომლითაც აქვთ მუშაობის სტაჟი და აუცილებლადაა ცნობილი მათი გაგზავნა სამეცნიერო მივლინებებში.

პროექტი წარდგენილია დასამტკიცებლათ სახ. კომისართა საბჭოში. ასეთი პროექტი მიღებულია და გატარებული ცხოვრებაში რუსეთში და აზერბეიჯანში.

რკინისგზაზე

ვიწრო ხაზი განჯის სადგურიდან ქალაქამდე

აზერბეიჯანის ვაჭრობა-მრეწველობის სახ. კომისარიატის მიერ განჯის რკ. გზის სადგურიდან ქალ. სადგურამდე გაყვანილი იქნება ვიწრო რკინისგზის ხაზი სიგრძით 4,30 ვერსი, ა.-კ. რკინისგზების სამმართველოს დადგენილებით. შედის გზების სისტემაში საექსპლოატაციოდ.

ვაგონების გადავარდნა

31 ივლისს მუშა-მატარებლის ქვეშ მოექცა ლორი, რის გამო ლიანდაგს ასცდა ორი ვაგონი, რამაც გამოიწვია მუშაობის შეჩერება.

დაჯახება აცილებულ იქნა

2 აგვისტოს სად. სუფსაში სახალხო მატარებლები № 5 და № 14 მიღებულ იქნენ ერთსა და იმავე დროს პირველ ხაზზე.

სასწრაფოდ მიღებულ ზომების წყალობით, მატარებლები გაჩერებულ იქნენ ერთმანეთზედ 100 საჟენის მანძილზე და ამგვარად მათი დაჯახება აცილებულ იქნა.

მორიგი მეისრე გუმბრიაძე სამსახურიდან მოხსნეს.

ცისტერნის გადავარდნა

2 აგვისტოს სად. სვირში მატარებელი № 371-დან ლიანდაგს ასცდა ერთი ცარიელი ცისტერნა, რომელმაც გაირა შპალებზე 250 საჟ. ცისტერნის გადავარდნის მიზეზს იკვლევს სპეციალური კომისია.

სადგურ თბილისში

2 აგვისტოს სად. თბილისში საყუდიდან გამოსული ორთქლმავალი ისარზე დაეჯახა გვერდით სამანევრო მატარებელს. დაზიანდა 1 ვაგონი და სახალხო მატ. № 14 დაკავებულ იქნა 10 წუთით.

მეხილეობის და მებოსტნეობის ნაწარმოების გადაზიდვა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. ტვირთზიდვის მომწესრიგებელ კომიტეტის წინაშე, რათა გაუმჯობესებულ იქმნას მეხილეობის და მებოსტნეობის ნაწარმოების რკინისგზით გადაზიდვის საქმე. ეს შუამდგომლობა ამჟამად დაკმაყოფილებულია. ა.-კ. რკ. გზის სამმართველოს მიერ მომზადებულია საკმარისი რაოდენობა იზოტერმიული ვაგონებისა—ისეთი ტვირთის გადასაზიდად, რაც მალე ფუჭდება. გორის და სამტრედიის სადგურებზე მოწყობილია გადასაგზავნ ტვირთის წინასწარ გასაციებელი პუნქტები.

მასიური ექსკურსია

ბორჯომ-ბაკურიანში

შაბათს საღამოს, თბილისიდან ბორჯომში გაემგზავრა სპეციალური მატარებლით პროფკავშირთა წევრების მასიური ექსკურსია 350 კაცის შემადგენლობით.

ექსკურსია ბორჯომში ჩავიდა ღამის 12 საათზე. ამ ღამეს ექსკურსანტები დარჩენ ვაგონებში, დილის 6 საათზე კი სპეციალური მატარებლით გაემგზავრენ ბაკურიანში. აქ ექსკურსანტებმა დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი და პარკი. ექსკურსანტებს განზრახული ჰქონდათ ცხრა-წყაროზე ასვლა, მაგრამ ცუდი ამინდის გამო ეს საინტერესო მოგზაურობა არ მოხერხდა.

ბაკურიანიდან ექსკურსანტები დაბრუნდენ ბორჯომში. აქ დაათვალიერეს მინერალური წყლების პარკი და გემო-კვების მუშაკთა დასასვენებელი სახლები ყოფ. ვორონცოვის პლატოზე.

მინერალური პარკის თეატრში ექსკურსანტებს პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინმა ლექცია წაუკითხა ბორჯომის კურორტის მნიშვნელობის შესახებ.

ორშაბათს ექსკურსანტებმა დაათვალიერეს შუშის და ხე-ტყის სახერხი ქარხანა და ლიკანის სასახლე.

საღამოს 11 საათზე ექსკურსია გამოემგზავრა თბილისისკენ.

ექსკურსანტებს თბილისიდან გამგზავრების წინ დაურიგდათ ანკეტები, რომლებიც მათ უნდა შეევსონ და წარადგინონ პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში.

აღსანიშნავია, რომ ექსკურსია მეტად მწყობრად ჩატარდა.

ექსკურსანტები თბილისში დაბრუნდენ გუშინ, დილის 4 საათზე.

გუშინვე თბილისში დაბრუნდენ ექსკურსანტების ცალკე ჯგუფები ბათომიდან, ქიათურიდან და კოჯორიდან.

შემდეგი ექსკურსია გაიმართება შაბათს, 14 აგვისტოს (16 აგვისტო დასასვენებელი დღეა).

აბრეშუმის თესლი

1927 წლისათვის

მომავალი 1927 წელში საქართველოს მეაბრეშუმეობის რაიონებისათვის საჭირო იქნება 120.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი. აქედან 90 პროც. (105—110.000 კოლოფი) დამზადებული იქნება ადგილობრივ.

საზღვარგარეთიდან, საქართველოს საგეგმო კომისიის აზრით, შემოსატანი იქნება მხოლოდ 15.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი.

მიწათმოწყობა

დუშეთის მაზრაში

მიწათმოქმედების სახ. კომ. მიწათმომწყობ განყოფილების ცნობით, დუშეთის მაზრის ყაზბეგის და კობის რაიონებში მიწის მზომელებს, რომლებმაც ამ რაიონებში მიმდინარე სეზონში მუშაობა ივნისის 13-დან დაიწყეს, ივლისის 23-მდე შემოვლილი ჰქონდათ 16 სოფელი: ყაზბეგი, ეველეთი, ცოდო, ფანშეტი, არშა, გერგეთი, გაიბოტენი, თოთი, ტყარშეთი, გორის-ციხე, ფხელშა, ხორთისი, ყანობი, ოქროყანა, აგაიანთი და მნა და საძოვარი აგარაკი „ხდე".

დასახელებულ სოფლების და აგარაკ „ხდე"-ს ფარგლებში გამოკვლეულია და დახარისხებულია 28.901 დესეტინა—299 ნაკვეთი, 11 სოფელში მუშაობა ჩატარებულია უდავოდ, 5-ში —დავების მოწესრიგებით. აღრიცხვაზე აყვანილია 964 კომლი—1195 ოჯახი—5216 სული, აგრეთვე საქონელი: მსხვილფეხი—4.058 სული, წვრილფეხი—32.052, ღორი—796.

ყველა სამუშაო მიწისმომწყობთა მიერ წესიერად არის ჩატარებული.

ახალი ნიხრი

საფოსტო ამანათების გადაგზავნაზე

საკავშირო სახალ. კომისართა საბჭოს დადგენილებით პირველ აგვისტოდან შემოღებულია შემდეგი ახალი ნიხრი საფოსტო ამანათების გადაგზავნაზე მანძილის მიხედვით: ერთი კილოგრამის (2½ გირვანქა) გადაგზავნაზე

100 კილომეტ. დაწესებულია 4 კაპ.

100-დან	200	კილომეტ.	„	5	„
200 „	300	„	„	7	„
300 „	400	„	„	8	„
400 „	500	„	„	10	„
500 „	600		„	12	„
600 „	700	„	„	14	„
700 „	800	„	„	15	„
800 „	900	„	„	17	„
900 „	1.000	„	„	18	„
1.000 „	1.100	„	„	19	„
1.100 „	1.200	„	„	21	„
1.200 „	1.400	„	„	23	„
1.400 „	1.600	„	„	25	„
1.600 „	1.800	„	„	27	„
1.800 „	2.200	„	„	29	„
2.000 „	2.200	„	„	31	„
2.200 „	2.400	„	„	33	„
2.400 „	2.600	„	„	35	„
2.600 „	2.800	„	„	37	„
2.800 „	3.000	„	„	39	„
3.000 „	3.200	„	„	41	„
3.200 „	3.400	„	„	42	„
3.400 „	3.600	„	„	43	„
3.600 „	3.800	„	„	45	„
3.800 „	4.000	„	„	46	„
4.000 „	4200	„	„	48	„
4.200 „	4.400	„	„	49	„
4.400 „	4.600	„	„	51	„
4.600 „	4.800	„	„	52	„
4.800 „	5.100	„	„	54	„
5.100 „	5.400	„	„	56	„
5.400 „	5.700	„	„	58	„
5.700 „	6.000	„	„	60	„
6.000 „	6.300	„	„	62	„
6.300 „	6.600	„	„	64	„
6.600 „	7.000	„	„	67	„
7.000 „	. . . . . .			70	„

ადგილები მუშფაკებში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა კულტგანყოფილების მიერ წარმოდგენილი განაწილება ადგილებისა თბილისის მუშათა ფაკულტეტებში.

ამ ცხრილის მიხედვით, ქართულ მუშფაკში თავისუფალია 60 ადგილი, რუსულში—30 და სომხურში—30.

სასამართლო

გ. ჭილაძის საქმე

გუშინ დასრულდა მოწმეების დაკითხვა ბრალდებულ ჭილაძის საქმეზე.

შემდეგ დაკითხული იქნა ბრალდებული ჭილაძე.

ბრალდებული თავს არ სცნობს დამნაშავედ და დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ შეთხზეს მასზე ეს ჭორები.

ბრალდებულის თქმით, მთელი ეს ბრალდება განზრახ შეთხზულია მისი ცოლის, უფროსი ქალიშვილის—ვალიას და სიძის ლორთქიფანიძის მიერ. ეს უკანასკნელნი გააბრაზა იმ გარემოებამ, რომ ბრალდებული ცოლსა და უფროს ქალიშვილს მკაცრად ეპყრობოდა, რადგან ეჭვი ჰქონდა იმათ უზნეო საქციელზე..

ბრალდებული უკანასკნელ ხანებში დარწმუნდა უფროსი ქალიშვილის უპატიოსნებაში და ეს გარემოება მას, როგორც მამას, ძალიან აღელვებდა. შენიშვნები მიუცია და ფიზიკური შეურაცყოფაც მიუყენებია მისთვის ამ ნიადაგზე. ამ გარემოებამ წარმოშვა იმათ შორის მტრობა და შუღლი.

ლორთქიფანიძე, ქალიშვილი და მისი ცოლი შეხმატკბილებულ მუშაობას აწარმოებდენ მის წინააღმდეგ. ბრალდებულმა აქ დაწვრილებით გააცნო სასამართლოს ის გარემოება, თუ როგორ წინასწარ მუშაობას აწარმოებდენ მის მოსაკლავად, რაიც სისრულეში ვერ მოიყვანეს.

მიუხედავად ამისა, ბრალდებული ცოლს პატივს სცემდა და, როდესაც ის ბაქოში მსახურობდა ფულსაც უგზავნიდა.

სასამართლოს გამოძიება დასრულებულია.

დღეს დილის 9 საათზე დაიწყება მხარეების კამათი.

მეცნიერება და ტეხნიკა

სამყაროს საზღვარი

კოპერნიკის სისტემაში ჩვენი მზის სისტემის საზღვრათ ითვლებოდა პლანეტა სატურნის ორბიტა, რომელიც მზისგან 1½ მილიარდი კილომეტრით არის დაშორებული. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ასტრონომ **ჰერშელის** მიერ პლანეტა ურანის აღმოჩენამ 1½ მილიარდი კილომეტრით წასწია ეს საზღვრები, 60 წლის შემდეგ კი ორი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის—**ლევერიესა** და **ადამსის** მათემატიკურმა ანალიზმა შესაძლებლად გახადა მზის სისტემის უშორესი პლანეტის—ნეპტუნის პოვნა. ნეპტუნი ცენტრალური მნათობისგან—მზისგან — დაშორებულია 4½ მილიარდი კილომეტრით, ე. ი. 30-ჯერ მეტი მანძილით, ვიდრე დედამიწა. ასეთ შორ მანძილზე მყოფი ნეპტუნის დანახვა შეუიარაღებელი თვალით სრულიად შეუძლებელია, და მხოლოდ ტელესკოპით შეიძლება მისი ხილვა. უკანასკნელ დრომდი ნეპტუნის ორბიტა ითვლებოდა საზღვრათ, რომელიც ჩვენს მზის სისტემას ყოფდა სამყაროს სხვა მზის სისტემებისგან. ამ საზღვარს იქით საეჭვოთ თვლიდენ მზის სისტემაში შემავალ სხვა პლანეტების არსებობას.

ასტრონომების უკანასკნელმა გამოკვლევებმა საგრძნობად შესცვალეს ეს შეხედულება. ასტრონომები ახლა შესაძლებლად სთვლიან მზის სისტემის საზღვრების კიდევ უფრო გაფართოებას. მეცნიერები ამ მოსაზრებას იმით ასაბუთებენ, რომ ნეპტუნის მოძრაობაში ადგილი აქვთ ზოგიერთ არანორმალობას, რაც ამ პლანეტის ორბიტის იქით სხვა პლანეტის არსებობით უნდა აიხსნებოდეს.

ამერიკელი ასტრონომი **პიკერინგი**, თავისი გამოკვლევების საფუძველზე იმ დასკვნამდი მიდის, რომ ნეპტუნის გზის იქით უნდა არსებობდეს კიდევ ორი-სამი სხვა პლანეტა. ამ პლანეტების პოვნა შეიძლება მხოლოდ ფოტოგრაფიის საშუალებით, მაგრამ მათი გადაღება შეუძლებელია, რადგან ისინი ძლიერ ნელა მოძრაობენ, და გარდა ამისა, ძლიერი მკრთალი სინათლე უნდა ჰქონდეთ. წმინდა თეორეტიული გზით ამ პლანეტების სიშორის გამორკვევის ცდა ასეთ სურათს იძლევა: მარსის ცნობილი მკვლევარი, ახლა უკვე განსვენებული ასტრონომი **პარსივალ ლოუელის** აზრით უცნობი პლანეტა მზისგან 48—50 ასტრონომიული ერთეულით (ასტრონომიული ერთეული=მანძილი დედამიწასა და მზეს შორის) ანუ 7½ მილიარდი კილომეტრით არის დაშორებული. ასეთივე ციფრი მიიღეს ასტრონომებმა **ლაუმ** და **ვ. პიკკერინგმა.**

ჯებირი მდ. ნილოსზე

მდინარე ნილოსზე (ე. წ. ლურჯ ნილოსზე) ეხლახან დაამთავრეს მსოფლიოში უდიდესი ჯებირის აგება. ამ ახალი, ე. წ. სენარის ჯებირის სიგრძე უდრის 3.025 მეტრს. ჯებირის მთელი შუანაწილი, 1600 მეტრი სიგრძის, გაკეთებულია ქვისა და ბეტონისგან. მუშაობა ჯებირის ასაგებათ დაიწყო ჯერ კიდევ 1921 წ. აპრილში, მაგრამ მდინარის ადიდება ძლიერ უშლიდა ხელს მუშაობის დამთავრებას.

ახალი ქირურგიული ხელსაწყოები

ქირურგიული ტეხნიკის დარგში მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ბერლინელ სპეციალისტის ექიმ **გებლერის** მიერ გამოგონებული მანათობელი ქირურგიული ხელსაწყოები. შინაგან ოპერაციების გასაკეთებლად დოსტაქარი დღემდი იძულებული იყო ხელსაწყოს გვერდით ჰქონოდა სინათლის წყარო. მანათობელ ხელსაწყოებს კი აქვთ საკუთარი სინათლის წყარო, პატარა მძლავრი ელექტრონული ლამპის სახით, რომელიც თვით ხელსაწყოშია მოთავსებული. მანათობელი ხელსაწყოების საშუალებით ძლიერ გაადვილებულია ოპერაციების გაკეთება მუცლის სიღრუეში და სხვ. დოსტაქართა უკანასკნელ კონგრესზე გერმანიაში ამ ხელსაწყოებმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ფეხბურთი

„დინამო"-ს მოგზაურობა რუსეთში

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ საქართველოს პროლეტარულ სასპორტო საზოგადოება „დინამო"-ს ფეხბურთელთა გუნდმა, რომელიც რუსეთში გაემგზავრა ამ ორი კვირის წინათ, უკვე ჩაატარა რამოდენიმე მატჩი.

პირველი შეჯიბრი „დინამო"-ს ჰქონდა ნიკოლაევის ნაკრებ გუნდთან; შეჯიბრი გათავდა 1:0 ნიკოლაევს სასარგებლოთ.

ნიკოლაევშივე გუნდს ჰქონდა კიდევ ორი შეჯიბრი: კლუბ „მესტრან"-თან და მარტის სახელობის ქარხნის ფეხბურთელთა გუნდთან; პირველი შეჯიბრი გათავდა 1:1, მეორე კი 4:2 მარტის სახელობის ქარხნის სასარგებლოდ.

ნიკოლაევიდან „დინამო" გაემგზავრა ქალ. კრივოი როგში (დონბასი); აქ გუნდს ჰქონდა ორი შეჯიბრი ადგილობრივ ფეხბურთელთა გუნდებთან. ორივე ეს შეჯიბრი გათავდა „დინამო"-ს სასარგებლოდ 4:1 და 3:0.

ბაქო-თბილისი

აგვისტოს შუა რიცხვებში თბილისში გაიმართება ბაქოს და თბილისის ნაკრები გუნდების შეჯიბრი.

ა.-კ. ფეხბურთელები მიემგზავრებიან ფინეთში

15 აგვისტოს ფინეთში მიემგზავრება იქაურ მუშათა სასპორტო კავშირების გუნდებთან სამატჩოთ ამიერ-კავკასიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც ჩაატარებს რამოდენიმე შეჯიბრს.

ფინეთიდან გუნდს განზრახული აქვს გაემგზავროს ნორვეგიაში.

გუნდში შევლენ ბათომის, თბილისის და ბაქოს საუკეთესო ფეხბურთელები.

გუნდს თან მიჰყვება ამიერ-კავკასიის და საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლები.

ფინეთში გამგზავრებამდე ამიერ-კავკასიის ნაკრებ გუნდს შეჯიბრი ექნება ბაქოს, ივანოვო-ვოზნესენსკის, მოსკოვის და ლენინგრადის გუნდებთან.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი გერმანიაში

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდმა გერმანიაში ჩაატარა სამი შეჯიბრი, პირველი შეჯიბრი გაიმართა ლეიპციგში, მეორე—ხემნიცში და მესამე—დრეზდენში.

სამივე შემთხვევაში ჩვენი ფეხბურთელები უდავო გამარჯვებულები გამოვიდენ: სამივე შეჯიბრში ჩვენმა ფეხბურთელებმა გაიტანეს 22 ბურთი თავის ჭიშკარში კი მიიღეს მხოლოდ 5; ამრიგათ 17 ბურთი გაუქმებული დარჩა.

პირველი შეჯიბრი გათავდა 5:2, მეორე—7:2 და მესამე—10:1.

სამივე შეჯიბრს დაესწრო 60.000 კაცი.

იურიდიული დახმარება

დასასვენებელი დღეების ჯილდოს შესახებ

კითხვა

მე ვმსახურობ ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში თანამშრომლად. 1925 წ. მე ვიყავი განთავისუფლებული ფეხმძიმობის გამო 4 თვე, (15 მაისიდან 15 სექტემბრამდე). რის შემდეგ შევუდექი ჩემი თანამდებობის ასრულებას. რადგანაც ჩვენთან კვირა-უქმე არ არსებობს და მუდმივად ვმუშაობთ, ჩვენ გვეძლევა განსაკუთრებული გამოსასვლელი დღე. ჩვენთან უკვე გამოსწერეს 1925 წლის გამოსასვლელი დღეები ყველა თანამშრომლებზე. მე კი უარს მეუბნებიან.

ამისათვის გთხოვთ მომცეთ განმარტება, მერგება თუ არა დასასვენებელი დღეების გამოუყენებლობის გამო ჯილდო, თუ მერგება ვისგან, საავადმყოფოსაგან თუ დამზღვევ სალაროდან და ვინაა ვალდებული გადამიხადოს იგი.

მ. არობელიძე.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 109-ისა, ყველა მუშა-მოსამსახურეს უნდა მიეცეს ყოველკვირეული განუწყვეტელი დასვენება არა ნაკლებ 42 საათის ხანგრძლივობით, მხოლოდ იმ დროს, როდესაც იგი ფაქტიურად მუშაობს.

ავადმყოფობის გამო და მორიგი შვებულების დღეების გამოკლებით თქვენც უნდა მოგცემოდათ დანარჩენ სამუშაო დროის განმავლობაში ერთი დასასვენებელი ყოველ კვირეული დღე იმის და მიუხედავათ, ისარგებლეთ თქვენ თუ არა მორიგი ან მშობიარობის შვებულებით. თუ კი თქვენ ასეთი დღეები არ მოგცენ, გაქვთ უფლება მოითხოვოთ განსაკუთრებული ჯილდო გამოუყენებელ დასასვენებელ დღის მუშაობისათვის ჩვეულებრივი ხელფასის ორმაგი რაოდენობით. ეს ჯილდო უნდა მიიღოთ იმ დაწესებულებიდან, სადაც თქვენ მუშაობთ. (იხ. საკავშირო საბჭოთა რესპ. შრომის სახკომატის 1925 წ. 12 თებერვლის დადგენილება № 35/565).

წერილი რედ. მიმართ

საქართველოს ცაკთან არსებული უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისია დიდ მადლობას სწირავს კავკასიის მე-9-ე მსროლელ ლეგიონს, რომელმაც უპატრონო ბავშვების სასარგებლოდ შემოსწირა 607 მ. და 8 კაპ.

კომისია.

ჩვენი ფოსტა

— **ზუგდიდი. სამაზრო გლეხკომს.** გაზეთებს გვთხოვთ, ფულს კი არ აგზავნით. არ გეგზავნებათ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპ. ტ. კ. მე-2 რაიკომი იუწყება, დღეს, 4 აგვისტოს ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში დანიშნულია **მ. ს. კ. პ. მეორე რაიკომის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება.**

დღის წესრიგი: ამხ. კახიანის მოხსენება საქ. კ. პ. ცეკას ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ.

მეორე რაიკომის წევრთა და კანდიდატთა დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

დღეს—4 აგვისტოს საღამოს 6 საათზე, დანიშნულია ს. კ. პ. ტ.-კ. მეორე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა რაიკომის შენობაში. პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

დღეს, საღამოს, შვიდ საათზე, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში შესდგება ფაბქარხკომებთან არსებულ კულტკომისიების კონფერენცია. დღის წესრიგში სდგას საკითხი კავშირების წევრთა შვილების შრომის სკოლებსა და საბავშო ბაღებში მიღების შესახებ.

ყველა კულტკომისიების წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კ.პ. ქალაქის რაიონის **მდივნების და აგიტპროპორგანიზაციების თათბირი 3** აგვისტოს ნაცვლად გაიმართება დღეს—4 აგვისტოს ქალაქის აღმასკომის შენობაში **საღამოს 5 საათზე.**

ს. კ. პ. ტ. კ. სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. **დანელიანს და ელბაქიანს** გამოცხადდენ განწესრიგ. განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან.

საქ. ლ. კომ. კავ. ცეკა წინადადებას აძლევს ამხ. **ბოლქვაძე გიორგის** და ამხ. **გიორგაძე სერგოს** გამოცხადდენ დღეს—4 აგვისტოს დილის სრულ 10 საათზე საქ. ლ. ა. კ. კავშირის ცეკას სასკოლო განყოფილებაში.

ოთხშაბათს, 4 აგვისტოს, საღამოს სრულ ექვს საათზე საქ. რემედასის შენობაში შესდგება **რემედასის ც. კ. და ტ. კ. პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.**

დასწრება ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებისა სავალდებულოა: ჩოდრიშვილი, იმედაძე, ბელიაევი, არაზაშვილი, მუმლაძე, ნაცვლიშვილი, ჯიჯაძე, მუშიშვილი, რუხაძე, ათაბეგოვი, ჯაიანი, გენელიძე, გუდავაძე, ჭელიძე, კიზირია, ნუცუბიძე, ასრიბეგოვი, ალიხანოვი, შარაშანიძე, ხომერიკი და ხახანოვი.

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ოჯახის საამაყო წევრი სტუდენტი-აგრონომი

კაცურა (ვანო) აპოლონის ძე

წულაძე

რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს უბედური მშობლები აპოლონ და თაფულო, ძმები—ბიძინა და გივი, და კეკელა და სიძე ვანიჩკა ცინცაძე. დაკრძალვა 4 აგვისტოს, ოთხშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, საკუთარ ეზოში, 1905 წლის ქუჩა, ოზურგეთში.

საქართ. ახალგაზ. ლენ. კომკავშირის ცეკა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს კომკავშირის ერთ-ერთ ძველი და აქტიური წევრის,

ამხ. **მიშა დომენტის-ძე აბულაძის**

უდროოთ გარდაცვალების გამო.

დასაფლავება 5 აგვისტოს, დ. ახალ-აბაშაში.

გულდამწვარი დედა პელაგია მიხეილის ასული და ცოლი ნატალია ილიას ასული ონოფრეშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 5 აგვისტოს, ხუთშაბათს, სოფელ კავთისხევში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარ შვილის და ქმრის, მე-5 კურსის სტუდენტის

დავით ივანეს-ძე ონოფრეშვილის

სულის მოსახსენებლად. 3115

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

ზოლეი

ნ. 1613 0—2

ბარბარა ლა-მარ სურათში
„ქალი მთის მწვერვალებიდან"
ამ დღეებში მისხურის ქარავანი

პრემიერა ჟენი პორტენის მონაწილეობით
„ძველი კანონი"
ანონსი: ამ დღეებში—„ზეინაბ და რამლიკა"
ნორმა ტოლმეჯის მონაწილეობით

სეზონის საუკეთესო სურათი
პრერიების მფლობელი
ანონსი: ამ დღეებში—მერი პიკფორდ სურათში
ორი პრეტენდენტი

ახალი მუშათა კლუბი
(ყოფ. ქართული, სასახლის ქ. № 5)
დიდი საღამო
მიძღვნილი ქართველ კომპოზიტორებისადმი
ზ. ფალიაშვილი და მელვინეთ-უხუცესი
სახელმწიფო ოპერის მსახიობების— ნ. ქუმსიაშვილის, სულხანიშვილის, ჩიმერინის, ექსანიშვილის, გაბაშიძის და სხ. მონაწილეობით.
ნ. 1634

გაზ. „კომუნისტი"-ს
მთავარი კანტორა წინადადებას აძლევს ჭიათურის გამგე გოგელიას, ზუგდიდის კონტრაგენტ რუდის და სამტრედიის კონტრაგენტ მ. წულაიას გამოცხადდენ მთავარ კანტორაში აგვისტოს 5-მდე ანგარიშების შესადარებლად და გასასწორებლად.
0—1 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ტლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან
გარაკ მანგლისში. 25—1

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

გაზ. „კომუნისტი"-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ
გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.
წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.
ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.
მთავარი კანტორა

გაზ. „კომუნისტი"-ს ქუთაისის კანტორა
აცხადებს იმ ხელისმომწერთა საყურადღებოთ, რომელთაც ძველი თვეების დავალიანება არ გადაუხდიათ, რომ ანგარიშის უკანასკნელ გასწორების ვადათ დანიშნულია 15 აგვისტო,—რის შემდეგ,—გადაუხდელი გაზეთის საფასურის ასაღებათ მიღებული იქნება განსაკუთრებული ზომები.
ნ. 1624 რწმუნებული ტყაბლაძე

გაზ. „კომუნისტი"-ს რწმუნებულათ
შორაპნის მაზრაში
ინიშნება
გიორგი გოგელია
რომელთანაც შეიძლება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე", „მუშაზე" და „ახალი სოფელზე"
0—3 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

გაზეთ
„კომუნისტის" „მუშა"-ს და „ახალი სოფლის"
რწმუნებულათ ქ. ხაშურში და ბორჯომ-ბაკურიანის რაიონში ინიშნება
მათე გოგუაძე
რომელთანაც შეიძლება ზემოაღნიშნულ გაზეთებზე ხელის მოწერის მიღება.
გაზ. „კომუნისტი" „მუშა" და „ახალი სოფლის"
მთავარი კანტორები

ბათომის სანაპირო რაზმი
ნიშნავს ა. წ. 5 აგვისტოსათვის
ხელახალ ვაჭრობას
220 კუბიკური მაგარი და რბილი ჯიშის შეშის მიწოდებაზე.
ცნობების მიღება შეიძლება რაზმის სამეურნეო ნაწილში, რუსთაველის პრ. № 15, ყოველდღე დილის 8 საათიდან 14 საათამდი. ნ. 1635

შრომის ბირჟის კომიტეტთან არსებული დავალებათა და საშუამავლო კოლექტივი გაუქმებულია,
რის გამო ყველა აგენტები სამსახურიდან დათხოვნილნი არიან, ყოველივე მანდატები და მინდობილობები გაცემული მათზე კოლექტივის მიერ გაუქმებულია.
სალიკვიდაციო კომისიის
3119 თავმჯდომარე ქ. პ. ასლანოვი.

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი
ამით აცხადებს, რომ 7 აგვისტოს 1926 წ. დილის 9 საათზე სახლში № 5 | 16 იორის და სურპმარინის ქ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის ნაპოლიონ ქათანიანცის მოძრავ ქონებას: სახლს, რომელშიაც არის 16 ოთახი შეფასებულს 460 მანეთად, გიორგი ხაჩიკიანის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. ტფილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 6 ივლისს 1926 წ. თარიღით, № 4915 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.
მყიდველმა უნდა წარმოადგინოს ცნობა, აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის ღირებულების 10 პროცენტი საწინდარი. 3116

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი
ამით აცხადებს, რომ 7 აგვისტოს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 22 კომუნალურ ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ბახშო მარტიროსოვის მოძრავ ქონებას: ტყავებს შეფასებულს 990 მანეთად, არტაშ სელაპანოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 31 მარტი 1926 წ. თარიღით, № 4330 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3122

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყურანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89 25—1

დაკარგე ს.ს.რ.კ. წარმომადგენლობისაგან რომში მიღებული პასპორტი (ვიზა) ტარასი ზაქარიას ძე ბადაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3113

დაკარგე პარტ-ბილეთი № 8649 გიორგი სოლომონის ძე კარსანიძის სახელზე, ჩ. გ. 3112

დაკარგე პირადობის მოწმობა გრიგოლ ვასილის ძე ჩაჩანიძის სახელზე, ჩ. გ. 3114

დაკარგე მოწმობები გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შალვა ლანდიას სახელზე, ჩ. გ. 3114

დაკარგე რეგისტრაციის ბარათი და პირადობის მოწმობა ევგენი იოსების ძე იოსელიანის სახელზე, ჩ. გ. 3120

დაკარგე პირადობის მოწმობა № 294, კავშირის წიგნაკი № 1091, ერმალო გოგიას სახელზე, ჩ. გ. 3117

დაკარგე შვიდწლედის მოწმობა № 54 აკაკი პაიჭაძის სახელზე, ჩ. გ. 3118

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი № 602 გიორგი ილიას ძე დოლონაძეს სახელზე, ჩ. გ. 3124

დაკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 8667, გრიგოლ იოსების ძე ჩიქოვანის სახელზე, ჩ. გ. 3123

დაკარგე პირადი წიგნაკი № 247 და პირადი მოწმობა № 217, სერაპიონ ანდრიის ძე ფაილოძის სახელზე ჩ. გ. 3126

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა მე-4, № 2470 და მელითონეთა კავშირის წიგნაკი № 1352, დავით ალექსანდრეს ძე კაკაბაძის სახელზე, ჩ. გ. 3125

დაკარგე კავშირის წიგნაკი № 3000 ლაკიმჯან ასკაროვის სახელზე, ჩ. გ. 3114

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68